

წლიური ანგარიშგება

სს იშბანკი საქართველო

2025

წლიური ანგარიშგება 2025

სს იშბანკი საქართველო

კომპანიის ინფორმაცია:

რეიტინგი

Fitch Rated ‘B+’, სტაბილური პერსპექტივით

საიდენტიფიკაციო კოდი

404496611

SWIFT კოდი

ISBKGE22

ვებგვერდი

www.isbank.ge

მისამართი

თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი - 0162,

ი. ჭავჭავაძის გამზ. 72ა.

კონტაქტი

ტელეფონი: +995 322 44 22 44

მეილი: info@isbank.ge

სარჩევი

მიმოხილვა

ვინ ვართ ჩვენ? 3
თავმჯდომარის მიმართვა 4
აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა 5
ჩვენი ბიზნესმოდელი 7
შესრულების ძირითადი მაჩვენებლები 9
ზრდის მაჩვენებლები 11
წევრობა 13
აქციონერთა სტრუქტურა 14
ჩვენი საოპერაციო გარემო 20

ჩვენი სტრატეგიული მიდგომა

ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები 26

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

ჩვენი ფინანსური მდგომარეობა 29
ჩვენი ფინანსური საქმიანობის შედეგები 31
ლიკვიდურობა და ფულადი სახსრების მართვა 33

მდგრადობის მიმოხილვა

ჩვენი მიდგომა მდგრადობის მიმართ 35
ჩვენი დაინტერესებული მხარეები 38
ჩვენი თანამშრომლები 39
ჩვენი მომხმარებლები 45
ჩვენი ინვესტორები 55
ჩვენი მარეგულირებლები 56

რისკის მართვა

ჩვენი მიდგომა რისკების მართვის მიმართ 57
ჩვენი სტრატეგიული ჩარჩო 58

მმართველობა

ორგანიზაციული სტრუქტურა 62
სამეთვალყურეო საბჭო 63
ბანკის მმართველი ორგანოები 65
დირექტორთა საბჭო 69

ფინანსური ანგარიშგება

„არ დანებდეთ საწყისი კაპიტალის სიმცირეს. ისეთი ინსტიტუტებისთვის, როგორიც ეს არის, ყველაზე დიდი კაპიტალი ინტელექტი, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება და ტექნიკური თუ მეთოდური სიზუსტით მუშაობის უნარია. თუ ამ რწმენით მიუდგებით თქვენს საქმეს, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ...”

ღაზი მუსტაფა ქემალ ათათურქი, 1924 წელი



Türkiye İş Bankası A.Ş.-ის პირველი სათავო ოფისი — ანკარა

ვინ ვართ ჩვენ?

ჩვენ ვქმნით ღირებულებას მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგებული ფინანსური გადაწყვეტილებებით, სანდო მომსახურებითა და ნდობაზე დაფუძნებული პარტნიორული ურთიერთობებით, რომლებიც ხელს უწყობს ჩვენი მომხმარებლების ზრდასა და წარმატებას. ჩვენი პროფესიული გამოცდილება და მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომა ბიზნესებს აძლევს შესაძლებლობას, თავდაჯერებით მიაღწიონ თავიანთ მიზნებს.

სს "იშბანკი საქართველო" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია 2015 წლის 29 ივნისს. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2015 წლის 1 აგვისტოს გაცემული გენერალური საბანკო ლიცენზიის (№368) საფუძველზე. ბანკი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, საიდენტიფიკაციო ნომრით 404496611.

ადგილობრივ საბანკო ინსტიტუტად რეორგანიზაციამდე, 2015 წლის 1 აგვისტომდე, ბანკი საქართველოში ოპერირებდა Türkiye İş Bankası A.Ş.-ის ბათუმის ფილიალის სახით. ფილიალი საქართველოს ეროვნულ ბანკში 2012 წლის 13 ივლისს დარეგისტრირდა, როგორც უცხოური ბანკის ფილიალი, ლიცენზიის №908 საფუძველზე.

ბანკის ერთადერთი აქციონერია Türkiye İş Bankası A.Ş., რომელიც 1924 წელს დაარსდა თურქეთის რესპუბლიკაში და დღეს ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს და წამყვან ფინანსურ ინსტიტუტს წარმოადგენს.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის მომხმარებლებისთვის ინდივიდუალურად მორგებული საბანკო გადაწყვეტილებების შეთავაზება, საერთაშორისო ვაჭრობის მხარდაჭერა და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი ფინანსური განვითარების ხელშეწყობა.

დაარსების დღიდან ბანკი მუდმივად უწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას, წლების განმავლობაში ინარჩუნებს მაღალ ფინანსურ შედეგებს და აღწევს მნიშვნელოვან ისტორიულ ეტაპებს, რაც ადასტურებს ჩვენს გრძელვადიან ერთგულებას ბაზარზე პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერებისა და მომხმარებლებისთვის დამატებითი ღირებულების შექმნის მიმართ.

ჩვენი საქმიანობა



დეპოზიტები



სესხები



გადარიცხვები



სავაჭრო დაფინანსება



სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

თოთხმეტი წლის წინ, İşbank-ის ჯგუფმა საქართველოში ინვესტირების სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება არასოდეს ყოფილა მხოლოდ ფინანსური ინვესტიცია — იგი წარმოადგენდა ორ ქვეყანას შორის გრძელვადიანი პარტნიორობისადმი აღებულ ვალდებულებას, რომელთა ისტორია, ეკონომიკა და საერთო მისწრაფებები მრავალი წლის განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

როგორც თურქეთის პირველი ეროვნული ბანკი, რომელიც 1924 წელს მუსტაფა ქემალ ათათურქის ხედვის საფუძველზე დაარსდა, İşbank-ი უკვე ას წელზე მეტია ერთგულად აგრძელებს თავის დამფუძნებელ მისიას როგორც თურქეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. საქართველოში ეს მისია ნათლად გამოიხატა საერთაშორისო საბანკო სტანდარტებისა და ადგილობრივი გამოცდილების გაერთიანებაში, რათა ვყოფილიყავით სტაბილური და სანდო ფინანსური პარტნიორი იმ ბიზნესებისა და ადამიანებისთვის, რომლებსაც ვემსახურებით.

დღეს ეს ვალდებულება საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოხატულებად იქცა. იშბანკი საქართველო მხოლოდ შვილობილი ბანკი არ არის — იგი წარმოადგენს ხიდს, რომელიც ქართულ ბიზნესს აკავშირებს თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური ჯგუფის შესაძლებლობებთან, საერთაშორისო ქსელთან და გამოცდილებასთან, ხოლო თითოეულ ურთიერთობაში ასახავს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთნდობას.

სამეთვალყურეო საბჭოს სახელით გულწრფელ მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნულ ბანკს სტაბილური და ჯანსაღი საბანკო გარემოს ჩამოყალიბებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის; ჩვენს მომხმარებლებსა და პარტნიორებს — იმ ნდობისთვის, რომელიც ჩვენი ყველაზე ღირებული აქტივია; და ჩვენს თანამშრომლებს — რომელთა პროფესიონალიზმი, ერთგულება და კეთილსინდისიერება ჩვენი მიღწევების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი პასუხისმგებლობაა უზრუნველვყოთ, რომ იშბანკი საქართველო მომავალშიც განაგრძობდეს გაძლიერებას, საქმიანობას წარმართავდეს გონივრული და წინდახედული მმართველობის პრინციპებით და დარჩეს საიმედო პარტნიორად, რომელსაც საქართველოს ეკონომიკა მრავალი ათწლეულის განმავლობაში დაეყრდნობა.

პირველმა ათწლეულმა შექმნა მყარი საფუძველი. მომავალ გზას კი გავაგრძელებთ იმავე თავდაჯერებით, პასუხისმგებლობითა და საერთო მიზნის ერთგულებით, რაც ჩვენი საქმიანობის საფუძველია დაარსების დღიდან.



ტუფან კურბანოღლუ

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

“იშბანკი საქართველომ” საქართველოში საქმიანობა 2012 წელს დაიწყო, როგორც თურქეთის İşbank ჯგუფის ფილიალმა. 2015 წელს ბანკი ადგილობრივად დაფუძნებულ დამოუკიდებელ საბანკო ინსტიტუტად გარდაიქმნა და დღეს წარმატებით ფუნქციონირებს, როგორც İşbank ჯგუფის შვილობილი ბანკი. 2025 წელს აღვნიშნეთ საქართველოში საქმიანობის პირველი ათწლეული მასშტაბური საიუბილეო ღონისძიებით, რომელმაც გააერთიანა ჩვენი მომხმარებლები, პარტნიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ეს მნიშვნელოვანი თარიღი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჩვენს მტკიცე ერთგულებას საქართველოსა და იმ მომხმარებლების მიმართ, რომელთა ნდობასაც ყოველდღიურად ვამართლებთ.

ძლიერ კორპორაციულ ღირებულებებსა და მრავალწლიანი გამოცდილებით ჩამოყალიბებულ კომპეტენციებზე დაფუძნებული İşbank ჯგუფი წარმოადგენს წამყვან ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც ორიენტირებულია მომავლის ფორმირებაზე. თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებლის, მუსტაფა ქემალ ათათურქის ხედვით შთაგონებული ჯგუფი თავდაჯერებით შევიდა თავისი არსებობის მეორე საუკუნეში და ასწლოვან გამოცდილებას წარმატებით აერთიანებს მომავლის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობებთან.

როგორც მომავლისკენ მიმართული ფინანსური ინსტიტუტი, İşbank-ი არა მხოლოდ პასუხობს თანამედროვე ეკონომიკური გარემოს მოთხოვნებს, არამედ ქმნის გრძელვადიან და მდგრად ღირებულებას, წინასწარ განსაზღვრავს და ითვალისწინებს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური განვითარების მომავალი ეტაპების მოთხოვნებსა და მოლოდინებს.

1924 წელს დაარსების დღიდან İşbank ჯგუფი უცვლელად ერთგულია თავისი დამფუძნებელი პრინციპებისა და ღირებულებების. ჯგუფი მუდმივად ინარჩუნებს ძლიერ ფინანსურ შედეგებს, მომხმარებლებს სთავაზობს მრავალფეროვან საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებებს და სხვადასხვა საბაზრო ციკლის პირობებშიც კი ინარჩუნებს მაღალი სანდოობისა და სტაბილურობის რეპუტაციას.

2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, İşbank ჯგუფი ემსახურება 25.8 მილიონ მომხმარებელს, ხოლო მის საქმიანობას უზრუნველყოფს 20,630 მაღალკვალიფიციური თანამშრომელი.

2025 წლის ბოლოსთვის, 108.6 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის მთლიანი აქტივებით, İşbank ჯგუფი ინარჩუნებს თურქეთის უმსხვილესი კერძო ბანკის პოზიციას.

İşbank-ის საერთაშორისო საბანკო საქმიანობა ხორციელდება ფართო საერთაშორისო ქსელის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ფილიალებს ერაყში, კოსოვოში, გაერთიანებულ სამეფოში, ბაჰრეინსა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკაში (TRNC). ამასთანავე, ბანკს აქვს წარმომადგენლობები შანხაიში (ჩინეთი) და კაიროში (ეგვიპტე), ხოლო საბანკო საქმიანობას შვილობილი ბანკების მეშვეობით ახორციელებს გერმანიაში, რუსეთსა და საქართველოში.

2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, İşbank-ი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდა წილებს 30 შვილობილ კომპანიაში. ჯგუფის პირდაპირი და არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ მყოფი ყველა იურიდიული პირის ჩათვლით, İşbank ჯგუფში შემავალი კომპანიების საერთო რაოდენობამ 211 შეადგინა.

“იშბანკი საქართველოსთვის” 2025 წელი მნიშვნელოვანი მიღწევებითა და მაღალი ფინანსური შედეგებით გამოირჩეოდა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მთლიანი აქტივები 626 მილიონ ლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 28%-იან ზრდას წარმოადგენს. მომხმარებელთა საკრედიტო პორტფელი სტაბილურად გაიზარდა და 409 მილიონ ლარს მიაღწია, რაც წლიურ ჭრილში 8%-იან ზრდას ასახავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მომხმარებელთა დეპოზიტების დინამიკა, რომლის მოცულობამ 276 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2024 წელთან შედარებით 129%-ით მეტია. აღნიშნული შედეგი ჩვენი მომხმარებლების ნდობისა და ერთგულების ნათელი გამოხატულებაა.

2025 წელს ბანკმა ასევე ძლიერი ფინანსური შედეგები აჩვენა — საგადასახადო დაბეგვრის შემდეგ წმინდა მოგებამ 14.3 მილიონი ლარი შეადგინა.

წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა აქტივების განსაკუთრებულად მაღალი ხარისხი იყო. 2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, უმოქმედო სესხების (NPL) მაჩვენებელმა 0.31% შეადგინა, რაც საქართველოს საბანკო სექტორში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ფინანსურ შედეგებთან ერთად, 2025 წელი მნიშვნელოვანი პროგრესით გამოირჩეოდა ჩვენი სტრატეგიული განვითარების მიმართულებებით, განსაკუთრებით ციფრული ტრანსფორმაციისა და ინოვაციების სფეროში. აღნიშნულმა ინიციატივებმა მოგვცა შესაძლებლობა კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა ჩვენი პროდუქტები, მომსახურება და მომხმარებლის გამოცდილება.

წლის განმავლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ძირითადი საბანკო სისტემის შემდგომი განვითარება, რომელიც წინა წელს განხორციელებული წარმატებული ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის გაგრძელება იყო. ახალი ფუნქციონალისა და ტექნოლოგიური გაუმჯობესებების დანერგვამ კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი ოპერაციული შესაძლებლობები და მომსახურების ხარისხი.

ზემოთ წარმოდგენილი შედეგები უფრო დეტალურად არის განხილული წინამდებარე ანგარიშში, რომელიც სრულყოფილად ასახავს ბანკის ფინანსურ საქმიანობასა და 2025 წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან მოვლენებს.

ამ წარმატებების საფუძველია ჩვენი თანამშრომლების პროფესიონალიზმი, ერთგულება და პასუხისმგებლობა. სწორედ ისინი წარმოადგენენ ბანკის ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს. ასევე გულწრფელ მადლობას ვუხდით ჩვენს მომხმარებლებს, რომელთა ნდობა და ერთგულება ყოველდღიურად გვაძლევს მოტივაციას, განვავითაროთ ინოვაციური გადაწყვეტილებები და მუდმივად გავაუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი.

მომავალშიც იშბანკი საქართველო უცვლელად გააგრძელებს საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების მხარდაჭერას. მომდევნო წლებში ვგეგმავთ ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების გაფართოებას, ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის კიდევ უფრო დაჩქარებას და მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რათა სრულად ვუპასუხოთ სწრაფად ცვალებად გარემოში მომხმარებელთა მზარდ მოთხოვნებს.

ონურ ქუთუქი

აღმასრულებელი დირექტორი

ჩვენი ბიზნესმოდელი

რას ვქმნით?

ბანკი კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) და საცალო მომხმარებლების საჭიროებებზე მორგებული საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი ძირითადი საქმიანობა მოიცავს კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას, მომხმარებელთა დეპოზიტების მოზიდვას, ადგილობრივ და საერთაშორისო ფულად გადარიცხვებს, სავალუტო ოპერაციებს, ასევე კომერციული და საცალო საბანკო მომსახურების სხვა მიმართულებებს.

ჩვენი ფინანსური გადაწყვეტილებების მეშვეობით მხარს ვუჭერთ ბიზნესებისა და ფიზიკური პირების საოპერაციო, საინვესტიციო და საგადახდო საჭიროებებს, მომსახურების მაღალი ხარისხის, საიმედოობისა და გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობების პრინციპებზე დაყრდნობით.

როგორ ვქმნით ღირებულებას?

ბანკი ღირებულებას ქმნის ფინანსური რესურსების ეფექტიანი განაწილებით, ბიზნესის განვითარების მხარდაჭერითა და მდგრადი საბანკო საქმიანობის უზრუნველყოფით.

ჩვენ ვქმნით ღირებულებას:

- კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობის დაფინანსებით, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას;
- მომხმარებლებისთვის უსაფრთხო სადეპოზიტო და საგადახდო საბანკო მომსახურების შეთავაზებით;
- ადგილობრივი და საერთაშორისო გადახდებისა და სავაჭრო საქმიანობის მხარდაჭერით;
- დაბალანსებული ზრდის უზრუნველყოფით, რომელიც ეფუძნება რისკებისა და ლიკვიდურობის გონივრულ მართვას;
- ოპერაციული ეფექტიანობისა და მომსახურების სტანდარტების მუდმივი გაუმჯობესებით;
- მომხმარებლებთან ნდობასა და მათ საჭიროებებზე სწრაფ რეაგირებაზე დაფუძნებული გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებით.

ჩვენი ბიზნესმოდელი ორიენტირებულია მდგრადი მომგებიანობის უზრუნველყოფასა და მომხმარებლებისთვის, თანამშრომლებისთვის, აქციონერებისა და ფართო ბიზნესსაზოგადოებისთვის ღირებულების შექმნაზე.

როგორ ვახორციელებთ საქმიანობას?

ბანკი მომსახურებას ახორციელებს მომხმარებელზე ორიენტირებული საოპერაციო მოდელის მეშვეობით, რომელსაც საფუძვლად უდევს გამოცდილი პროფესიონალების გუნდი, ეფექტიანი პროცესები და რისკების მართვის ეფექტური პრაქტიკა.

ჩვენი საოპერაციო მოდელი ეფუძნება:

- მომხმარებელთან ურთიერთობების ეფექტიან მართვას;
- პასუხისმგებლიან საკრედიტო პოლიტიკასა და საკრედიტო პორტფელის მუდმივ მონიტორინგს;
- ძლიერი ფინანსური, საოპერაციო და კომპლაენს კონტროლის მექანიზმებს;
- საიმედო საგადახდო და ტრანზაქციულ ინფრასტრუქტურას;
- ბიზნესპროცესების უწყვეტ გაუმჯობესებასა და ციფრული მხარდაჭერის სისტემებს;
- ფინანსების, რისკების, ოპერაციებისა და ბიზნესმიმართულებების ეფექტიან თანამშრომლობას.

ინდივიდუალური მომსახურებისა და დისციპლინირებული საოპერაციო მართვის შერწყმით, ბანკი მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის დროული, ეფექტიანი და მათ საჭიროებებზე მორგებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიწოდებას.

ჩვენი კლიენტები

ბანკი ემსახურება მრავალფეროვან მომხმარებელთა ბაზას, რომელიც ძირითადად მოიცავს:

სხვადასხვა სექტორში მოქმედი კორპორატიული კლიენტები

მცირე და საშუალო საწარმოები

საცალო და ინდივიდუალური მომხმარებლები

შიდა და საერთაშორისო ოპერაციებში ჩართული ბიზნესები

ჩვენი საქმიანობის საფუძველია მომხმარებელთა საჭიროებების სიღრმისეული გააზრება და ისეთი პრაქტიკული, მოქნილი და გრძელვადიანი ფინანსური გადაწყვეტილებების შეთავაზება, რომლებიც ხელს უწყობს მათი ზრდისა და ფინანსური საქმიანობის მხარდაჭერას.



მე-10 იუბილე

ჩვენი შესრულების ძირითადი მაჩვენებლები

ჩვენ ვიყენებთ ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების დაბალანსებულ სისტემას საქმიანობის შედეგების მონიტორინგისა და ჩვენი სტრატეგიის დაინტერესებული მხარეების ინტერესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. დირექტორთა საბჭო რეგულარულად განიხილავს ძირითად საქმიანობის მაჩვენებლებს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა ბანკის გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მიზნებთან. ამავე დროს, ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების სისტემა აღნიშნულ მაჩვენებლებთან არის დაკავშირებული, რაც ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების გაძლიერებას და გრძელვადიანი ღირებულების შექმნას.

KPI-ების სტრატეგიული მიმოხილვა

დაინტერესებულ მხარეებზე ორიენტირებული ღირებულების შექმნა

ჩვენი ძირითადი საქმიანობის მაჩვენებლები (KPIs) ბანკის საქმიანობის მდგომარეობის კომპლექსურ შეფასებას უზრუნველყოფს და სცილდება მხოლოდ ტრადიციულ ფინანსურ შედეგებს. თანამშრომლების, მომხმარებლების, ინვესტორებისა და ადგილობრივი საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებით, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენი სტრატეგიული გადაწყვეტილებები მდგრად ღირებულებას ქმნიდეს ყველა იმ მხარისთვის, რომელიც ჩვენი საქმიანობის ეკოსისტემის ნაწილია.

ძლიერი კორპორაციული მართვა და რეგულარული შეფასება


იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენი KPI-ები მუდმივად შეესაბამებოდეს ბანკის სტრატეგიულ მიზნებს, დირექტორთა საბჭო რეგულარულად ახორციელებს მათ გადახედვას და აფასებს მათ შესაბამისობას საშუალოვადიან მიზნებთან და საერთო სტრატეგიულ მიმართულებებთან. ეს უწყვეტი შეფასების პროცესი გვაძლევს შესაძლებლობას, ოპერატიულად ვუპასუხოთ ცვალებად საბაზრო გარემოს და უზრუნველვყოთ მდგრადი, გრძელვადიანი განვითარება.

ხელმძღვანელობის მიზნების შესაბამისობა

ჩვენ ყურადღებით ვარჩევთ საქმიანობის შეფასების მაჩვენებლებს, რომლებიც ხელმძღვანელ გუნდს მდგრადი და ყოვლისმომცველი განვითარების მიღწევისაკენ უბიძგებს. ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების აღნიშნულ KPI-ებთან დაკავშირების გზით, უზრუნველყოფილია მათი ინტერესების შესაბამისობა ყველა დაინტერესებული მხარის გრძელვადიან ინტერესებთან.


ფინანსური KPI-ები

წმინდა მოგება (ათასი ლარი)




ჩვენი წმინდა მოგება, საბანკო საქმიანობის ძლიერი ზრდის შედეგად, წინა წელთან შედარებით 16.32%-ით გაიზარდა.

საშუალო კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROAE)




საშუალო კაპიტალის უკუგების მაჩვენებელი (ROAE) გაიზარდა, რაც აქციონერთა კაპიტალის ეფექტიან გამოყენებას ასახავს.

საშუალო აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROAA)




საშუალო აქტივების უკუგების მაჩვენებელი (ROAA) სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა, რაც ბანკის მდგრად მომგებიანობასა და აქტივების ეფექტიან გამოყენებას ადასტურებს.

ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობის კოეფიციენტი




ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობის მაჩვენებელი ასახავს ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებას, ხარჯების ეფექტიან მართვასა და შემოსავლების ზრდას.

უმოქმედო სესხები (NPLs)



უმოქმედო სესხების მაჩვენებელი ასახავს ბანკის კონსერვატიულ მიდგომას საკრედიტო რისკის აღიარების მიმართ, პარალელურად კი ადასტურებს მაღალი ხარისხის, მდგრად და ეფექტიანად მართულ საკრედიტო პორტფელს.

წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)




NIM სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა, რაც მიუთითებს ბანკის უნარზე, უზრუნველყოს წმინდა საპროცენტო შემოსავლის სტაბილური გენერირება, ბალანსის სტრუქტურისა და ფასების მართვის დისციპლინირებული პოლიტიკის პირობებში.


მიმოხილვა - ზრდა

ჩვენი ზრდის მაჩვენებლები

სს იშბანკი საქართველო









ძირითადი მაჩვენებლები

2025 ფინანსური წელი სს იშბანკი საქართველომ დაასრულა 14,334 ათასი ლარის წმინდა მოგებით, რაც წინა წელთან შედარებით 16.32%-იან ზრდას წარმოადგენს.

მაჩვენებლები	2025	2024
მომგებიანობა		
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი / საშუალო წლიური აქტივები	7.36%	8.06%
მთლიანი საპროცენტო ხარჯი / საშუალო წლიური აქტივები	2.94%	3.34%
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი / საშუალო წლიური აქტივები	5.19%	5.60%
წმინდა საპროცენტო მარჟა	6.23%	6.23%
საშუალო აქტივების უკუგება (ROAA)	2.58%	2.60%
საშუალო კაპიტალის უკუგება (ROAE)	9.34%	8.79%
აქტივების ხარისხი		
უმოქმედო სესხები / მთლიანი სესხები	0.32%	0.28%
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი (LLR) / მთლიანი სესხები	0.65%	0.48%
უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები / მთლიანი სესხები	58.13%	49.96%
უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები / მთლიანი აქტივები	63.39%	55.99%
სესხების ზრდა (YTD)	7.98%	14.36%
ლიკვიდურობა		
ლიკვიდური აქტივები / მთლიანი აქტივები	45.98%	18.87%
უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები / მთლიანი ვალდებულებები	85.71%	80.99%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიანი აქტივები	13.71%	14.95%
ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი		
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (HQLA)	232,026,575	94,831,123
წმინდა ფულადი გადინება	66,993,631	71,811,251
ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR)	346.34%	132.06%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)		
ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება	353,158,789	273,271,719
საჭირო სტაბილური დაფინანსება	243,941,401	257,982,805
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)	144.77%	105.93%

*ზემოთ წარმოდგენილი ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები გამოთვლილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის შედეგების თანმიმდევრულობასა და ურთიერთშედარებადობას.

წევრობა

ასოციაცია	აღწერა	თარიღი
GÜRTİAD (თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია საქართველოში)	არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა თბილისში, საქართველოსა და თურქეთს შორის ეკონომიკური, სავაჭრო და ბიზნესურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.	**2016**
AmCham (ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში)	კერძო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა.	**2017**
საქართველოს ბანკების ასოციაცია	არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს ბანკების ინტერესების წარმომადგენლობას საგადასახადო, მარეგულირებელი და საბანკო კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებში.	**2019**
საქართველოს ფინანსური ბაზრების სახაზინო ასოციაცია	ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური ბაზრის, კერძოდ, სავალუტო (FX), ობლიგაციების და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების (დერივატივების) ბაზრების განვითარებას.	**2025**



100%

ბანკმა უზრუნველყო გადახდისა და საბანკო ქსელებში გაწევრიანების სავალდებულო მოთხოვნების 100%-იანი შესრულება.

აქციონერთა სტრუქტურა



წილების გადანაწილება

სს იშბანკი თურქეთი

100%

სს იშბანკი საქართველო

ისტორია

სს „იშბანკი საქართველო“ წარმოადგენს სს „იშბანკი თურქეთის“ (JSC Isbank Türkiye - Türkiye İş Bankası Anonim Şirketi, შემდგომში „მშობელი კომპანია“, „აქციონერი“ ან „იშბანკი თურქეთი“) შვილობილ კომპანიას.

მშობელი კომპანია დაარსდა თურქეთში 1924 წელს და იგი ფლობს ბანკის აქციების 100%-ს. „იშბანკი თურქეთი“ საქართველოს ბაზარზე პირველად 2012 წელს შემოვიდა, როდესაც გაიხსნა სს „იშბანკი თურქეთის“ ბათუმის ფილიალი (შემდგომში „ფილიალი“).

2015 წლის 1 აგვისტოს ფილიალი რეორგანიზდა სს „იშბანკი საქართველოდ“ (ლიცენზია N: 368). ბანკი რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 404496611.

სს იშბანკი თურქეთი

მიმოხილვა

მშობელი ბანკი არის თურქეთის უმსხვილესი კერძო ბანკი მთლიანი აქტივების, სესხებისა და დეპოზიტების მოცულობით, ასევე ფილიალებისა და ბანკომატების რაოდენობით. მთლიანი აქტივების მოცულობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 107.8 მილიარდი აშშ დოლარია, საიდანაც 50% სასესხო პორტფელზე მოდის. მთლიანი აქტივები წინა წელთან შედარებით 39.1%-ით გაიზარდა. დეპოზიტების მოცულობა 72.2 მილიარდი აშშ დოლარია, რაც მთლიანი ვალდებულებების 74%-ს შეადგენს.

ბანკი და ჯგუფი დაფუძნდა თურქეთში 1924 წელს. ბანკი გთავაზობთ კერძო, საცალო, კომერციულ და კორპორაციულ საბანკო მომსახურებას, ფულადი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოპერაციებს, ასევე საერთაშორისო საბანკო მომსახურებას.

ბანკი ამჟამად ფუნქციონირებს თურქეთში 997 ფილიალითა და 22 უცხოური ფილიალით, 3 სრულად საკუთრებაში მყოფი საბანკო შვილობილი კომპანიითა და 2 წარმომადგენლობითი ოფისით 11 ქვეყანაში.

აქციები კოტირებულია სტამბოლის საფონდო ბირჟაზე და ვაჭრობს ლონდონის საფონდო ბირჟაზე გლობალური სადეპოზიტო ხელწერილების (GDR) სახით.

დივერსიფიცირებული საკუთრების წილების პორტფელი

ბანკის აქციონერი თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი კონგლომერატია. მისი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია საბანკო და სხვა ფინანსურ მომსახურებასთან, რომელიც მოიცავს დაზღვევას, კერძო საპენსიო ფონდს, აქტივების მართვას, ლიზინგსა და ფაქტორინგს, საინვესტიციო საბანკო და საბროკერო მომსახურებას, ასევე მინის წარმოებას. 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, „იშბანკს“ აქვს 17 საკუთრების წილი. საკუთრების წილების წილი მთლიან აქტივებში 6.0%-ია. საკუთრების წილების 66.6% ბირჟაზეა განთავსებული.

მინის წარმოება


ჯგუფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპანიაა Şişecam — მინის წარმოების მსოფლიოს წამყვანი ჯგუფი. Şişecam აფართოებს წარმოებას მეზობელ ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ Şişecam ჯგუფის პირველი ინვესტიცია თურქეთის ფარგლებს გარეთ იყო ქსანის მინის ქარხნის შეძენა 1997 წელს, საქართველოში, სოფელ ქსანთან. ჯგუფი თავის პროდუქციას 150-ზე მეტ ქვეყანაში ჰყიდის, ფუნქციონირებს 19 ქვეყანაში 22 495 თანამშრომლით.





Türkiye İş Bankası საერთაშორისო დონეზე წარმოდგენილია 3 შვილობილი ბანკით: „იშბანკი საქართველო“ (საქართველო), Isbank AG (გერმანია) და სს „იშბანკი“ (რუსეთი).


ზრდის შედეგები

სს იშბანკი თურქეთი









საბაზრო წილები

სს იშბანკი თურქეთი

ბალანსის ძირითადი მუხლები	საბაზრო წილი (%)	რანგი
მთლიანი აქტივები	10.9	1-ლი
მთლიანი სესხები	10.8	1-ლი
სესხები ლირაში	11.1	მე-2
სესხები უცხოურ ვალუტაში	10.5	1-ლი
სამომხმარებლო სესხები	13.6	მე-3
არასაცალო სესხები	9.4	1-ლი
მთლიანი დეპოზიტები	12.2	1-ლი
დეპოზიტები ლირაში	11.0	1-ლი
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	14.2	1-ლი
მოთხოვნამდე დეპოზიტები	14.6	1-ლი
აქციონერთა კაპიტალი	11.1	მე-2

სხვა პროდუქტები და სადისტრიბუციო ქსელი	საბაზრო წილი (%)	რანგი
ფილიალების რაოდენობა	11.0	1-ლი
ბანკომატების რაოდენობა	12.1	1-ლი

(1) საბაზრო წილის გამოთვლები ეფუძნება BRSA-ის ყოველკვირეულ მონაცემებს, მონაწილეობითი ბანკების გამოკლებით; მთლიანი აქტივების საბაზრო წილი ეფუძნება BRSA-ის ყოველთვიურ მონაცემებს.
(2) რანგი კერძო სექტორის ბანკებს შორის.
(3) საცალო ოვერდრაფტის ანგარიშების ჩათვლით.
(4) ბანკთაშორისი დეპოზიტების გამოკლებით.
(5) საბაზრო წილის გამოთვლები ეფუძნება ბანკთაშორისი ბარათების ცენტრის (BKM) მონაცემებს.

საერთაშორისო საქმიანობის არეალი





საქართველო



თურქეთი



დიდი ბრიტანეთი



ჩინეთი



ეგვიპტე



გერმანია



რუსეთი



ერაყი



ნიდერლანდები



ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა

*კოსოვოსა და ბაჰრეინის ფილიალების საქმიანობა ოფიციალურად შეწყვეტილია. ფილიალები ამჟამად გადიან დარჩენილი ადმინისტრაციული საკითხების დასრულების პროცესს.




წყალწითელას მდინარე — ქუთაისი

ჩვენი საოპერაციო გარემო



2025 წლის განმავლობაში საქართველოს საოპერაციო გარემო მდგრადობით გამოირჩეოდა, რასაც განაპირობებდა სტაბილური ეკონომიკური ზრდა, ძლიერი ბიზნესაქტივობა და სათანადოდ რეგულირებული ფინანსური სექტორი, რომელიც განაგრძობდა ნდობის გაძლიერებასა და ინვესტიციების ხელშეწყობას.

მოსახლეობა **3.9 მლნ**	საშუალო ასაკი **35-39**	ნომინალური მშპ (აშშ დოლარი) **38.1 მლრდ**
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) **10,296**	მთლიანი საერთაშორისო რეზერვები (აშშ დოლარი) **6.2 მლრდ**	ზრდის მოსალოდნელი მაჩვენებელი **5.4%**
ინფლაცია **4.0%**	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი **8.0%**	საკრედიტო რეიტინგი (Fitch Ratings) **BB სტაბილური**



მაკროეკონომიკური მიმოხილვა

საქართველოს ეკონომიკამ 2025 წელს განაგრძო მდგრადობისა და ძლიერი მაჩვენებლების დემონსტრირება, რასაც ხელი შეუწყო მძლავრმა შიდა მოთხოვნამ, საგარეო შემოდინებების სტაბილურმა დონემ და მომსახურების სექტორში შენარჩუნებულმა აქტივობამ. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა კვლავ მაღალ დონეზე დარჩა და შეფასებით დაახლოებით 7.5% შეადგინა, რის შედეგადაც საქართველო რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკად ჩამოყალიბდა.


ეკონომიკური აქტივობა ძირითადად განპირობებული იყო კერძო მოხმარებით, რომელსაც ხელი შეუწყო შემოსავლების ზრდამ და საკრედიტო აქტივობის გაფართოებამ, ასევე ტურიზმისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული მომსახურების სექტორების ძლიერმა შედეგებმა. მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ტემპი შემცირდა წინა წლებში დაფიქსირებულ განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებთან შედარებით, მაკროეკონომიკური საფუძვლები კვლავ მყარი დარჩა, რაც ასახავს ეკონომიკის გონივრულ მართვასა და სტაბილურ პოლიტიკურ ჩარჩოს.

მომდევნო პერიოდისთვის მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდა 2026 წელს ზომიერ დონემდე — დაახლოებით 5.4%-მდე — შენელდება და დაუახლოვდება ეკონომიკის საშუალოვადიან პოტენციურ ზრდის ტემპს. აღნიშნული ნორმალიზება ასახავს საგარეო შემოდინებების ეტაპობრივ შემცირებას და შიდა და საგარეო მოთხოვნის უფრო დაბალანსებულ წვლილს. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდა კვლავ ძლიერი იქნება რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკა

2025 წლის განმავლობაში ინფლაციის დინამიკა ძირითადად კონტროლირებადი იყო, ხოლო საშუალო ინფლაციის მაჩვენებელი დაახლოებით 4%-ის დონეზე დასტაბილურდა, რაც წინა წლებში დაფიქსირებული ფასების ზრდის გაძლიერებული წნეხის პერიოდის შემდგომი შედეგი იყო. თუმცა, 2026 წლის დასაწყისში ინფლაციამ მცირედი ზრდა აჩვენა, რაც ძირითადად განპირობებული იყო გარე ფაქტორებით, მათ შორის გლობალურ ბაზრებზე სასაქონლო და ენერგორესურსების ფასების ზრდით.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეინარჩუნა ფრთხილი მონეტარული პოლიტიკის პოზიცია, რომელიც ითვალისწინებდა როგორც ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის უზრუნველყოფის, ისე ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერის საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ მონეტარული პოლიტიკის ეტაპობრივი შემსუბუქების ციკლი განიხილებოდა, პოლიტიკის ნორმალიზების პროცესი მიმდინარეობდა გარე გარემოში არსებული მდგრადი გაურკვევლობების გათვალისწინებით. საშუალოვადიან პერიოდში, 8%-იანი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პირობებში, მოსალოდნელია, რომ ინფლაცია დაუახლოვდება ეროვნული ბანკის 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს, რასაც ხელს შეუწყობს დისციპლინირებული მონეტარული პოლიტიკა და გარე პირობების სტაბილიზაცია.



წყარო: სებ, საქსტატი

ვალუტა და საგარეო სექტორი

საქართველოს ლარი 2025 წლის განმავლობაში ძირითადად სტაბილური იყო, რასაც ხელი შეუწყო უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი შემოდინებებმა ტურიზმიდან, ფულადი გზავნილებიდან და ექსპორტიდან. გაცვლითი კურსის მერყეობა წინა პერიოდებთან შედარებით შეზღუდული იყო, რაც ასახავს გაუმჯობესებულ მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და გაძლიერებულ საგარეო ბუფერებს.

საგარეო პოზიცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა — მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის დაახლოებით 2.6%-მდე შემცირდა, რასაც ხელი შეუწყო მომსახურების ექსპორტის ზრდამ და ხელსაყრელმა სავაჭრო დინამიკამ. საერთაშორისო რეზერვები კვლავ ადეკვატურ დონეზე შენარჩუნდა, რაც ქმნის მყარ დაცვით მექანიზმს საგარეო შოკების მიმართ და ხელს უწყობს ქვეყნის მაკროეკონომიკური ჩარჩოს მიმართ ნდობის გაძლიერებას.

ფისკალური მდგომარეობა

ფისკალური პოლიტიკა კვლავ ფრთხილი და საშუალოვადიანი მდგრადობის მიზნებთან შესაბამისი იყო. სახელმწიფო ვალი კიდევ უფრო შემცირდა და მშპ-ის დაახლოებით 34% შეადგინა, რაც განპირობებული იყო ნომინალური მშპ-ის ძლიერი ზრდითა და დისციპლინირებული ფისკალური მართვით.

შემოსავლების შესრულება კვლავ ძლიერი იყო, რასაც ხელი შეუწყო მაღალი ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებამ, ხოლო ხარჯვითი ნაწილი იმართებოდა ფისკალური წესების ფარგლებში. საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე ხელსაყრელი პირობებით გაგრძელებულმა წვდომამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ინვესტორების ნდობა საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიმართ.



წყარო: სებ, საქსტატი, MOF

საბანკო სექტორის საქმიანობის შედეგები

საქართველოს საბანკო სექტორმა 2025 წელს კვლავ აჩვენა მაღალი მდგრადობა და მომგებიანობა, რასაც ხელი შეუწყო ხელსაყრელმა მაკროეკონომიკურმა გარემომ და ეფექტიანმა მარეგულირებელმა ზედამხედველობამ. საკრედიტო აქტივობა კვლავ ძლიერი იყო როგორც საცალო, ისე კორპორატიულ სეგმენტებში, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მიმართულებით.

დეპოზიტების ზრდამ განაგრძო სტაბილური დაფინანსების ბაზის უზრუნველყოფა, ხოლო ლიკვიდობისა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები მნიშვნელოვნად აღემატებოდა მარეგულირებელ მინიმალურ მოთხოვნებს. აქტივების ხარისხის მაჩვენებლები სტაბილური დარჩა, რაც ასახავს ეფექტიან რისკების მართვის პრაქტიკას, თუმცა სექტორი კვლავ აკვირდება გარე გაურკვევლობებთან და საპროცენტო განაკვეთების დინამიკასთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობით მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩო კვლავ ხელს უწყობს ფინანსურ სტაბილურობას კონსერვატიული ზედამხედველობის პრაქტიკისა და სექტორის განვითარების მიმდინარე ინიციატივების მეშვეობით.

- Fitch-მა 2025 წლის ბოლოს საქართველოს საბანკო საოპერაციო გარემოს შეფასება „bb-“-დან „bb“-მდე გააუმჯობესა, რაც დაასაბუთა მდგრადი განვითარებითა და საკრედიტო პორტფელის ძლიერი ხარისხით.
- S&P აღნიშნავს, რომ საქართველო რეგიონში ლიდერობს საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით და ხაზს უსვამს, რომ აქტივების ხარისხი (უმოქმედო სესხების (NPL) მაჩვენებელი — 2.6%) ერთ-ერთი საუკეთესოა რეგიონში.
- Moody's-მა 2026 წლის თებერვალში საბანკო სისტემის პერსპექტივა უარყოფითიდან სტაბილურზე განაახლა, რაც ასახავს კაპიტალის გაუმჯობესებულ ბუფერებსა და აქტივების მდგრად ხარისხს.

საბანკო სექტორმა კიდევ ერთი წელი ძლიერი ფინანსური შედეგებით დაასრულა. მთლიანი აქტივები წლიურ ჭრილში დაახლოებით 15–18%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო საკრედიტო პორტფელის უწყვეტი გაფართოებით. მთლიანი სესხები შეფასებით 16–20%-ით გაიზარდა, რაც ასახავს როგორც კორპორატიული, ისე საცალო სეგმენტებიდან შენარჩუნებულ მოთხოვნას, განსაკუთრებით ბიზნესის დაკრედიტებისა და სამომხმარებლო ფინანსების მიმართულებით. დაფინანსების ნაწილში მომხმარებელთა დეპოზიტები დაახლოებით 12–15%-ით გაიზარდა, რაც უზრუნველყოფდა სტაბილურ და დივერსიფიცირებულ დაფინანსების ბაზას.

მომგებიანობა კვლავ სექტორის ერთ-ერთ მთავარ ძლიერ მხარედ დარჩა. კაპიტალზე უკუგება (ROE) მაღალ დონეზე შენარჩუნდა და 20–25%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო აქტივებზე უკუგება (ROA) დაახლოებით 3–4% იყო, რასაც ხელს უწყობდა ძლიერი წმინდა საპროცენტო მარჟები და ხარჯების ეფექტიანი მართვა. ამავე დროს, აქტივების ხარისხის მაჩვენებლები სტაბილური დარჩა, რაც ასახავს პასუხისმგებლიან საკრედიტო პოლიტიკასა და ეფექტიან რისკების მართვის პრაქტიკას.

კაპიტალიზაციისა და ლიკვიდობის დონეები კვლავ მნიშვნელოვნად აღემატებოდა მარეგულირებელ მოთხოვნებს. სექტორის საშუალო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 18–20%-ზე მაღალ დონეზე შენარჩუნდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მინიმალურ მოთხოვნებს, ხოლო ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტები ასევე ძლიერი იყო და უზრუნველყოფდა სექტორის მდგრადობას შესაძლო საგარეო შოკების მიმართ.

ციფრული ტრანსფორმაცია კვლავ ცვლილებების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად რჩებოდა. საბანკო სექტორი განაგრძობდა მნიშვნელოვან ინვესტიციებს ციფრულ არხებში, რის შედეგადაც მობილური და ონლაინ პლატფორმების მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების წილი კიდევ უფრო გაიზარდა. ღია ბანკინგის (Open Banking) ინიციატივებმა და API-ზე დაფუძნებული მომსახურებების გაფართოებამ დამატებითი განვითარება მიიღო, ხოლო ISO 20022 გადახდის შეტყობინებების სტანდარტის დანერგვის მიმართულებით მიღწეულმა პროგრესმა გააუმჯობესა ფინანსური ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა და თავსებადობა.

კაპიტალის ბაზრების აქტივობამაც მნიშვნელოვანი გაძლიერება აჩვენა. ადგილობრივ ბაზარზე კორპორატიული ობლიგაციების გამოშვებამ წლის განმავლობაში 2.7 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც ასახავს ინვესტორების მზარდ ნდობასა და დაფინანსების წყაროების ეტაპობრივ დივერსიფიკაციას ტრადიციული საბანკო დაკრედიტების მიღმა. ამასთანავე, მდგრადი ფინანსების მიმართულებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა — საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ხელი შეუწყო ESG პრინციპების ინტეგრაციას და მწვანე დაფინანსების პრაქტიკის განვითარებას საბანკო სექტორში.

საერთაშორისო დონეზე, ქართული ბანკები კვლავ სარგებლობდნენ ინვესტორებისა და სარეიტინგო სააგენტოების პოზიტიური დამოკიდებულებით. რამდენიმე ფინანსურმა ინსტიტუტმა შეინარჩუნა ან გააუმჯობესა პერსპექტივა, რაც ასახავს მაღალ კაპიტალიზაციას, ძლიერ მომგებიანობასა და მდგრად საოპერაციო შედეგებს. აღნიშნულს დამატებით ხელს უწყობდა უცხოური კაპიტალის უწყვეტი შემოდინება და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან შენარჩუნებული ინტერესი.

საერთო ჯამში, 2025 წელი შეიძლება შეფასდეს როგორც ორნიშნა ზრდის, მაღალი მომგებიანობისა და სტრუქტურული პროგრესის კიდევ ერთი წელი. საქართველოს საბანკო სექტორმა არა მხოლოდ გააძლიერა ფინანსური მდგრადობა — აქტივების ზრდით, რომელიც დაახლოებით 20%-ს უახლოვდებოდა, 20%-ზე მაღალი ROE-ით და დაბალი ერთნიშნა NPL მაჩვენებლებით — არამედ მნიშვნელოვანი წინსვლა აჩვენა გრძელვადიანი განვითარებისათვის კრიტიკულ მიმართულებებში, მათ შორის ციფრულ ტრანსფორმაციაში, ფინანსური წყაროების დივერსიფიკაციასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მარეგულირებელ შესაბამისობაში.

აღნიშნული ტენდენციები ქმნის საფუძველს იმისთვის, რომ საბანკო სექტორი მომავალშიც დარჩეს მდგრადი და კონკურენტუნარიანი, ამავდროულად კი განაგრძოს ცენტრალური როლის შესრულება ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერაში.

მოსალოდნელია, რომ ინფლაცია ეტაპობრივად დასტაბილურდება, ხოლო ფრთხილი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ხელს შეუწყობს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. საბანკო სექტორი კვლავ მაღალი კაპიტალიზაციის, ლიკვიდობისა და მომგებიანობის პირობებში გააგრძელებს საქმიანობას და ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მიუხედავად პოზიტიური პერსპექტივისა, საქართველოს ეკონომიკა კვლავ ექვემდებარება რამდენიმე მნიშვნელოვან რისკს. რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ, მათ შორის უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა, შესაძლოა გავლენა მოახდინოს სავაჭრო ნაკადებზე, ტურისტულ აქტივობაზე, ინვესტორთა ნდობასა და ენერგორესურსების ფასებზე. გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე შენარჩუნებულმა მერყეობამ შესაძლოა დამატებითი ინფლაციური წნეხი შექმნას და გაზარდოს ბიზნესებისა და შინამეურნეობების საოპერაციო ხარჯები.

სექტორის ტენდენციები

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბანკებად გარდაქმნა;
- ციფრული ბანკების ბაზარზე შემოსვლა;
- ტრადიციული ბანკების ძლიერი ციფრული ტრანსფორმაცია;
- უფრო მკაცრი მარეგულირებელი შესაბამისობა;
- გაძლიერებული კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდობის წესები;
- ობლიგაციების გამოშვებისკენ გადახრა.

ეკონომიკური და სექტორული პროგნოზები

- ინფლაციის მოლოდინი 3%-ზე;
- მშპ-ის წლიური ზრდა 5%–6%;
- ძლიერი ეროვნული ვალუტა;
- მდგრადი კაპიტალისა და ფულადი გზავნილების შემოდინება;
- სტაბილური უცხოური რეზერვები, სესხების ზრდა 13–15%.

პერსპექტივა და ძირითადი რისკები

2025 წელს კიდევ ერთი ძლიერი ეკონომიკური შედეგების წლის შემდეგ, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა 2026 წელსაც გააგრძელებს ზრდას, თუმცა უფრო ზომიერი ტემპით. ეკონომიკური ზრდა კვლავ ძლიერი იქნება და რეგიონულ საშუალო მაჩვენებლებს გადააჭარბებს, რასაც ხელს შეუწყობს მდგრადი შიდა მოთხოვნა, საინვესტიციო აქტივობა, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და მომსახურების სექტორის შემდგომი განვითარება.

როგორც მცირე და ღია ეკონომიკა, საქართველო კვლავ მგრძნობიარეა მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მიმართ. გლობალური ან რეგიონული ეკონომიკური ზრდის შენელებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ექსპორტზე, ფულად გზავნილებზე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საგარეო მოთხოვნაზე. ამასთანავე, გლობალური ფინანსური პირობების გამკაცრებამ, მაღალმა საპროცენტო

მიმოხილვა - საოპერაციო გარემო გაგრძელება

განაკვეთებმა ან საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე გაზრდილმა მერყეობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საგარეო დაფინანსების ხელმისაწვდომობასა და დაფინანსების ღირებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ლარი 2025 წლის განმავლობაში ძირითადად სტაბილური იყო, გაცვლითი კურსის მერყეობა კვლავ წარმოადგენს პოტენციურ რისკს ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულებისა და საგარეო შემოდინებების მნიშვნელობის გამო. ვალუტის მნიშვნელოვანმა მერყეობამ შესაძლოა გაზარდოს ინფლაციური წნეხი და გავლენა მოახდინოს უცხოურ ვალუტაში მსესხებლების ვალდებულებების მომსახურების შესაძლებლობაზე.

შიდა რისკებს შორის აღსანიშნავია მოსალოდნელზე მაღალი ინფლაცია, საკრედიტო აქტივობის სწრაფი ზრდა, ეკონომიკური პირობების გაუარესების შემთხვევაში აქტივების ხარისხის შესაძლო შემცირება, ასევე სტრუქტურული რეფორმებისა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის ტემპთან დაკავშირებული გაურკვევლობები. მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, ძლიერი მაკროეკონომიკური საფუძვლების, გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის, ადეკვატური საერთაშორისო რეზერვებისა და მდგრადი ფინანსური სექტორის მხარდაჭერით, საქართველო 2026 წელს შედარებით ძლიერი პოზიციიდან ხვდება და კარგად არის მომზადებული საგარეო გამოწვევებთან გასამკლავებლად.

2026 წლის თებერვლის მდგომარეობით, ძირითადი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები — Fitch, S&P და Moody's — საქართველოსთვის ინარჩუნებენ სტაბილურ პერსპექტივას, რაც ასახავს ძლიერ მაკროეკონომიკურ მდგრადობას, ასევე მიმდინარე გეოპოლიტიკურ და შიდა პოლიტიკურ რისკებს შორის არსებულ ბალანსს.

სააგენტო	რეიტინგი	პერსპექტივა	ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები
S&P Global	BB/B	სტაბილური	ძლიერი ეკონომიკური და ფისკალური შედეგები, რაც ნაწილობრივ დაბალანსებულია დროებით მიგრაციულ შემოდინებებზე დამოკიდებულებით.
Fitch Ratings	BB	სტაბილური	უცხოური ვალუტის რეზერვების მნიშვნელოვანი ზრდა (5.6–6.2 მლრდ აშშ დოლარამდე მიღწევა); საბანკო სექტორის მაღალი მომგებიანობა.
Moody's	Ba2	სტაბილური	მაკროეკონომიკური მდგრადობა; რეგიონული გეოპოლიტიკური რისკების დაბალანსებული შეფასება.

გლობალური და რეგიონული რისკები

აშშ-ის ტარიფების გავლენა: 2025 წლის აპრილში დაწესებული აშშ-ის ტარიფები კვლავ ახდენს გავლენას გლობალურ სავაჭრო ნაკადებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირდაპირი ექსპორტის დამოკიდებულება აშშ-ის ბაზარზე დაბალია (დაახლოებით 1%), არაპირდაპირი გავლენა შესაძლოა გამოიხატოს ინვესტორთა განწყობის გაუარესებასა და ავტომობილების რეექსპორტის მარჟების შესაძლო შემცირებაში, რასაც ბანკი აგრძელებს მონიტორინგს საკრედიტო პორტფელის შეფასების პროცესში.

გეოპოლიტიკური მერყეობა: უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი კვლავ რჩება „ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლადად" რეგიონისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სარგებლობდა სატრანზიტო ვაჭრობითა და კონფლიქტთან დაკავშირებული ფინანსური შემოდინებებით, ამ ნაკადების შესაძლო ცვლილებამ შესაძლოა გარკვეული დროებითი სარგებლის შემცირება გამოიწვიოს.

რეგიონული ინტეგრაცია: სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2025 წლის აგვისტოში მიღწეული წინასწარი სამშვიდობო შეთანხმება განიხილება როგორც პოზიტიური ფაქტორი რეგიონული სტაბილურობისა და სამხრეთ კავკასიაში 2026 წლისთვის უფრო ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით.

სტრატეგიული ზრდის მამოძრავებელი ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს განვითარებად როლს, როგორც ლოგისტიკური ჰაბის

შუა დერეფნის (Middle Corridor) მნიშვნელობის ზრდა: 2026 წლის თებერვალში მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა შუა დერეფნის მნიშვნელობა, როგორც სტაბილური და საიმედო სატრანზიტო მარშრუტის, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთ აზიასა და ევროპას.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი: მშენებლობა აქტიურ ფაზაში გადავიდა და პორტი 2026 წლისთვის უნდა ამოქმედდეს. ევროკომისიის მიერ აღიარებული, როგორც ევროპის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტი, პორტი მიზნად ისახავს დიდი მოცულობის საკონტეინერო გემების მიღებას და 2035 წლისთვის ყოველწლიურად მინიმუმ 1 მილიონი TEU-ის გადამუშავებას.

ენერგეტიკული დაკავშირებადობა: საქართველომ 2026 წლის ბიუჯეტში გამოყო 25 მლნ ლარი შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის გეოლოგიური კვლევებისთვის. აღნიშნული პროექტი, რომლის სავარაუდო ღირებულება 2.3 მილიარდ ევროს შეადგენს და მიზნად ისახავს საქართველოს ელექტროენერგეტიკული და ციფრული სისტემების პირდაპირ დაკავშირებას რუმინეთთან, კვლავ რჩება 2026–2028 წლების რეგიონული ინტეგრაციის სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად.

სტრატეგიული პრიორიტეტები

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენი სტრატეგიული მიმართულება მყარი და აქტუალური რჩებოდეს, ჩვენ ვინარჩუნებთ მუდმივ დიალოგს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათი პერსპექტივებისა და უკუკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ინტეგრირებით.



მიმოხილვა

მომავლის პერსპექტივაში, ჩვენ ვხედავთ მკაფიო შესაძლებლობებს არსებული პოზიტიური დინამიკის კიდევ უფრო გასაძლიერებლად. 2026 წელს ძლიერი ბალანსით, გაუმჯობესებული ლიკვიდობითა და მყარი კაპიტალის ბაზით ვხვდებით, რაც გვაძლევს შესაძლებლობას გავაფართოვოთ საკრედიტო საქმიანობა და კიდევ უფრო გავაღრმაოთ ურთიერთობები ჩვენს კორპორატიულ და მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მომხმარებლებთან.

ჩვენ კვლავ ერთგული ვრჩებით მდგრადი ზრდისა და ჩვენი დაინტერესებული მხარეებისთვის გრძელვადიანი ღირებულების შექმნის პრინციპისადმი, ამავდროულად განვაგრძობთ რეალური ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერას.

ყოველი წლის ბოლოს ჩვენ ვახორციელებთ ჩვენი მიმდინარე პოზიციის ყოვლისმომცველ შეფასებას და აღნიშნული ანალიზის საფუძველზე განვსაზღვრავთ მომდევნო სამი წლის სტრატეგიულ მიმართულებებს. სს „იშბანკი საქართველოს“ 2026–2028 წლების სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მკაფიო საგზაო რუკას საქართველოს საბანკო სექტორსა და ფართო რეგიონში ჩვენი პოზიციის გასაძლიერებლად.

ჩვენი ყურადღება მიმართულია მდგრად ზრდაზე, ციფრულ ინოვაციებსა და ოპერაციულ სრულყოფილებაზე, ამასთანავე ვინარჩუნებთ რისკების მართვისა და კომპლაენსის მაღალ სტანდარტებს. ჩვენი მიზანია ბანკის გარდაქმნა თანამედროვე, მომხმარებელზე ორიენტირებულ და ტექნოლოგიურად განვითარებულ ფინანსურ ინსტიტუტად.

ძირითადი მიმართულებები

სტრატეგია ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც განსაზღვრავს ჩვენს სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და მათ განხორციელებას ყველა ბიზნესმიმართულებაში.

- ციფრული ტრანსფორმაცია
- მცირე და საშუალო ბიზნესისა და კორპორატიული სექტორის ზრდა
- ბრენდის პოზიციონირება
- რისკების მართვა, შესაბამისობა და ოპერაციული სრულყოფილება
- სახაზინო საქმიანობა და ფინანსური სიძლიერე
- მომხმარებლის გამოცდილება და მომსახურების მოდერნიზაცია
- ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული ტრანსფორმაცია

მისია და ხედვა

გავხდეთ ყველაზე ეფექტიანი და პერსონალიზებული საბანკო პარტნიორი, რომელიც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას მიაღწიონ თავიანთ მიზნებს მათ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების შეთავაზებით.

ჩვენი მისია ეფუძნება ძირითად პრინციპებს, რომლებიც წარმოადგენს ჩვენი სტრატეგიული და საოპერაციო საქმიანობის საფუძველს:

01 ხელი შევუწყოთ ჩვენი მომხმარებლების ეკონომიკურ ზრდასა და წარმატებას;

02 ხელი შევუწყოთ საქართველოსა და თურქეთს შორის ვაჭრობასა და ტრანსსასაზღვრო ბიზნესურთიერთობებს;

03 შევთავაზოთ უსაფრთხო, თანამედროვე და მომხმარებელზე ორიენტირებული საბანკო გადაწყვეტილებები;

04 გავაძლიეროთ შესაბამისობის (compliance) კულტურა და ჩამოვაყალიბოთ ძლიერი რისკების მართვის გარემო;

05 შევქმნათ ციფრული საფუძველი მასშტაბური ზრდის მხარდასაჭერად;

06 შევქმნათ მდგრადი ღირებულება როგორც აქციონერებისთვის, ისე მომხმარებლებისთვის.

ჩვენ ვისწრაფვით, გავხდეთ თანამედროვე, მომხმარებელზე ორიენტირებული და მდგრადი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი ღირებულებებით:



ფინანსური შედეგებისა და ძირითადი მიღწევების მიმოხილვა

სს „იშბანკი საქართველო“ კვლავ ერთგულად აგრძელებს ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობას, ქვეყნის კორპორატიული და კომერციული საწარმოებისთვის ინდივიდუალურად მორგებული ფინანსური გადაწყვეტილებების შეთავაზების გზით.

ჩვენი სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს ძლიერ ბიზნესშედეგებს გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობასთან, რაც უზრუნველყოფს რეპუტაციის პროაქტიულ მართვასა და მკაცრი მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

მდგრადი ზრდისადმი ჩვენი ერთგულების ფარგლებში, ჩვენ აქტიურად ვაუმჯობესებთ საკრედიტო პორტფელის ანალიზის პროცესებს შიდა პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

ამასთანავე, ჩვენ ვისწრაფვით ჯანსაღი და თანამშრომლებისთვის მიმზიდველი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებისკენ, რათა დავრჩეთ სასურველ დამსაქმებლად როგორც არსებული, ისე მომავალი ნიჭიერი პროფესიონალებისთვის.





თბილისის ფილიალი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრისთვის (ათას ქართულ ლარში)

	2025	2024
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	158,048	47,606
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	49,327	40,896
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	326,058	323,601
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	2,976
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	80,162	53,238
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით	8,866	9,823
მოგების გადასახადის აქტივი	369	3,823
სხვა აქტივები	2,523	2,844
სულ აქტივები	**625,353**	**484,807**
ვალდებულებები		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	111,508	138,444
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	275,536	120,318
სხვა ნასესხები სახსრები	56,866	70,186
სუბორდინირებული სესხი	13,479	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	664	670
სხვა ვალდებულებები	6,585	8,808
სულ ვალდებულებები	**464,638**	**338,426**
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	69,162	69,162
გაუნაწილებელი მოგება	91,553	77,219
სულ კაპიტალი	**160,715**	**146,381**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**625,353**	**484,807**

აქტივები და ფინანსური მდგომარეობა

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წელი ჩვენი ბანკისთვის ძლიერი ზრდისა და სტრატეგიული განვითარების პერიოდი იყო, რაც აისახა ბალანსის არსებით გაფართოებასა და ფინანსური მდგომარეობის შემდგომ გაძლიერებაში. სს „იშბანკი საქართველომ“ 2023–2025 წლებში, ბაზრის მერყეობისა და კონკურენტული გარემოს მიუხედავად, მდგრადობა და სტაბილურობა შეინარჩუნა.

ჩვენი მიზნობრივი გაყიდვების სტრატეგიის შესაბამისად, საოპერაციო საქმიანობის ძირითადი აქცენტი კორპორატიული სექტორის კომპანიებთან თანამშრომლობაზე იყო მიმართული. შედეგად, 2025 ფინანსური წელი დასრულდა 625.4 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის აქტივებით, რაც წინა წელთან შედარებით 28.99%-იან ზრდას წარმოადგენს. აღნიშნული მნიშვნელოვანი ზრდა ასახავს ბიზნესის უწყვეტ განვითარებასა და ბალანსის მასშტაბის გაფართოებას.

აქტივების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების 232%-იანი ზრდით, საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვების 20.62%-იანი ზრდით, ასევე სესხებისა და ობლიგაციების პორტფელის უწყვეტი გაფართოებით, რომლის მოცულობა 2023 წლის 328.8 მილიონი ლარიდან 2024 წელს 376.8 მილიონ ლარამდე, ხოლო 2025 წელს 406.2 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

2025 წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა ლიკვიდობის პოზიციის არსებითი გაუმჯობესება. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2024 წლის 47.7 მილიონი ლარიდან 2025 წელს 158 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც ლიკვიდობის მნიშვნელოვან გაძლიერებას ასახავს. აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო მომხმარებელთა დეპოზიტების ძლიერი ზრდითა და სახაზინო საქმიანობის გონივრული მართვით.

ეს შედეგი ასახავს როგორც მომხმარებლების მხრიდან მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების შემოდინებას, ასევე ლიკვიდობის მართვის კონსერვატიულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს საკმარისი ლიკვიდური ბუფერის შენარჩუნებას მომავალი ზრდისა და ვალდებულებების დროული შესრულების მხარდასაჭერად.

ჩვენ კვლავაც უპირატესობას ვანიჭებთ აქტივების ხარისხისა და მდგრადი ზრდის უზრუნველყოფას სწრაფ გაფართოებასთან შედარებით და ვინარჩუნებთ დაბალანსებულ რისკის პროფილს დინამიკურ ეკონომიკურ გარემოში.

დაფინანსების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი მივაღწიეთ დეპოზიტების ბაზის გაძლიერებაში. მომხმარებელთა მიმართ ვალდებულებები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 275.5 მილიონ ლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტია. აღნიშნული ზრდა ასახავს მომხმარებელთა ნდობის გაძლიერებასა და ჩვენი დაფინანსების სტრატეგიის ეფექტიანობას, რამაც შესაძლებელი გახადა გარე დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება. ამ მიდგომის შესაბამისად, წლის განმავლობაში შემცირდა საკრედიტო ინსტიტუტებისა და სხვა ნასესხები სახსრების მიმართ ვალდებულებებიც.

ვალდებულებებისა და დაფინანსების საერთო მოცულობა 37.29%-ით გაიზარდა და 464.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც აქტივების ზრდის ტემპს აღემატებოდა. ამასთანავე, კიდევ უფრო გავაძლიერეთ კაპიტალის პოზიცია. მთლიანი კაპიტალი 160.7 მილიონ ლარს მიაღწია, რასაც მხარი დაუჭირა გაუნაწილებელი მოგების ზრდამ 91.6 მილიონ ლარამდე, რაც მიუთითებს ბანკის მაღალ მომგებიანობასა და კაპიტალის შიდა რესურსებით გენერირების შესაძლებლობაზე.

საერთო ჯამში, 2025 წელი გამოირჩეოდა ძლიერი ფინანსური ზრდით, დაფინანსების ხარისხის გაუმჯობესებითა და ლიკვიდობის მნიშვნელოვანი გაძლიერებით. ჩვენ განვაგრძეთ უფრო სტაბილურ და მდგრად დაფინანსების მოდელზე გადასვლა, რომლის საფუძველსაც მზარდი დეპოზიტების ბაზა და გარე დაფინანსებაზე შემცირებული დამოკიდებულება წარმოადგენს, რაც ქმნის მყარ საფუძველს მომავალი ზრდისთვის.

ფინანსური შედეგები

2025 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)

	2025	2024
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	40,830	38,265
საპროცენტო ხარჯი	(16,332)	(15,839)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**24,498**	**22,426**
საკომისიო შემოსავალი	3,318	3,313
საკომისიო ხარჯი	(450)	(608)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**2,868**	**2,705**
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსულობა, შემცირებული ზარალით	1,859	987
საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა	(406)	492
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	**1,453**	**1,470**
სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასვლიდან მიღებული ზარალი	-	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(851)	(2)
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდეგ	**27,968**	**26,599**
პერსონალის ხარჯები	(6,325)	(6,486)
სხვა შემოსავალი	1,232	3
სხვა ხარჯები	(4,837)	(4,970)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**18,038**	**15,146**
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,704)	(2,823)
წლის მოგება	**14,334**	**12,323**
სხვა სრული შემოსავალი		
სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	-	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**-**	**-**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**14,334**	**12,323**

შემოსავლები და ფინანსური შედეგები

2025 წელს ბანკმა აჩვენა მდგრადი და დაბალანსებული ფინანსური შედეგები, რასაც ხელი შეუწყო კორპორატიულ და მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) სეგმენტებზე სტრატეგიულმა ფოკუსმა, დისციპლინირებულმა რისკების მართვამ და ძირითადი საბანკო მომსახურებების უწყვეტმა გაფართოებამ.

ჩვენი ბიზნესმოდელი, რომელიც ეფუძნება კორპორატიულ დაკრედიტებას, დეპოზიტების მოზიდვასა და ტრანზაქციულ საბანკო მომსახურებებს, მათ შორის ადგილობრივ და საერთაშორისო გადარიცხვებსა და სავალუტო ოპერაციებს, კვლავ უზრუნველყოფს შემოსავლების სტაბილურ და დივერსიფიცირებულ წყაროებს.

სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ძირითადი შემოსავლის წყარო — წმინდა საპროცენტო შემოსავალი — წლიურად 9.24%-ით გაიზარდა და 24.5 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 2024 წელს 22.4 მილიონ ლარს შეადგენდა. აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო როგორც საკრედიტო პორტფელის, ისე ლიკვიდური აქტივების მნიშვნელოვანი ზრდით, რამაც მოგვცა დამატებითი შემოსავლიანობის მიღების შესაძლებლობა.

საპროცენტო შემოსავალი დაახლოებით 6.7%-ით გაიზარდა, ხოლო საპროცენტო ხარჯი 3.11%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად მომხმარებელთა დეპოზიტების 129%-იანმა ზრდამ განაპირობა. მიუხედავად ამისა, ბანკმა შეინარჩუნა მაღალი წმინდა საპროცენტო მარჟა, რასაც ხელი შეუწყო მაღალი შემოსავლიანობის მქონე კორპორატიულ და SME დაკრედიტებაზე ორიენტირებულმა სტრატეგიამ.

საკომისიო შემოსავლები (წმინდა) 6.03%-ით გაიზარდა და 2.9 მილიონ ლარს მიაღწია, რაც მომხმარებელთა ბაზაში ტრანზაქციული აქტივობის სტაბილურ ზრდას ასახავს. გადახდის მომსახურებები — როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, მათ შორის თურქეთთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო გადახდის დერეფნები — ანგარიშების მომსახურებასა და სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებულ საკომისიოებთან ერთად, კვლავ წარმოადგენდა არასაპროცენტო შემოსავლების საიმედო წყაროს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ბანკის მზარდ როლს, როგორც ტრანზაქციული საბანკო მომსახურების მნიშვნელოვან ცენტრს, განსაკუთრებით კორპორატიული მომხმარებლებისთვის.

წმინდა შემოსავალი უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან წლიურად 1.16%-ით შემცირდა და 1.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ძირითადად ბაზარზე მერყეობის შემცირებით იყო განპირობებული. მიუხედავად ამისა, სავალუტო ოპერაციები კვლავ რჩება შემოსავლების მნიშვნელოვან დამატებით წყაროდ, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მომხმარებელთა ტრანზაქციებსა და სავაჭრო ოპერაციებთან.

საკრედიტო დანაკარგების რეზერვების შემდეგ საოპერაციო შემოსავალი 5.15%-ით გაიზარდა და 28 მილიონ ლარს მიაღწია, მაშინ როდესაც 2024 წელს 26.6 მილიონ ლარს შეადგენდა. აღნიშნული შედეგი მიღწეული იქნა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის 0.9 მილიონ ლარამდე ზრდის მიუხედავად, რაც ასახავს უფრო კონსერვატიულ რეზერვირების პოლიტიკასა და ჩვენი საკრედიტო საქმიანობის შესაბამის გონივრულ რისკების აღიარებას.

წლის განმავლობაში შევინარჩუნეთ ხარჯების მკაცრი კონტროლი. მთლიანი საოპერაციო ხარჯები მცირედით შემცირდა — პერსონალის ხარჯები 2.48%-ით, ხოლო სხვა საოპერაციო ხარჯები 2.68%-ით შემცირდა, მიუხედავად ბიზნესის ზრდისა. შედეგად, კიდევ უფრო გავაუმჯობესეთ ოპერაციული ეფექტიანობა, რადგან შემოსავლების ზრდის ტემპმა გადააჭარბა ხარჯების ზრდის დინამიკას.

მოგება მოგების გადასახადამდე 19.09%-ით გაიზარდა და 18 მილიონი ლარი შეადგინა, 2024 წლის 15.1 მილიონ ლართან შედარებით. წლის წმინდა მოგებამ 14.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლიურად 16.32%-იან ზრდას წარმოადგენს და ადასტურებს ჩვენს შესაძლებლობას, შემოსავლების ზრდა და ოპერაციული ეფექტიანობა მდგრად ფინანსურ შედეგებში გარდავქმნათ.

მიუხედავად იმისა, რომ საკრედიტო პორტფელის ზრდა ზომიერი იყო, ეს ასახავს ჩვენს მიზანმიმართულ სტრატეგიას, რომელიც სწრაფ გაფართოებაზე მეტად აქტივების ხარისხისა და მდგრადი მომგებიანობის უზრუნველყოფას ანიჭებს უპირატესობას. ამასთანავე, ლიკვიდობის პოზიციის მნიშვნელოვანმა გაძლიერებამ შეგვიქმნა შესაძლებლობა, სრულად ვისარგებლოთ მომავალი დაკრედიტების შესაძლებლობებით და მოქნილად ვუპასუხოთ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებს.

ლიკვიდურობა და ფულადი სახსრების მართვა

2025 წელს სს „იშბანკი საქართველოს“ სახაზინო და ფინანსური ინსტიტუტების მიმართულებები კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბანკის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და ბიზნესის ზრდის მხარდაჭერაში. ჩვენ ვმართავთ ლიკვიდობისა და საბაზრო რისკებს მენეჯმენტის მიერ დამტკიცებული სტრუქტურირებული ჩარჩოს ფარგლებში, რომლის ზედამხედველობასაც ახორციელებენ ბანკის მმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO).

წლის განმავლობაში ბანკმა შეინარჩუნა ძლიერი ლიკვიდობის პოზიცია, რასაც მხარს უჭერდა მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების (HQLA) საკმარისი ბუფერი და კონსერვატიული დაფინანსების პოლიტიკა. ლიკვიდობის ძირითადი მაჩვენებლები მთელი წლის განმავლობაში სტაბილურად აღემატებოდა მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნებს, ხოლო ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR) პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 200%-ს შეადგენდა. ლიკვიდობა იმართება წინმსწრები დაგეგმვისა და უწყვეტი მონიტორინგის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ბანკის უნარს, დროულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები როგორც ჩვეულებრივ, ისე სტრესულ პირობებში.

დაფინანსების წყარო	თანხა (ათასი ლარი)	წილი
მომხმარებელთა დეპოზიტები	275,536	62.59%
ნასესხები სახსრები	56,866	12.92%
ფულის ბაზარი	107,855	24.50%
სულ	**440,257**	**100.00%**

დაფინანსების სტრუქტურის საფუძველს კვლავ სტაბილური, კორპორატიული მომხმარებლების დეპოზიტების ბაზა წარმოადგენს, რომელმაც მთლიანი დაფინანსების დაახლოებით 63% შეადგინა. ფინანსური ინსტიტუტებისა და საერთაშორისო პარტნიორებისგან მოზიდული გარე დაფინანსება ავსებს დეპოზიტების ბაზას, რაც საშუალებას გვაძლევს მხარი დავუჭიროთ საკრედიტო პორტფელის ზრდას, ლიკვიდობის გონივრული ბუფერების შენარჩუნების პარალელურად. წლის ბოლოს მდგომარეობით, სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობის (Loan-to-Deposit Ratio) მაჩვენებელმა 105% შეადგინა, რაც ასახავს აქტიური დაკრედიტების პერიოდს, რომელიც ბანკის საერთო ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს ფარგლებში ხორციელდებოდა.

სახაზინო საქმიანობა ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში, რომლის ძირითადი მიზანია კაპიტალის დაცვა და ბალანსის გონივრული მართვა. ბანკი არ ახორციელებს საკუთარი ანგარიშით სავაჭრო ოპერაციებს, ხოლო ყველა სავალუტო ოპერაცია სრულდება მომხმარებელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე ან ლიკვიდობის მართვის მიზნით. ლიკვიდობისა და საბაზრო რისკების მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. მათი ყოველდღიური მართვა და კონტროლი უზრუნველყოფილია სახაზინო ფუნქციის მიერ, რომელიც მოქმედებს დადგენილი მმართველობითი და ზედამხედველობის მექანიზმების ფარგლებში.

რისკის ექსპოზიციები იმართება შიდა ლიმიტების შესაბამისად, რომლებიც მიზანმიმართულად განსაზღვრულია მარეგულირებელი მოთხოვნებისგან უფრო კონსერვატიულ დონეზე. აღნიშნული მიდგომა ქმნის დამატებით დაცვით ბუფერს ბაზრის მერყეობის წინააღმდეგ და უზრუნველყოფს, რომ ბანკის საქმიანობა ყოველთვის მისაღები რისკის პარამეტრების ფარგლებში განხორციელდეს. აღნიშნულ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება და აისახება ბანკის მმართველობის სისტემის შესაბამის ანგარიშგებაში. ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელი, რომლის მოცულობა დაახლოებით 80 მილიონ ლარს შეადგენს, ძირითადად ლიკვიდობის ბუფერის ფუნქციას ასრულებს. პორტფელის 70%-ზე მეტი საქართველოს ეროვნულ ბანკში რეფინანსირებისთვის არის უფლებამოსილი, რაც საჭიროების შემთხვევაში რეპო ოპერაციების მეშვეობით ლიკვიდობის მოზიდვის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. პორტფელის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია ისე, რომ დააბალანსოს ლიკვიდობის საჭიროებები და შემოსავლიანობა, დაბალი რისკის პროფილის შენარჩუნებით.

ფინანსური ინსტიტუტების მიმართულება დამატებით აძლიერებს ბანკის ლიკვიდობისა და დაფინანსების სტრატეგიას საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე წვდომის უზრუნველყოფით. ბანკი თანამშრომლობს 50-ზე მეტ ფინანსურ ინსტიტუტთან თურქეთში, ევროპასა და სხვა საერთაშორისო ბაზრებზე, ხოლო დივერსიფიცირებული საკრედიტო ლიმიტების საერთო მოცულობა 200 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. აღნიშნული პარტნიორული ურთიერთობები ხელს უწყობს ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციების განხორციელებას, სავაჭრო დაფინანსების ოპერაციების მხარდაჭერასა და უცხოურ ვალუტაში დაფინანსების წყაროებზე წვდომას. როგორც Türkiye İş Bankası-ს შვილობილი ბანკი, ჩვენ ვსარგებლობთ ჯგუფის ჩამოყალიბებული საერთაშორისო ქსელითა და მშობელი ბანკის დაფინანსების რესურსებზე ხელმისაწვდომობით. ეს მოიცავს დადასტურებულ ბანკთაშორის საკრედიტო ხაზებსა და სუბორდინირებულ დაფინანსებას, რაც ბანკს დამატებით ფინანსურ მოქნილობას ანიჭებს. ამასთანავე, ბანკი ინარჩუნებს დამოუკიდებელ და თვითკმარ ლიკვიდობის პროფილს და ყოველდღიურ საქმიანობაში საკუთარი დაფინანსების საჭიროებებს დამოუკიდებლად მართავს.



ჯუთა–ჭაუხის ბილიკი — ყაზბეგის ეროვნული პარკი

მდგრადობის მიმოხილვა

სს იშბანკი საქართველოს ESG მიდგომა დამტკიცებულია ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ. საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია შესაბამისი პროცედურების დანერგვასა და განხორციელებაზე. აღნიშნული პროცედურები გადაიხედება მინიმუმ წელიწადში ერთხელ ან საჭიროების შემთხვევაში.

სს იშბანკი საქართველო აცნობიერებს, რომ მის საქმიანობას შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გავლენა გარემოსა და იმ საზოგადოებაზე, სადაც იგი ოპერირებს.



ჩვენი მიდგომა

ჩვენი მიზანია, პასუხისმგებლობით ვმართოთ ჩვენი საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ გარემოსა და ჩვენი დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლო უარყოფითი გავლენა და ამავდროულად შევქმნათ გრძელვადიანი ღირებულება ჩვენი აქციონერებისთვის.

აღნიშნული მიდგომის დაინტერესებული მხარეებისა და აქციონერებისთვის გასაზიარებლად, სს „იშბანკი საქართველოს“ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ერთგულებას მდგრადი დაფინანსების მიმართ, როგორც პასუხისმგებლიანი კორპორაციული მართვის განუყოფელი ნაწილისადმი. ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, საკუთარი საქმიანობა გარემოსა და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლიანი მიდგომით ვაწარმოოთ.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დაცვის მიზნით, ჩვენ ასევე ვცდილობთ უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი მომხმარებლებიც სათანადოდ ასრულებდნენ თავიანთ გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობებს. ჩვენ ვაღიარებთ, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების იდენტიფიცირება და შეფასება რისკების მართვის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

ჩვენი მომხმარებლების შეფასებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების, ასევე შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას, აგრეთვე გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, დაბალნახშირბადიანი ეკონომიკის (Low-Carbon Economy – LCE) და შრომითი პრაქტიკის საუკეთესო სტანდარტების დანერგვას, როგორც ეფექტიანი კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ინდიკატორებს.

კომერციული დაკრედიტების პროცესში სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით, რისკებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების უზრუნველსაყოფად, სს „იშბანკი საქართველომ“ შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები (Environmental and Social Risk Management Procedures). აღნიშნული პროცედურები სრულად არის ინტეგრირებული ბანკის საკრედიტო რისკების მართვის პროცესში და სისტემატურად გამოიყენება ყველა კომერციული ტრანზაქციის მიმართ (ანუ იურიდიულ პირებთან განხორციელებული ოპერაციების შემთხვევაში).


გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა (Environmental and Social Risk Management Policy), გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები, აგრეთვე მათი პრაქტიკული განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუმენტები, ერთობლივად წარმოადგენს ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ჩარჩოს (ESRMP) ძირითად კომპონენტებს.

აღნიშნული პროცედურების მიზანია კომერციულ დაკრედიტებასა და საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შეფასება, რათა მაქსიმალურად იყოს ხელშეწყობილი გარემოსდაცვითად და სოციალურად პასუხისმგებლიანი, მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ხოლო ბანკის ფინანსური ტრანზაქციებიდან გამომდინარე გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებით განპირობებული ფინანსური, რეპუტაციული და სამართლებრივი რისკები და ვალდებულებები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები მოიცავს ტრანზაქციების შესაბამისობის შეფასებას (Transaction Qualification), გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიზაციას, იდენტიფიცირებას, სათანადო შეფასებას, შემარბილებელი ღონისძიებებისა და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრას, აგრეთვე მათი მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესს.

პროცედურები ასევე ითვალისწინებს ESG ანგარიშგებისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპების (ESG Reporting and Disclosure Principles, თებერვალი 2020) შესაბამის მოთხოვნებს, IFC-ის საქმიანობის სტანდარტებს (Performance Standards – PSs) და შესრულების მოთხოვნებს (Performance Requirements – PRs). აღნიშნული ESRMP-ის დანერგვა უზრუნველყოფს, რომ ბანკის საქმიანობა სრულ შესაბამისობაში იყოს მესამე სვეტის (Pillar 3) რეგულაციებთან, საქართველოს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან, საქართველოში მდგრადი ფინანსების საგზაო რუკასთან, ESG სტანდარტებთან (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018) და IFC-ის მოთხოვნებთან.

ყველა კომერციული ტრანზაქციის ფარგლებში, ჩვენ ვცდილობთ უზრუნველვყოთ, რომ მომხმარებლებს დანერგილი ჰქონდეთ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ორგანიზებული და სისტემური მიდგომა, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი და ეროვნული გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების, აგრეთვე შრომითი კანონმდებლობისა და შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობას.





შავი როჭოს ჩანჩქერი — ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები

ჩვენი დაინტერესებული მხარეები

თანამშრომლები

ჩვენ ვქმნით მხარდამჭერ, ინკლუზიურ სამუშაო გარემოს, სადაც ჩვენს ადამიანებს ზრდის შესაძლებლობა ეძლევათ.

მომხმარებლები

ჩვენ ვაღწევთ შედეგებს მომხმარებელზე ორიენტირებული, ინოვაციური და მორგებული მომსახურებით.

ინვესტორები

ჩვენ უზრუნველვყოფთ დაინტერესებული მხარეების ნდობას მართვის მაღალი სტანდარტების, თანმიმდევრული შედეგებისა და გამჭვირვალე კომუნიკაციის შენარჩუნებით.

მარეგულირებლები

ჩვენ ვინარჩუნებთ მართვის მყარ ჩარჩოებს და უზრუნველვყოფთ სრულ შესაბამისობას ყველა მარეგულირებელ ვალდებულებასთან.



იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენი სტრატეგიული მიმართულება მყარი და აქტუალური რჩებოდეს, ჩვენ ვინარჩუნებთ პროაქტიულ, უწყვეტ დიალოგს ჩვენს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათი მრავალფეროვანი პერსპექტივების, ხედვებისა და კონსტრუქციული უკუკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გულმოდგინე ინტეგრირებით.



ჩვენი თანამშრომლების გაძლიერება

„ადამიანების გაძლიერება კეთილსინდისიერების, სრულყოფილებისა და თანამშრომლობის მეშვეობით, რათა ერთად შევქმნათ მდგრადი ღირებულება.“

მიმოხილვა

თანამშრომლები ჩვენი გრძელვადიანი წარმატების საფუძველი და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მათი ცოდნა, პროფესიონალიზმი, ინოვაციური მიდგომა და ერთგულება გვაძლევს შესაძლებლობას, შევთავაზოთ მომხმარებლებს მაღალი ხარისხის ფინანსური მომსახურება, ავაშენოთ მათთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები და წარმატებით მოვერგოთ სწრაფად ცვალებად საბანკო გარემოს. გვჯერა, რომ ძლიერი ორგანიზაციული კულტურა, უწყვეტი განვითარების შესაძლებლობები და ინკლუზიური, მხარდამჭერი სამუშაო გარემო უმნიშვნელოვანესია ნიჭიერი პროფესიონალების მოზიდვის, შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ჩვენ ერთგულნი ვართ ისეთი სამუშაო გარემოს შექმნისა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ექნება შესაძლებლობა განვითარდეს როგორც პროფესიულად, ისე პიროვნულად, თავისუფლად წარმოადგინოს საკუთარი იდეები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ორგანიზაციის განვითარებაში. უწყვეტი სწავლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების, საქმიანობის შეფასების სისტემის, ლიდერობის განვითარების ინიციატივებისა და თანამშრომელთა კეთილდღეობის მხარდამჭერი აქტივობების მეშვეობით ვქმნით კულტურას, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას, ანგარიშვალდებულებას, ინოვაციასა და მაღალი შედეგების მიღწევას.

თანამშრომელთა ჩართულობა ჩვენი ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია. ღია კომუნიკაცია, რეგულარული უკუკავშირის მექანიზმები და მენეჯმენტთან გამჭვირვალე ურთიერთობა ხელს უწყობს ნდობის განმტკიცებას და ორგანიზაციის ყველა დონეზე თანამშრომელთა აქტიურ მონაწილეობას. ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ თანამშრომელთა გამოცდილების გაუმჯობესებაზე, კარიერული განვითარების მხარდაჭერაზე, მიღწევების აღიარებაზე, მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობაზე, ასევე ისეთი სამუშაო კულტურის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ურთიერთპატივისცემასა და კეთილსინდისიერებას ეფუძნება.

ჩვენი თანამშრომლების განვითარებაში ინვესტირებით ვაძლიერებთ ბანკის საოპერაციო შესაძლებლობებს, ვაუმჯობესებთ მომხმარებელთა გამოცდილებას და ხელს ვუწყობთ ჩვენი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების განხორციელებას. გვჯერა, რომ მოტივირებული, ჩართული და გაძლიერებული თანამშრომლები წარმოადგენს მდგრადი ღირებულების შექმნის მთავარ საფუძველს როგორც ჩვენი მომხმარებლებისთვისა და აქციონერებისთვის, ისე საზოგადოებისათვის.



ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება

ჩვენ პროფესიონალ ბანკირებს მიზნობრივი შერჩევის პროცესის მეშვეობით ვიზიდავთ და, ამავდროულად, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ნიჭიერი თანამშრომლების ორგანიზაციის შიგნით განვითარებას. საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციისა და გარკვეული სპეციალიზებული უნარების დეფიციტის გათვალისწინებით, ჩვენი მიზანია მრავალფეროვანი ტალანტების მართვის პრაქტიკისა და ისეთი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც თანამშრომელთა გრძელვადიან ჩართულობასა და კარიერულ განვითარებას უწყობს ხელს. იმისათვის, რომ თანამშრომლებს İşbank-ის გუნდში მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში პოზიტიური გამოცდილება ჰქონდეთ, ვცდილობთ, შევთავაზოთ მათ თანამშრომელთა შენარჩუნების საუკეთესო პრაქტიკა დასაქმების პროცესიდანვე.

თანამშრომელთა გამოცდილებას ვაუმჯობესებთ ადაპტაციის (Onboarding) პროგრამების მხარდაჭერითა და გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩატარებული მიზნობრივი შეხვედრების მეშვეობით. თანამშრომლებს რეგულარულად ვაძლევთ უკუკავშირს, რომელშიც გამოკვეთილია როგორც მათი ძლიერი მხარეები, ისე განვითარების შესაძლებლობები. ჩვენ ასევე უზრუნველვყოფთ, რომ თანამშრომელთა ბენეფიტების პაკეტი პასუხობდეს მათ მნიშვნელოვან საჭიროებებს და მოიცავდეს ჯანმრთელობის დაზღვევას, ანაზღაურებად შვებულებასა და დასვენების დღეებს, დეკრეტულ და მამობის შვებულებას, ასევე დამატებით ანაზღაურებად შვებულებას ქორწინების, შვილის დაბადების, საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა და გადაუდებელი პირადი გარემოებების შემთხვევაში.

წლის ბოლოს თანამშრომელთა კეთილდღეობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად დავნერგეთ ჰიბრიდული სამუშაო მოდელის კონცეფცია. ასევე, მუდმივად ვაკვირდებით საბანკო სექტორში ანაზღაურებისა და ბენეფიტების ბაზრის ტენდენციებს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე რეგულარულად ვაახლებთ თანამშრომელთა შეღავათების პაკეტს.



„საქართველოს მაღალკონკურენტულ შრომის ბაზარზე ჩვენ ვაგრძელებთ ისეთი პრაქტიკის დანერგვას, რომელიც მორგებულია თანამშრომელთა კარიერულ საჭიროებებსა და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს. გვჯერა, რომ სწორედ ამ მიდგომით ვქმნით დამატებით ღირებულებას და ვცდებით ტრადიციული, ხაზოვანი მიდგომების ფარგლებს.“

სწავლება და განვითარება

ჩვენ მუდმივად ვახორციელებთ ინვესტიციას თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაში. ამ მიზნით ვთანამშრომლობთ მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან სასწავლო პლატფორმასთან — Udemy — და მთელი წლის განმავლობაში ვაერთიანებთ ონლაინ სასწავლო კურსებს თანამშრომელთა და გუნდების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებთან. პროფესიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სამუშაო პროცესში სწავლება (On-the-job Development), რომელიც თანამშრომლებს ეხმარება თავიანთი ფუნქციების ეფექტიანად შესასრულებლად საჭირო კომპეტენციების განვითარებაში. ჩვენ ვცდილობთ უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი თანამშრომლები მზად იყვნენ მუდმივად ცვალებადი ბიზნესისა და მარეგულირებელი გარემოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ინდივიდუალური განვითარების გეგმა (Individual Development Plan – IDP), რომელსაც თანამშრომლები უშუალო ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით ადგენენ. აღნიშნული გეგმა თანამშრომლის პიროვნული და პროფესიული განვითარების მიზნებს ბანკის სტრატეგიულ საჭიროებებს უკავშირებს.

ჩვენი სასწავლო პროგრამა მოიცავს:

- მისასალმებელ (Welcome) პირისპირ ტრენინგებს;
- Udemy-ის ონლაინ სასწავლო პლატფორმის კურსებს, რომლებიც თანამშრომლის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად ინიშნება;
- კიბერუსაფრთხოების ონლაინ და ოფლაინ ტრენინგებს;
- შრომის უსაფრთხოების ტრენინგებს;
- პრაქტიკულ (Field) ტრენინგებს.

საქმიანობის შეფასების სისტემა და თანამშრომელთა ჩართულობა

ჩვენი საქმიანობის შეფასების სისტემა თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალურ მიზნებს ბანკის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან აკავშირებს და ხელს უწყობს ისეთი ღირებულებების დამკვიდრებას, როგორიცაა სანდოობა, გუნდური თანამშრომლობა, გულწრფელობა, გამჭვირვალობა და ლიდერობა, რომლებიც ჩვენი პროექტებისა და სამუშაო პროცესების საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ გარემო, სადაც ერთდროულად ვითარდება როგორც თანამშრომელი, ისე თავად ბანკი. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას, ხოლო ორგანიზაციას — საერთო სტრატეგიული ხედვისა და მიზნების წარმატებით განხორციელებაში.

შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPIs) პირდაპირ არის დაკავშირებული İşbank-ის ძირითად სტრატეგიულ მიზნებთან, მათ შორის ფინანსურ შედეგებთან, მომხმარებელთა კმაყოფილებასა და საოპერაციო ეფექტიანობასთან.


მენეჯერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბანკის სტრატეგიის განხორციელების პროცესში. ისინი უზრუნველყოფენ ბანკის მაღალი დონის სტრატეგიული მიზნების გარდაქმნას კონკრეტულ, გაზომვად და პრაქტიკულად განხორციელებად ამოცანებად, რომლებიც მათი გუნდის თითოეული წევრის საქმიანობასა და პასუხისმგებლობებზეა მორგებული.

ჩვენი თანამშრომლები

თანამშრომელთა რაოდენობა სულ **49**

45% კაცი

55% ქალი



30 წლამდე **21%**

31 - 40 **49%**

41 - 50 **22%**

50 წელზე მეტი **8%**

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა

52

დაწინაურების მაჩვენებელი

10%


მუშაობის საშუალო წელი

5 წელი


გადინების მაჩვენებელი

12%

სქესის განაწილება პოზიციების მიხედვით



სამეთვალყურეო საბჭო სქესის მიხედვით



შთაგონებული ზრუნვით

ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მართვის (ESG) სტრატეგიის ფარგლებში აქტიურად ვუჭერთ მხარს პასუხისმგებლიან ბიზნესპრაქტიკებს, მდგრად განვითარებასა და პოზიტიური სოციალური გავლენის შექმნას. ESG პრინციპების ჩვენი საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ინტეგრირებით, ვცდილობთ შევქმნათ გრძელვადიანი ღირებულება ჩვენი დაინტერესებული მხარეებისთვის და ამავდროულად ხელი შევუწყოთ იმ საზოგადოებების მდგრად განვითარებას, რომლებსაც ვემსახურებით.



ჩვენი გუნდი გაერთიანდა მნიშვნელოვანი მიზნის მხარდასაჭერად — მკერდის კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების თვის აღსანიშნავად.

„ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში გავუზიარეთ ერთმანეთს პირადი ისტორიები, ვატარებდით ვარდისფერ ლენტებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეულ ქალ თანამშრომელს მოვუწოდეთ, დრო დაეთმო საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის და ესარგებლა ბანკის მიერ სპეციალურად დაწესებული „Pink Day-Off“-ით, რათა ჩაეტარებინა მკერდის კიბოს სკრინინგი.

ერთმანეთის მხარდაჭერა — სიმამაცითა და ზრუნვით.



ვაშლოვანის ეროვნული პარკი — დედოფლისწყარო

ჩვენი მომხმარებლების გაძლიერება



ჩვენი მომხმარებლების ზრდისა და წარმატების მხარდაჭერა ჩვენი ბიზნესმოდელის საფუძველს წარმოადგენს. როგორც კორპორატიულ სეგმენტზე ორიენტირებული ფინანსური ინსტიტუტი, ჩვენ მზად ვართ ბიზნესებსა და მეწარმეებს შევთავაზოთ ფინანსური რესურსები, პროფესიული ექსპერტიზა და საბანკო გადაწყვეტილებები, რომლებიც აუცილებელია მათი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში წარმატებული საქმიანობისთვის.



მიმოხილვა

2025 წლის განმავლობაში გავაძლიერეთ ჩვენი, როგორც კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მომხმარებლების სანდო საბანკო პარტნიორის, პოზიცია სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში. ინდივიდუალურად მორგებული საკრედიტო პროდუქტების, ტრანზაქციული საბანკო მომსახურების, სავალუტო ოპერაციებისა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო საგადახდო სერვისების მეშვეობით, აქტიურად ვუჭერდით მხარს ჩვენს მომხმარებლებს ბიზნესის გაფართოების დაფინანსებაში, ლიკვიდობის ეფექტიან მართვასა და საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, გაყიდვების დეპარტამენტმა დანერგა მომხმარებლებთან ურთიერთობის ახალი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მიდგომა, რომელიც ურთიერთობების გაღრმავებასა და გრძელვადიანი თანამშრომლობის განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება მომხმარებლებთან უფრო მჭიდრო კომუნიკაციასა და შინაარსიან დიალოგს, რაც ქმნის ურთიერთობებს, რომლებიც ტრადიციული „ბანკი–მომხმარებლის“ ურთიერთობის ფარგლებს სცდება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ძლიერი პარტნიორული ურთიერთობები ზრდის ბანკთან თანამშრომლობის ხარისხს, უზრუნველყოფს მეტ მოქნილობას, ხელს უწყობს ტრანზაქციების მოცულობის ზრდას და მომხმარებლებს მომსახურების უფრო ფართო სპექტრზე წვდომას აძლევს.

ჩვენი კორპორატიული საკრედიტო პორტფელი კვლავაც რჩებოდა მომხმარებელთა მხარდაჭერისა და ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად. ჩვენი საკრედიტო საქმიანობა მიმართული იყო პროდუქტიული ინვესტიციების, საბრუნავი კაპიტალის საჭიროებებისა და ბიზნესის გაფართოების პროექტების დაფინანსებაზე, რაც მომხმარებლებს ახალი საბაზრო შესაძლებლობების ათვისებისა და ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევდა. ამასთანავე, ჩვენ შევინარჩუნეთ რისკების მართვის გონივრული მიდგომა, რაც უზრუნველყოფდა საკრედიტო პორტფელის მდგრად ზრდასა და გრძელვადიანი ღირებულების შექმნას.

ტრანზაქციული მომსახურებების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, 2025 წელს კიდევ უფრო გავაძლიერეთ ჩვენი შესაძლებლობები გადახდებისა და ანგარიშსწორების მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო გადარიცხვების გამარტივებასა და ტრანსსასაზღვრო ბიზნესსაქმიანობის მხარდაჭერას, მათ შორის თურქეთთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო საგადახდო დერეფნების განვითარების გზით. აღნიშნულმა მომსახურებებმა ჩვენს მომხმარებლებს მისცა შესაძლებლობა, თავიანთი საქმიანობა უფრო სწრაფად, საიმედოდ და თავდაჯერებულად წარემართათ.

რიცხვების მიმოხილვა


კორპორატიული სესხები კვლავ ჩვენი საკრედიტო პორტფელის უმსხვილეს კომპონენტად დარჩა და პორტფელის მთლიანი ზრდის ძირითადი ნაწილი უზრუნველყო. ამასთან, მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) დაკრედიტებამ ყველაზე მაღალი ფარდობითი ზრდა აჩვენა, რაც აღნიშნულ სეგმენტში ჩვენი პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერებისადმი ერთგულებას ასახავს.

320 მლნ

გაცემული სესხები

50%

დეპოზიტების ზრდა



*ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს სესხებს, ფაქტორინგის მოთხოვნებსა და ობლიგაციებს.
*მომხმარებელთა სეგმენტაციისთვის გამოყენებული ბრუნვისა და მთლიანი ექსპოზიციის კრიტერიუმები განისაზღვრება შემდეგნაირად: ბრუნვა – მცირე და საშუალო ბიზნესი (SME) < 7,000,000 ლარი, კორპორატიული სეგმენტი (Corporate) ≥ 7,000,000 ლარი; ექსპოზიცია – მცირე და საშუალო ბიზნესი (SME) < 2,500,000 ლარი, კორპორატიული სეგმენტი (Corporate) ≥ 2,500,000 ლარი.


ფულადი სესხები – ჩვენი სტრატეგიული გადაწყვეტილებისა და 2025 წლის ბიზნესგეგმის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ფულადი სესხების პორტფელი 376.0 მილიონი ლარიდან 405.9 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც წლიურ ჭრილში 8.0%-იან ზრდას წარმოადგენს. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების გაფართოებამ განაპირობა.

სეგმენტების მიხედვით:

- კორპორატიული სესხების პორტფელი 7.7%-ით გაიზარდა და 347.4 მილიონი ლარიდან 374.1 მილიონ ლარს მიაღწია.
- მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) სესხების პორტფელმა ყველაზე მაღალი ფარდობითი ზრდა – 13.7% – აჩვენა და 23.4 მილიონი ლარიდან 26.6 მილიონ ლარამდე გაიზარდა.
- საცალო პორტფელი დაგეგმილი ამორტიზაციის გრაფიკის შესაბამისად შემცირდა და წლის ბოლოს 5.1 მილიონი ლარი შეადგინა.

კორპორატიული სესხები კვლავ პორტფელის დომინანტურ ნაწილად დარჩა და მთლიანი ზრდის ძირითადი ნაწილი უზრუნველყო, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებამ ყველაზე მაღალი ფარდობითი ზრდა დააფიქსირა, რაც აღნიშნულ სეგმენტში ჩვენი სტრატეგიული ფოკუსისა და განვითარების შედეგს წარმოადგენს.


წლის განმავლობაში, პროლონგირებული ტრანზაქციების ჩათვლით, ჯამურად 320 მილიონი ლარის მოცულობის სესხები გავეცით. შედეგად, მთლიანი ექსპოზიცია 107 მილიონი ლარით გაიზარდა, საიდანაც 67 მილიონი ლარი არსებული კლიენტების დაფინანსების გაფართოებაზე მოდიოდა, ხოლო 40 მილიონი ლარი ახალი კლიენტების მოზიდვამ უზრუნველყო. ამავდროულად, დაფარვების გათვალისწინებით, პორტფელის წმინდა ზრდამ 30 მილიონი ლარი შეადგინა. საერთო ჯამში, დაფინანსება გაეწია 58 კორპორატიულ კლიენტს, მათ შორის 14 ახალ, მაღალი ხარისხისა და „ბლუ ჩიპ“ კატეგორიის მსესხებელს.



არაფულადი სესხების პორტფელი წლის ბოლოსთვის 160.1 მილიონი ლარიდან 124.6 მილიონ ლარამდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება მიზანმიმართული სტრატეგიული გადაწყვეტილების შედეგია. საანგარიშო პერიოდში კაპიტალის შეზღუდული რესურსების პირობებში, პრიორიტეტი მიენიჭა კაპიტალის ფულად (დაფინანსებულ) სესხებში განთავსებას, რომლებიც უფრო მაღალ საპროცენტო შემოსავალსა და პორტფელის გრძელვადიან ზრდას უზრუნველყოფს. შედეგად, არაფულადი ექსპოზიციების მოცულობა შერჩევითად შემცირდა.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წლის განმავლობაში არაფულადი სესხების საშუალო მოცულობა წლის ბოლოს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე მაღალი იყო და 143.1 მილიონ ლარს შეადგენდა. წლის ბოლოს დაფიქსირებული შედარებით დაბალი ნაშთი გამოწვეულია დროებითი ფაქტორებითა და პორტფელის აქტიური მართვით და არ ასახავს კლიენტების აქტივობის სტრუქტურულ შემცირებას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ეკონომიკის სექტორების მიხედვით დაკრედიტების ექსპოზიციები 2025 წლის მდგომარეობით.



*ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები არ მოიცავს კორპორაციულ ობლიგაციებს.

ჩვენი მიზანია კლიენტებთან გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ეფუძნება ნდობას, პროფესიულ გამოცდილებასა და მათი საჭიროებების ღრმა გააზრებას. მათი ზრდისა და განვითარების მხარდაჭერით, ჩვენ ვქმნით მდგრად ღირებულებას ჩვენი კლიენტებისთვის, ბანკისა და ქვეყნის ეკონომიკისთვის.

საანგარიშო პერიოდში დეპოზიტების მიმართულებით მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, რაც ახალი სახსრების წარმატებულ მოზიდვასა და ბანკის რესურსების ბაზის მნიშვნელოვან გაძლიერებაზე მიუთითებს.


კლიენტების დეპოზიტების საერთო მოცულობა 120.32 მილიონი ლარიდან 275.54 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც დაახლოებით 129%-იან ზრდას წარმოადგენს. აღნიშნული შედეგი მომხმარებელთა ნდობის ზრდასა და დეპოზიტების მოზიდვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობას ასახავს.

მოთხოვნამდე დეპოზიტები ზომიერი ტემპით გაიზარდა – 2024 წლის 72.49 მილიონი ლარიდან 2025 წელს 85.76 მილიონ ლარამდე, რაც დაახლოებით 18%-იან ზრდას შეესაბამება. აღნიშნული დინამიკა მიუთითებს დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი სახსრების სტაბილურ ზრდაზე, ლიკვიდობის სათანადო დონის შენარჩუნების პარალელურად.

ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა ვადიანი დეპოზიტების მიმართულებით დაფიქსირდა. მათი მოცულობა 47.83 მილიონი ლარიდან 189.78 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც დაახლოებით 297%-იან ზრდას წარმოადგენს.

საერთო ჯამში, დეპოზიტების პორტფელი მყარ ზრდას ინარჩუნებს, განსაკუთრებით გრძელვადიანი დეპოზიტების მიმართულებით, რაც აძლიერებს ბანკის დაფინანსების სტაბილურობას და ქმნის მყარ საფუძველს საკრედიტო საქმიანობის შემდგომი გაფართოებისთვის.


ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს დეპოზიტების პორტფელის დინამიკას 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის დეკემბრამდე (მილიონი ლარი).



წლის განმავლობაში ბანკმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია როგორც მთლიანი აქტივების, ისე საკრედიტო და სადეპოზიტო პორტფელების მოცულობის მიმართულებით. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადახდო შუამავლობის ოპერაციების მოცულობაც, რაც ჩვენი ფინანსური მდგრადობის, მომსახურების ხარისხისა და სტრატეგიული განვითარების მიმართ მომხმარებელთა მზარდ ნდობას ადასტურებს.

ჩვენ გვჯერა, რომ მომხმარებლისთვის ღირებულების შექმნა მხოლოდ ფინანსური პროდუქტების შეთავაზებით არ შემოიფარგლება. ამისათვის აუცილებელია მათი საქმიანობისა და ინდუსტრიის სიღრმისეული გააზრება. ჩვენი ურთიერთობების მენეჯერები კლიენტებთან მჭიდრო თანამშრომლობით ავლენენ განვითარების შესაძლებლობებს, ეხმარებიან მათ გამოწვევების დაძლევაში და სთავაზობენ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ გადაწყვეტილებებს. ურთიერთობებზე დაფუძნებული ეს მიდგომა ჩვენი მომხმარებელზე ორიენტირებული სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად რჩება და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა ლოიალურობისა და კმაყოფილების განმტკიცებაში.

მომავალშიც გავაგრძელებთ ჩვენი მომხმარებლების მხარდაჭერას პასუხისმგებლიანი დაფინანსების, საიმედო საბანკო მომსახურებისა და გრძელვადიანი პარტნიორობის გზით. ბიზნესისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობით, ჩვენ წვლილი შეგვაქვს არა მხოლოდ მათი წარმატების, არამედ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების პროცესშიც.



კიბერუსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

კიბერუსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა სს „იშბანკ საქართველოს“ კორპორაციული მართვის, რისკების მართვისა და ოპერაციული მდგრადობის ჩარჩოს განუყოფელი ნაწილია. ჩვენთვის საბანკო სისტემების უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირება, მომხმარებელთა ინფორმაციის დაცვა და კრიტიკული მომსახურებების უწყვეტობის უზრუნველყოფა წარმოადგენს მომხმარებელთა ნდობის, გონივრული რისკების მართვისა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის საფუძველს. აღნიშნული მიმართულებების ზედამხედველობა ინტეგრირებულია ბანკის კორპორაციული მართვის სისტემაში. კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკები, აუდიტის შედეგები, მაკორექტირებელი ღონისძიებების შესრულების პროგრესი და პრიორიტეტული ინიციატივები განიხილება GRC კომიტეტის ფარგლებში, რომლის შემადგენლობაშიც დირექტორთა საბჭოს წევრები შედიან, ხოლო კომიტეტს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი. აღნიშნული მმართველობითი მოდელი უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, რისკების დროულ ესკალაციასა და ტექნოლოგიური რისკების, ბიზნესმიზნებისა და კონტროლის მოთხოვნების ეფექტიან თანხვედრას.

ბანკი იყენებს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას ინფორმაციული აქტივების, კრიტიკული სისტემებისა და მომხმარებელთა მონაცემების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დასაცავად. ამ მიზნით დანერგილია უსაფრთხოების მოვლენების მონიტორინგის, ინციდენტებზე რეაგირების, მოწყვლადობების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის კონტროლის, მომხმარებელთა და პრივილეგირებული წვდომების პერიოდული გადახედვის, უსაფრთხო კონფიგურაციის სტანდარტების, საბოლოო მოწყობილობების დაცვისა და სარეზერვო სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები. უსაფრთხოების მოთხოვნები გათვალისწინებულია ახალი პროექტების, მნიშვნელოვანი სისტემური ცვლილებებისა და ტექნოლოგიური ინიციატივების განხორციელების ყველა ეტაპზე, რათა უსაფრთხოების პრინციპები თავიდანვე იყოს ინტეგრირებული. ამავე ჩარჩოს ნაწილია ბიზნესის უწყვეტობისა და კიბერაღდგენის (Cyber Recovery) მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს შეფერხებების მინიმიზაციას, კრიტიკული მომსახურებების დაცვასა და მნიშვნელოვანი ინციდენტის შემთხვევაში ძირითადი ოპერაციების დროულ აღდგენას.

2025 წლის განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის დარღვევის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, ხოლო კიბერუსაფრთხოების ინციდენტებს ბანკის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. ბანკში მოქმედებს ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების პოლიტიკა (Information Security Incident Response Policy), ხოლო უსაფრთხოების კონტროლების ეფექტიანობის შესაფასებლად და შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოსავლენად ყოველწლიურად ტარდება უსაფრთხოების შეფასებების კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს შეღწევადობის ტესტირებას (Penetration Testing), თავდასხმისა და დარღვევის სიმულაციებს (Breach and Attack Simulation), DDoS შეტევების სიმულაციებსა და თვითშეფასებებს.

დამოუკიდებელი შეფასება ჩვენი კონტროლის გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტია. ყოველწლიურად ბანკი დამოუკიდებელ მესამე მხარეს უკვეთავს ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტს, კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს (Cyber Security Framework) შეფასებასა და შეღწევადობის ტესტირებას. აღნიშნული შეფასებები უზრუნველყოფს კორპორაციული მართვის პროცესების, კონტროლის მექანიზმებისა და ტექნოლოგიური მდგრადობის ობიექტურ ანალიზს. მათი შედეგების საფუძველზე მზადდება კონკრეტული სამოქმედო გეგმები, განსაზღვრული პასუხისმგებელი პირებითა და შესრულების მონიტორინგის მექანიზმებით. მაკორექტირებელი ღონისძიებების შესრულების პროგრესი რეგულარულად განიხილება ბანკის კორპორაციული მართვის პროცესების ფარგლებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ასევე მესამე მხარეებთან და მომსახურების მომწოდებლებთან დაკავშირებული რისკების მართვას. იმ შემთხვევებში, როდესაც ტექნოლოგიურ ან საოპერაციო მომსახურებებს გარე პროვაიდერები უზრუნველყოფენ, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნები გათვალისწინებულია მომსახურების მიმწოდებლების შეფასების, სახელშეკრულებო ურთიერთობების, წვდომების მართვისა და მიმდინარე ზედამხედველობის პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას, მომსახურების უწყვეტობასა და აუთსორსინგით განხორციელებულ საქმიანობაზე სათანადო კონტროლის უზრუნველყოფას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა რეგულირდება ბანკის შიდა პოლიტიკებითა და პროცედურებით და ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საბანკო საიდუმლოების მოთხოვნებისა და ბანკის შიდა კონტროლის სტანდარტების შესაბამისად. პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ ლეგიტიმური ბიზნესმიზნებისთვის და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებს, „აუცილებელი ცოდნის“ (need-to-know) პრინციპის საფუძველზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნები გათვალისწინებულია როგორც ბანკის შიდა პროცესებსა და პროექტებში, ისე იმ გარე ურთიერთობებში, სადაც მუშავდება მომხმარებელთა ან თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაცია.

თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს ჩვენი დაცვის სისტემის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს. უსაფრთხოების კულტურის გაძლიერების მიზნით, მუდმივად ვახორციელებთ ტრენინგებს, საინფორმაციო კამპანიებსა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებს, რომლებიც მოიცავს ფიშინგის რისკების ამოცნობას, ინფორმაციის პასუხისმგებლიან დამუშავებას, სისტემების უსაფრთხო გამოყენებას, ავტორიზაციის მონაცემების (Credentials) უსაფრთხო მართვასა და საეჭვო აქტივობების დროულ შეტყობინებას.

მომდევნო საანგარიშო პერიოდში გავაგრძელებთ კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარებას მონიტორინგისა და ინციდენტებზე რეაგირების მიმართულებით, დავაჩქარებთ გამოვლენილი მოწყვლადობების აღმოფხვრის პროცესს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ პრივილეგირებული წვდომების მართვასა და მესამე მხარეებზე ზედამხედველობას, გავაფართოებთ უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების პროგრამებს, განვავითარებთ ბიზნესის უწყვეტობისა და კიბერაღდგენის ტესტირების პროცესებს და ხელს შევუწყობთ კრიტიკული საბანკო მომსახურებების უსაფრთხო ციფრულ ტრანსფორმაციას.



ჩვენი უწყვეტი განვითარება

საოპერაციო საქმიანობის ძირითადი შედეგები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენი საოპერაციო ფუნქცია კვლავ გამოირჩეოდა მაღალი ეფექტიანობით, მდგრადობითა და საიმედოობით. პროცესების თანმიმდევრული და ეფექტიანი მართვის, ასევე მომსახურების მაღალი ხარისხისადმი ერთგულების შედეგად, შევინარჩუნეთ საოპერაციო საქმიანობის მაღალი სტანდარტები და ამავდროულად წარმატებით უზრუნველვყავით ბიზნესის ზრდისა და მომხმარებელთა საჭიროებების მხარდაჭერა.



საქმიანობის შედეგები

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში საგადახდო ოპერაციების, საბანკო პროდუქტების, შესაბამისობის და მომხმარებელთა მომსახურების მიმართულებებით მიღწეული ძირითადი საოპერაციო შედეგები.

100%

ISO 20022 (MX) სტანდარტის დანერგვა

დასრულდა ISO 20022 შეტყობინებების სტანდარტზე (MX) გადასვლის პროცესი, რომელიც სრულ შესაბამისობაში განხორციელდა SWIFT-ის მოთხოვნებთან MT/MX ფორმატების თანაარსებობის პერიოდის დასრულებამდე (2025 წლის 22 ნოემბერი). აღნიშნულმა ცვლილებამ უზრუნველყო კორესპონდენტ ბანკებთან უწყვეტი თავსებადობის შენარჩუნება და შექმნა თანამედროვე, გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული საგადახდო ინფრასტრუქტურა.

2

კორპორატიული SWIFT პროდუქტები

საკუთარი SWIFT BIC-ის მქონე კორპორატიული კლიენტებისთვის დაინერგა MT101 (pain.001) – გადარიცხვის მოთხოვნა (Request for Transfer) და MT940 (camt.053) – კლიენტის ამონაწერის შეტყობინება (Customer Statement Message).

102

მომხმარებელთა მოთხოვნების მართვა

2025 წლის განმავლობაში მომხმარებელთა 102 მოთხოვნა დადგენილ ვადებში დამუშავდა და არც ერთი შემთხვევა არ გასცდენია განსაზღვრულ ვადას. მათგან 15 მოთხოვნა დამოუკიდებლად შეფასდა გარე აუდიტის ფარგლებში და შეუსაბამობები არ გამოვლენილა. განმეორებადი საკითხები სისტემატურად ანალიზდება ძირეული მიზეზების იდენტიფიცირებისა და პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

0

პერსონალურ მონაცემთა დაცვის აუდიტის შედეგები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის აუდიტი იურიდიულ დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა და დასრულდა შენიშვნების გარეშე.

ISO 20022

2025 წლის განმავლობაში წარმატებით დავასრულეთ ISO 20022 (MX) შეტყობინებების სტანდარტზე გადასვლის პროცესი და სრულ შესაბამისობას მივაღწიეთ MT/MX ფორმატების თანაარსებობის პერიოდის დასრულებამდე (2025 წლის 22 ნოემბერი). დღეს ბანკი ISO 20022 სტანდარტის შეტყობინებებს სრულ შესაბამისობაში აგზავნის და იღებს SWIFT-ის მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს კორესპონდენტ ბანკებსა და სხვა კონტრაგენტებთან შეტყობინებების თავსებადობის შენარჩუნებას და ქმნის თანამედროვე, მომავლის მოთხოვნებზე ორიენტირებულ საგადახდო ინფრასტრუქტურას.

MT101 (pain.001) & MT940 (camt.053)

საანგარიშო პერიოდში კორპორატიული კლიენტებისთვის დაინერგა ორი ახალი SWIFT სერვისი: MT101 (pain.001) – გადარიცხვის მოთხოვნა (Request for Transfer), რომელიც კორპორატიულ კლიენტებს ცენტრალიზებული სახაზინო (Treasury) პლატფორმის მეშვეობით გადახდების ინიციირების შესაძლებლობას აძლევს, და MT940 (camt.053) – კლიენტის ანგარიშის ამონაწერის შეტყობინება (Customer Statement Message), რომელიც დღის ბოლოს ანგარიშის ამონაწერის SWIFT ფორმატში მიღებას უზრუნველყოფს. აღნიშნული მომსახურებები ხელმისაწვდომია იმ კორპორატიული კლიენტებისთვის, რომლებიც ფლობენ საკუთარ SWIFT BIC-ს. ახალი პროდუქტების დანერგვამ გააფართოვა ჩვენი კორპორატიული პროდუქტების პორტფელი და გააძლიერა ბანკის კონკურენტუნარიანობა კორპორატიულ სეგმენტში, დამატებითი საოპერაციო დატვირთვის გარეშე.

მომხმარებელთა მოთხოვნებისა და საჩივრების მართვა

ბანკში დანერგილია მომხმარებელთა მოთხოვნებისა და საჩივრების მართვის სრულად კონტროლირებადი და ცენტრალიზებული სისტემა. თითოეული შემთხვევა რეგისტრირდება, კლასიფიცირდება (მოთხოვნა / საჩივარი), ენიჭება პასუხისმგებელი თანამშრომელი და განიხილება მარეგულირებელი მოთხოვნებით განსაზღვრულ ვადებში. პროცესი მხარდაჭერილია საოპერაციო, იურიდიული და ანგარიშგების ფუნქციების მიერ განხორციელებული მრავალსაფეხურიანი გადამოწმებით, ხოლო შედეგების შესახებ ინფორმაცია ყოველთვიურად წარედგინება საქართველოს ეროვნულ ბანკს.

როგორც კორპორატიულ მომხმარებლებზე ორიენტირებული ბანკი, აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს თითოეულ შემთხვევაზე სრულ ზედამხედველობას, მკაფიო პასუხისმგებლობის განსაზღვრასა და პროცესის სრულ მიკვლევადობას მისი მიღებიდან საბოლოო გადაწყვეტამდე. აღნიშნული სისტემის ეფექტიანობას ადასტურებს მიღწეული შედეგებიც. 2025 წელს მიღებული 102-ვე მოთხოვნა სრულად დარეგისტრირდა, დამუშავდა და განისაზღვრა დადგენილ ვადებში, ხოლო არც ერთი შემთხვევა არ დარჩენილა რეაგირების გარეშე. მათგან 15 შემთხვევა დამოუკიდებლად შეფასდა გარე აუდიტის ფარგლებში და შეფასების შედეგად შეუსაბამობები არ გამოვლენილა. განმეორებადი საკითხები სისტემატურად ანალიზდება მათი ძირეული მიზეზების იდენტიფიცირების, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით.

აღნიშნული ჩარჩო რეგულარულად გადაიხედება და ბანკის ზრდისა და ტრანზაქციების მოცულობის შესაბამისად ეტაპობრივად განვითარდება დამატებითი ტექნოლოგიური შესაძლებლობებით. ჩვენი მასშტაბის შესაბამისი, ცენტრალიზებულად მართული და მკაფიო კონტროლის მექანიზმებზე დაფუძნებული პროცესი, რომლის ეფექტიანობაც დადასტურებულია როგორც მარეგულირებლის, ისე გარე აუდიტის მიერ, დღეს უზრუნველყოფს სრულ კონტროლსა და ანგარიშვალდებულებას და ამავდროულად მზად არის საქმიანობის შემდგომი გაფართოებისთვის.

საოპერაციო მდგრადობა და ფინანსური დანაშაულის პრევენცია

ოპერაციებისა და საგადახდო სისტემების ფუნქცია წარმოადგენს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის საფუძველს და უზრუნველყოფს თითოეული ტრანზაქციის ზუსტ, უსაფრთხო და დროულ შესრულებას. 2025 წლის განმავლობაში საოპერაციო დისციპლინა გავაერთიანეთ უწყვეტ მოდერნიზაციასთან — განვავითარეთ SWIFT-ისა და საგადახდო ინფრასტრუქტურა, კიდევ უფრო გავაძლიერეთ ფინანსური დანაშაულის პრევენციის კონტროლის მექანიზმები და გავაფართოვეთ კორპორატიული კლიენტებისთვის ხელმისაწვდომი მომსახურებები. ჩვენი მთავარი პრიორიტეტები უცვლელია — ოპერაციების უნაკლო შესრულება, მარეგულირებელ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა და მდგრადი საოპერაციო პლატფორმის განვითარება, რომელიც ბანკის ზრდასთან ერთად ეფექტიანად მასშტაბირდება.

ფინანსური დანაშაულის პრევენცია კვლავ ჩვენი საოპერაციო მოდელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს. აღნიშნულს საფუძვლად უდევს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) მყარი ჩარჩო, რომელიც მოიცავს ტრანზაქციებისა და სანქციების ავტომატიზებულ მონიტორინგს, ასევე ცენტრალიზებულ საგადახდო კონტროლის სისტემას, სადაც გამავალი გადარიცხვები მოწმდება წინასწარ განსაზღვრული წესების საფუძველზე და ექვემდებარება „ოთხი თვალის“ (Four-Eyes Principle) პრინციპით დამტკიცებას.

2025 წლის განმავლობაში დამუშავდა 3,341 SWIFT შეტყობინება, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 5%-იან ზრდას წარმოადგენს. ამასთან, გამავალი საერთაშორისო გადარიცხვების რაოდენობა 32%-ით გაიზარდა — 1,533-დან 2,019 ოპერაციამდე — რაც კორპორატიული კლიენტების საგადახდო აქტივობის ზრდას უკავშირდება. ტრანზაქციების მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთთან საერთაშორისო გადარიცხვებზე მოდიოდა, ხოლო მათი უმრავლესობა შესრულდა და მიმღებ ბანკში იმავე სამუშაო დღეს ჩაირიცხა, რაც ჩვენი კორესპონდენტული საგადახდო პროცესების სისწრაფეს, საიმედოობასა და ეფექტიანობას ადასტურებს.

ზუსტად, უსაფრთხოდ და დროულად — თითოეული ტრანზაქცია, ყოველდღიურად. ოპერაციებისა და საგადახდო სისტემების ფუნქცია უზრუნველყოფს ფინანსური ნაკადების უწყვეტ და კონტროლირებად მართვას, ინფრასტრუქტურის მუდმივი განვითარების პარალელურად. ჩვენთვის საოპერაციო საქმიანობა მხოლოდ ყოველდღიური პროცესების შესრულებას არ წარმოადგენს. თითოეული გადახდა არის ჩვენი პასუხისმგებლობა როგორც კლიენტების, ისე მარეგულირებლის წინაშე. 2025 წელს ეს პასუხისმგებლობა შევასრულეთ ოპერაციების საიმედო განხორციელებით, ეფექტიანი კონტროლის მექანიზმებითა და საერთაშორისო სტანდარტებთან სრულად შესაბამისი, თანამედროვე SWIFT პლატფორმის მეშვეობით.

საიმედო საოპერაციო გარემო და ფინანსური დანაშაულისგან დაცვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საოპერაციო მდგრადობისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფას, რათა კრიტიკული მომსახურებების მიწოდება ნებისმიერ პირობებში შეუფერხებლად გაგრძელებულიყო და შესაძლო შეფერხებები ეფექტიანად მართულიყო.

ამავდროულად, გაგრძელდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) და ფინანსური დანაშაულის პრევენციის ჩარჩოს განვითარება, რაც მოიცავდა კონტროლის მექანიზმების, მონიტორინგის სისტემებისა და თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების შემდგომ გაძლიერებას. საგადახდო კონტროლისა და ტრანზაქციების ზედამხედველობის ეფექტიანმა პროცესებმა უზრუნველყო საგადახდო მომსახურებების უსაფრთხოება, სიზუსტე და საიმედოობა ყველა ბიზნესსეგმენტში.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო განამტკიცა ბანკის საოპერაციო მდგრადობა, უზრუნველყო მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ხელი შეუწყო მარეგულირებელ და ინდუსტრიულ სტანდარტებთან შესაბამისობის შენარჩუნებას.



მდგრადობა და ბიზნესის უწყვეტობა

2025 წლის განმავლობაში საგადახდო და SWIFT ოპერაციები უწყვეტ რეჟიმში განხორციელდა. მომსახურების პროცესში არსებითი შეფერხება არ დაფიქსირებულა, რასაც ბიზნესის უწყვეტობის ეფექტიანი მექანიზმები უზრუნველყოფდა.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) ძლიერი ჩარჩო

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მყარი სისტემა, რომელიც ეფუძნება ტრანზაქციებისა და სანქციების ავტომატიზებულ მონიტორინგს, ჩვენი საოპერაციო მოდელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

საგადახდო კონტროლის მექანიზმები

გამავალი გადარიცხვები ექვემდებარება ცენტრალიზებულ წინასწარ კონტროლს, რომელიც ეფუძნება კონფიგურირებად წესებსა და „ოთხი თვალის“ პრინციპს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც თაღლითობის, ისე საოპერაციო შეცდომების რისკს.

მომავალი გეგმები



2026 წლის პრიორიტეტები

მომავალ წელს გავაგრძელებთ საოპერაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას, მათ შორის ISO 20022 სტანდარტის შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მონაცემთა ხარისხის, სისტემებს შორის თავსებადობისა და საგადახდო პროცესების ეფექტიანობის გაუმჯობესებას. გაგრძელდება საოპერაციო პროცესების ავტომატიზაცია, რაც გაზრდის ეფექტიანობას, გააძლიერებს კონტროლის მექანიზმებს და კიდევ უფრო გაუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას.

ასევე, ვგეგმავთ MT101 და MT940 შეტყობინებების გამოყენების გაფართოებას, რაც კორპორატიულ კლიენტებს გადარიცხვების ინიციირებისა და ანგარიშების ამონაწერების მიღების უფრო ეფექტიან შესაძლებლობებს შესთავაზებს.

აღნიშნული ინიციატივები ხელს შეუწყობს საოპერაციო სრულყოფილების კიდევ უფრო განმტკიცებას და მხარს დაუჭერს ბანკის გრძელვადიან ზრდასა და ციფრული ტრანსფორმაციის მიზნების განხორციელებას.

ISO 20022-ის შესაძლებლობების ოპტიმიზაცია

ISO 20022 სტანდარტთან სრული შესაბამისობის საფუძველზე MX შეტყობინებების დამუშავებისა და მართვის პროცესების შემდგომი გაუმჯობესება.

MT101 (pain.001) და MT940 (camt.053) სერვისების გაფართოება

ახალი SWIFT პროდუქტების ეტაპობრივი დანერგვა დამატებითი უფლებამოსილი კორპორატიული კლიენტებისთვის.

ძირითადი საოპერაციო პროცესების ავტომატიზაცია

საოპერაციო პროცესების ავტომატიზაციის გაგრძელება ეფექტიანობის, კონტროლის ხარისხისა და მომხმარებლის გამოცდილების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ჩვენი ინვესტორები

ჩვენი ინვესტორები ჩვენი წარმატებისა და გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორები არიან. მათი ნდობა, მხარდაჭერა და ერთგულება გვაძლევს შესაძლებლობას, წარმატებით განვახორციელოთ ჩვენი სტრატეგიული მიზნები, გავაძლიეროთ პოზიციები ბაზარზე და შევქმნათ გრძელვადიანი ღირებულება ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ ნდობის შენარჩუნება ეფუძნება ფინანსური რესურსების პასუხისმგებლიან მართვას, ეფექტიან კორპორაციულ მმართველობასა და სტრატეგიის თანმიმდევრულ განხორციელებას.

2025 წლის განმავლობაში ჩვენი მთავარი პრიორიტეტი მდგრადი ფინანსური შედეგების მიღწევა იყო, გონივრული რისკის პროფილისა და ძლიერი კაპიტალური პოზიციის შენარჩუნების პარალელურად. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მომგებიანობა, კიდევ უფრო გაძლიერდა ლიკვიდობის პოზიცია და გაუმჯობესდა დაფინანსების წყაროების ხარისხი. აღნიშნული შედეგები ასახავს ჩვენს ერთგულებას, შევინარჩუნოთ სწორი ბალანსი ზრდის შესაძლებლობებს, პასუხისმგებლიან რისკების მართვასა და გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობას შორის.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ინვესტორებთან ურთიერთობის ფუნდამენტური პრინციპებია. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, ინვესტორებს დროულად, ზუსტად და სრულყოფილად მივაწოდოთ ინფორმაცია ფინანსური შედეგების, სტრატეგიული პრიორიტეტების, რისკის პროფილისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. ღია კომუნიკაციისა და კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტების დაცვით ვქმნით გარემოს, რომელიც აძლიერებს ინვესტორების ნდობას ჩვენი სტრატეგიული მიმართულებისა და გადაწყვეტილებების მიმართ.

მომავალშიც ჩვენი მთავარი მიზანი იქნება მდგრადი შემოსავლიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება და ისეთი ზრდის შესაძლებლობების გამოყენება, რომლებიც სრულად შეესაბამება ბანკის სტრატეგიულ მიზნებს. ძლიერი ბალანსის, დისციპლინირებული კაპიტალის მართვისა და მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნესმოდელის მეშვეობით, ვაგრძელებთ გრძელვადიანი ღირებულების შექმნას ჩვენი აქციონერებისა და საინვესტიციო პარტნიორებისთვის.





ჩვენი მარეგულირებლები

გვჯერა, რომ ძლიერი და მდგრადი ფინანსური სექტორის საფუძველია ეფექტიანი რეგულირება, პასუხისმგებლიანი საბანკო საქმიანობა და ფინანსურ ინსტიტუტებსა და საზედამხედველო ორგანოებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობა. ჩვენ ვაფასებთ მარეგულირებელ ორგანოებთან პარტნიორულ ურთიერთობას და ვაგრძელებთ საქმიანობას კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და მოქმედი კანონმდებლობის, მარეგულირებელი მოთხოვნებისა და საზედამხედველო მოლოდინების სრული დაცვით.

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო განვამტკიცეთ კორპორაციული მართვის, რისკების მართვის, შესაბამისობისა და შიდა კონტროლის სისტემები, რათა ბანკის საქმიანობა უსაფრთხო, მდგრადი და გრძელვადიანად განვითარებაზე ორიენტირებული ყოფილიყო. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) ჩარჩოს გაძლიერებას, საგადახდო კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებასა და საოპერაციო მდგრადობისა და ბიზნესის უწყვეტობის შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას. აღნიშნული ღონისძიებები ემსახურება როგორც მომხმარებელთა და აქციონერთა ინტერესების დაცვას, ისე მთლიანად ფინანსური სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფას.

შესაბამისობა ჩვენი ორგანიზაციული კულტურისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილია. მუდმივად ვაკვირდებით მარეგულირებელი გარემოს ცვლილებებს, ვაფასებთ ახალ რისკებს და საჭიროებისამებრ ვანახლებთ პოლიტიკებს, პროცედურებსა და სისტემებს, რათა სრულ შესაბამისობაში ვიყოთ როგორც მოქმედ მოთხოვნებთან, ისე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან. საზედამხედველო ორგანოებთან რეგულარული კომუნიკაციისა და ღია თანამშრომლობის მეშვეობით ვაგრძელებთ ურთიერთობის განვითარებას, რომელიც ეფუძნება ურთიერთნდობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

ჩვენთვის მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობა მხოლოდ სამართლებრივი ვალდებულება არ არის — იგი მდგრადი ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. კორპორაციული მართვის, რისკების მართვისა და ეთიკური საქმიანობის მაღალი სტანდარტების დაცვით, წვლილი შეგვაქვს საბანკო სექტორის სტაბილურობის, ფინანსური სისტემის სანდოობისა და ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში.

რისკების მართვა

ჩვენი მიდგომა რისკების მართვისადმი

რისკების მართვა საბანკო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და ბანკის ყოველდღიური ოპერაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. რისკების მართვის ძლიერი სისტემა ასახავს ბანკის რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტის მნიშვნელოვან როლს რისკის სტრატეგიის განსაზღვრასა და საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების ეფექტიან მართვაში.

რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს ეფექტიანი რისკების მართვის ყველა ძირითად კომპონენტს, მათ შორის საწარმოს მასშტაბის რისკების მართვას (Enterprise Risk Management), საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვას, რისკების ანგარიშგებისა და შესაბამისი IT ინფრასტრუქტურის ფუნქციებს, ასევე სხვადასხვა ტიპის რისკების ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და სტრეს-ტესტირება. ბანკი საქმიანობის ფარგლებში ექვემდებარება საკრედიტო, ლიკვიდობისა და საბაზრო რისკებს, ასევე სხვადასხვა სახის საოპერაციო და ბიზნესრისკებს.

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ბანკის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, ანალიზი და ეფექტიანი მართვა, შესაბამისი რისკის ლიმიტებისა და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა, ასევე რისკის დონისა და დადგენილი ლიმიტების დაცვის უწყვეტი მონიტორინგი.





რისკების მართვის პოლიტიკები და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის გარემოს, ბანკის პროდუქტებისა და მომსახურების, აგრეთვე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის განვითარების შესაბამისად. ბანკის მენეჯმენტი პასუხისმგებელია რისკების მართვის ჩარჩოს საერთო ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მონიტორინგზე, რისკების მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების პერიოდულ გადახედვაზე, ასევე მნიშვნელოვანი მოცულობის ექსპოზიციების დამტკიცებაზე. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია რისკების შემცირების ღონისძიებების განხორციელებისა და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკის საქმიანობა განხორციელდეს დადგენილი რისკის პარამეტრების ფარგლებში. რისკების მართვის (Chief Risk Officer – CRO) დირექტორი პასუხისმგებელია რისკების მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების საერთო კოორდინაციაზე, ფინანსური და არაფინანსური რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების ერთიანი პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დანერგვასა და ეფექტიან ფუნქციონირებაზე. იგი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტის წინაშე. საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკები, როგორც პორტფელის, ისე ინდივიდუალური ტრანზაქციების დონეზე, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტების, რისკების მართვის დეპარტამენტისა და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის (ALCO) მეშვეობით. აღნიშნული მმართველობითი სისტემა უზრუნველყოფს, რომ ბანკის მიერ მიღებული თითოეული რისკი იყოს ინფორმირებულად შეფასებული, ადეკვატურად ფასდადებული და არ აღემატებოდეს ბანკის მიერ განსაზღვრულ რისკის მისაღებ დონეს (Risk Appetite). ბანკის მასშტაბით მუდმივად ხორციელდება როგორც გარე, ისე შიდა რისკფაქტორების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ყველა არსებითი რისკის დროულ გამოვლენას და მოქმედი რისკის შემამცირებელი კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის მდგრადი და უსაფრთხო საქმიანობა.

გაურკვევლობის შემცირების სტრატეგიული ჩარჩო

საბაზრო რისკი

ჩვენი კლიენტები ვალდებულნი არიან, ბანკს აცნობონ ნებისმიერი უბედური შემთხვევის ან ინციდენტის შესახებ, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოზე, ადამიანების ჯანმრთელობასა ან უსაფრთხოებაზე (მაგალითად, თანამშრომლებზე, მეზობლებზე, მომხმარებლებზე). ასევე, კლიენტმა უნდა მოგვაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულ შემთხვევაზე რეაგირების მიზნით დაგეგმილი ან განხორციელებული მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული მოვლენის შესახებ შეტყობინება სავალდებულოა ბანკის ყველა სესხისთვის, მიუხედავად გარემოსდაცვითი რისკის დონისა, სესხის მოცულობისა, ტიპისა ან ვადიანობისა.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს რისკს, რომლის შედეგადაც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა შეიცვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო განაკვეთების შესაძლო ცვლილებებიდან, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებასა ან მომავალ ფულად ნაკადებზე. აღნიშნული რისკი შეიძლება დაკავშირებული იყოს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობასთან, ასევე მათი საპროცენტო განაკვეთების ხელახალი გადაფასების (re-pricing) მახასიათებლებთან. ასეთი ცვლილებების შედეგად საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს, თუმცა, მოულოდნელი საბაზრო მოძრაობების შემთხვევაში, შესაძლოა შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომლის შედეგადაც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა შეიცვალოს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილების გამო. ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებთ, რომ სავალუტო პოზიციები მარეგულირებელი კაპიტალის მიმართ შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს. ბანკს გააჩნია სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ბანკის ფინანსური დანაკარგის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ შეასრულებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.
ბანკში მოქმედებს პოლიტიკები და პროცედურები საკრედიტო ექსპოზიციების მართვისთვის (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივების, ისე აღურიცხავი სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში). აღნიშნული მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებსა და საკრედიტო კომიტეტის ფუნქციონირებას, რომელიც აქტიურად აკვირდება საკრედიტო რისკებს.
საკრედიტო პოლიტიკა პერიოდულად გადაიხედება და მტკიცდება მენეჯმენტის მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს:

- სესხის განაცხადების განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების (იურიდიული და ფიზიკური პირების) საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო ექსპოზიციების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

იურიდიული პირებისთვის გაცემული ყველა სესხის შემთხვევაში ვახორციელებთ სათანადო შემოწმების (Due Diligence) პროცესს, რომელიც მოიცავს მომხმარებლის ბიზნესსაქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის დეტალურ შეფასებას.
საკრედიტო რისკის მართვა ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფისა და პირადი გარანტიების მიღების გზით. აღნიშნული სესხებისთვის უზრუნველყოფის შეფასებას ახორციელებენ დამოუკიდებელი ექსპერტები.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ექსპოზიცია, როგორც წესი, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებითა და აღურიცხავი სახელშეკრულებო ვალდებულებების მოცულობით. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთჩათვლის გავლენა პოტენციური საკრედიტო ექსპოზიციის შემცირებაზე არსებითი არ არის.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი განისაზღვრება როგორც რისკი, როდესაც ბანკს არ გააჩნია საკმარისი ლიკვიდური ფინანსური რესურსი ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული გადახდების შესასრულებლად, რომლებიც ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით უნდა დაიფაროს. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება იმ შესაძლებლობიდან, რომ ბანკმა შესაძლოა ვერ შეძლოს გადახდის ვალდებულებების შესრულება მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ისე სტრესულ პირობებში, ფულადი ნაკადების დროითი შეუსაბამობის გამო.

ბანკი ახორციელებს ლიკვიდობის მართვას იმ მიზნით, რომ ნებისმიერ დროს უზრუნველყოს საკმარისი რესურსების ხელმისაწვდომობა ყველა მიმდინარე და სამომავლო ფულადი ვალდებულების შესასრულებლად.

ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა პერიოდულად გადაიხედება და მტკიცდება მენეჯმენტის მიერ. ბანკი აქტიურად ცდილობს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რათა სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს რეაგირება ლიკვიდობის გაუთვალისწინებელ საჭიროებებზე.

ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოიცავს:

- დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებული სტრუქტურის შენარჩუნებას;
- ვალდებულებების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ვალის დაფინანსების გეგმების შენარჩუნებას;
- ლიკვიდობის კოეფიციენტების მონიტორინგს მარეგულირებელ მოთხოვნებთან მიმართებით.

ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს ახორციელებენ ფინანსების მართვის დეპარტამენტი და რისკების მართვის დეპარტამენტი. ჩვეულებრივი საბაზრო პირობების შემთხვევაში, ლიკვიდობის პოზიციის შესახებ ინფორმაცია მენეჯმენტს ყოველკვირეულად წარედგინება. ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის (ALCO) მიერ და ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის (Treasury Division) მეშვეობით. დამატებით, რეგულარულად ვახორციელებთ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი ლიკვიდობის კოეფიციენტების მონიტორინგს.

ყოველწლიურად ვამუშავებთ დაფინანსების სტრატეგიას, რომელიც პერიოდულად გადაიხედება საბაზრო პირობების ცვლილებების შესაბამისად. ლიკვიდობის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ და დამატებით კონტროლდება რისკების მართვის დეპარტამენტის მხრიდან. ლიმიტები მტკიცდება აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის (ALCO) და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, ყოველდღიურად ვაკონტროლებთ ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტს (Liquidity Coverage Ratio – LCR). ამასთან, ჩვენი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი განთავსებულია მაღალლიკვიდურ აქტივებში, რაც ამცირებს ლიკვიდობის რისკს. ლიკვიდობის რისკის შესამცირებლად ვინარჩუნებთ რეზერვებს, რომელთა მოცულობა განისაზღვრება მოზიდული დაფინანსების მოცულობის, ვალუტისა და დაფინანსების ტიპების მიხედვით.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის წარმოშობის რისკს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს სისტემების გაუმართაობით, ადამიანური შეცდომებით, თაღლითობით ან გარე ფაქტორებით. იმ შემთხვევაში, თუ კონტროლის მექანიზმები ეფექტიანად ვერ ფუნქციონირებს, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციული ზიანი, სამართლებრივი ან მარეგულირებელი შედეგები, ან ფინანსური დანაკარგი.

ჩვენ ვერ ველით ყველა საოპერაციო რისკის სრულად აღმოფხვრას, თუმცა აღნიშნული რისკების მართვას ვახორციელებთ კონტროლის ჩარჩოს, მუდმივი მონიტორინგისა და პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირების მეშვეობით. კონტროლის მექანიზმები მოიცავს: ფუნქციების ეფექტიან გამიჯვნას; წვდომებისა და ავტორიზაციის პროცედურებს; ანგარიშსწორებისა და შეჯერების პროცესებს; თანამშრომელთა განათლებისა და შეფასების პროცედურებს; შიდა პროცესების გამოყენებას, მათ შორის:

- რისკების მართვის პროცესს;
- რისკის მისაღები დონის (Risk Appetite) განსაზღვრას;
- შიდა კონტროლის მექანიზმებს;
- სტრეს-ტესტირებას და მის სხვადასხვა ფორმებს რისკების პრევენციის მიზნით.

AML შესაბამისობა

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა *(AML/CFT)* და სანქციებთან შესაბამისობა

ჩვენი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულების (AML/CFT) ჩარჩო ეფუძნება რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელსაც მხარს უჭერს დაცვის სამი ხაზის (Three Lines of Defense) მმართველობითი მოდელი და თანამედროვე მონიტორინგის სისტემები.

ბანკში მოქმედებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სანქცირებული პირებისა და საქმიანობების მიმართ. ჩვენ ვკრძალავთ საერთაშორისო სანქციებისგან თავის არიდებისა და გვერდის ავლის ყველა ფორმას. მომხმარებელთა რისკების მართვას ვახორციელებთ ურთიერთობის სრული ციკლის განმავლობაში, ავტომატიზებული რისკის შეფასების მექანიზმებისა და რეგულარული სათანადო შემოწმების (Due Diligence) პროცესების გამოყენებით.

მომხმარებლის რეგისტრაციის ეტაპზე გროვდება ინფორმაცია საკუთრების სტრუქტურის, საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრისა (Ultimate Beneficial Owner – UBO) და სახსრების წარმოშობის წყაროს შესახებ. მაღალი რისკის მქონე კლიენტებისა და პოლიტიკურად აქტიური პირების (Politically Exposed Persons – PEP) მიმართ ხორციელდება გაძლიერებული სათანადო შემოწმება (Enhanced Due Diligence).
AML შესაბამისობის დეპარტამენტი საქმიანობას სრულ შესაბამისობაში ახორციელებს საერთაშორისო სანქციურ ჩარჩოებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი მოთხოვნების ეფექტიან შესრულებას.



შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიზანია, გააძლიეროს სს იშბანკი საქართველოს შესაძლებლობები ღირებულების შექმნის, დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით, სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტისთვის დამოუკიდებელი, რისკზე დაფუძნებული და ობიექტური შეფასებების, რეკომენდაციებისა და პროფესიული ხედვის მიწოდების გზით.

შიდა აუდიტის მისიაა ორგანიზაციული ღირებულების გაძლიერება და დაცვა დამოუკიდებელი და ობიექტური მიდგომების გამოყენებით, რომლებიც მიმართულია ბანკის ფუნქციების, საქმიანობისა და საოპერაციო პროცესების გაუმჯობესებისკენ.

შიდა აუდიტი ხელს უწყობს ბანკს სტრატეგიული და საოპერაციო მიზნების მიღწევაში რისკების მართვის, კონტროლისა და კორპორაციული მართვის პროცესების ეფექტიანობის სისტემური და დისციპლინირებული შეფასებისა და გაუმჯობესების გზით. შიდა აუდიტის ფუნქცია წარმოადგენს ბანკის დაცვის სამი ხაზის (Three Lines of Defense) მოდელის მესამე ხაზის მნიშვნელოვან კომპონენტს და შიდა კონტროლის სისტემის მუდმივი მონიტორინგის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს. იგი უზრუნველყოფს ბანკის შიდა კონტროლის ჩარჩოს ადეკვატურობის, ეფექტიანობისა და შესაბამისობის დამოუკიდებელ და ობიექტურ შეფასებას.

რისკების მართვისა და კორპორაციული მართვის პროცესების შეფასების გზით, შიდა აუდიტის ფუნქცია ეხმარება უმაღლეს მენეჯმენტსა და დირექტორთა საბჭოს მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობების ეფექტიანად და შედეგიანად შესრულებაში.

სს იშბანკი საქართველოს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი ფუნქცია, ფუნქციურად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის წინაშე, ხოლო ადმინისტრაციულად (მათ შორის ყოველდღიური საქმიანობის მიმართულებით) — აღმასრულებელი დირექტორის წინაშე. დეპარტამენტის საქმიანობა ხორციელდება მოქმედი ადგილობრივი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი მოთხოვნების, ჯგუფის აუდიტის პრაქტიკისა და შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის გლობალური სტანდარტების შესაბამისად.

დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, შიდა აუდიტის დეპარტამენტი არ ახორციელებს შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვას, პროცედურების შემუშავებას, სისტემების ინსტალაციას, ჩანაწერების მომზადებას ან სხვა საქმიანობას, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი დამოუკიდებელი შეფასების შესაძლებლობაზე.

აუდიტის საქმიანობას შიდა აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს ყოველწლიურად მომზადებული აუდიტის გეგმის შესაბამისად. აღნიშნული გეგმა ეფუძნება რისკზე დაფუძნებულ მიდგომას და შეესაბამება სს იშბანკი საქართველოს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. თითოეული აუდიტის გეგმა მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მიერ. საჭიროების შემთხვევაში, გეგმა რეგულარულად განახლდება შიდა კონტროლის სისტემაში განხორციელებული ცვლილებების, მათ შორის ახალი ბიზნესმიმართულებების, გათვალისწინებისა და ბანკის ძირითადი რისკების ეფექტიანი შეფასების მიზნით.





მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება იშბანკი საქართველო წარმოადგენს თურქეთში დაფუძნებული კომპანიის — Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-ის ერთ-ერთ შვილობილ კომპანიას.

ჩვენი კორპორაციული მართვის სისტემა შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის 26 სექტემბერს დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნებს, რომელიც პერიოდულად განახლდება შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით (შემდგომში — „კოდექსი“).


მმართველი ორგანოები

აქციონერთა საერთო კრება („საერთო კრება“)

სამეთვალყურეო საბჭო

დირექტორთა საბჭო

ორგანიზაციული სტრუქტურა



სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



ოლგუნ თუფან ქურბანოღლუ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
2022 წლის აგვისტო – მიმდინარე

ბატონი ოლგუნ თუფან ქურბანოღლუ არის ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საჯარო ადმინისტრირების მიმართულების კურსდამთავრებული. კარიერა Türkiye İş Bankası-ში 1993 წელს, ინსპექციის საბჭოს ინსპექტორის პოზიციაზე დაიწყო. 2002 წელს დაინიშნა კომერციული და კორპორატიული სესხების მონიტორინგის დეპარტამენტის (დირექტორის მოადგილედ, 2006 წელს — იმავე დეპარტამენტის განყოფილების ხელმძღვანელად, ხოლო 2011 წელს — საცალო სესხების მონიტორინგის დეპარტამენტის რეგიონულ მენეჯერად. 2014 წელს დაინიშნა კომერციული და კორპორატიული სესხების მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორად. 2022 წლის 25 მარტს კი Türkiye İş Bankası-ის გენერალური დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. 2022 წლის აგვისტოდან ბატონი ოლგუნ თუფან ქურბანოღლუ სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას იკავებს.



ბუღრა ავჯი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
2025 წლის მარტი – მიმდინარე

ბატონი ბუღრა ავჯი 1998 წელს დაამთავრა ანკარის ბილკენტის უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით. მისი პროფესიული საქმიანობა Türkiye İş Bankası-ში 1998 წელს, ბანკის Sultanhamam-ის ფილიალში ასისტენტ-სპეციალისტის პოზიციაზე დაიწყო. 1999–2016 წლებში მუშაობდა საცალო საბანკო მომსახურების მარკეტინგის და კომერციული ბანკინგის დეპარტამენტებში, სადაც მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილება დააგროვა. 2016 წელს დაინიშნა კომერციული ბანკინგის დეპარტამენტის დირექტორად. 2019–2023 წლებში ხელმძღვანელობდა Türkiye İş Bankası-ის Gebze კორპორატიულ ფილიალს. 2023 წლიდან დღემდე იკავებს Kozyatağı Branch-ის დირექტორის თანამდებობას. 2025 წლის მარტიდან ბატონი ბუღრა ავჯი არის სს იშბანკი საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე.



ოზგე სევალ დედეოღლუ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
2025 წლის აგვისტო – მიმდინარე


ქალბატონმა ოზგე სევალ დედეოღლუმ 2003 წელს დაამთავრა ბოღაზიჩის უნივერსიტეტი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამით. პროფესიული საქმიანობა Türkiye İş Bankası-ში 2003 წელს დაიწყო, კორპორატიული საკრედიტო ანდერრაიტინგის დეპარტამენტში საკრედიტო სპეციალისტის პოზიციაზე. 2011 წელს დაწინაურდა ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, ხოლო 2017 წელს დაინიშნა განყოფილების ხელმძღვანელად. 2024 წელს ქალბატონი დედეოღლუ დაინიშნა პროექტების დაფინანსების დეპარტამენტის დირექტორად და აღნიშნულ პოზიციას დღემდე იკავებს. 2025 წლის აგვისტოდან ქალბატონი ოზგე სევალ დედეოღლუ არის სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ჰუსეინ სერდარ იუჯელი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
2018 წლის ივნისი – მიმდინარე



ბატონმა ჰუსეინ სერდარ იუჯელმა 1996 წელს დაამთავრა მარმარას უნივერსიტეტი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამით. იმავე წლიდან საქმიანობს Türkiye İş Bankası-ში. პროფესიული კარიერა დაიწყო საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დეპარტამენტის კორესპონდენტული ბანკინგის განყოფილებაში სპეციალისტის პოზიციაზე. 1999 წელს დაინიშნა ამავე დეპარტამენტის საზღვარგარეთული ბანკინგის განყოფილების სპეციალისტად. 2008 წელს დაწინაურდა დირექტორის მოადგილის პოზიციაზე. 2013 წელს ბატონი იუჯელი დაინიშნა შვილობილი კომპანიების დეპარტამენტის საზღვარგარეთული ბანკინგის განყოფილების ხელმძღვანელად და აღნიშნულ თანამდებობას დღემდე იკავებს. 2018 წლის ივნისიდან ბატონი ჰუსეინ სერდარ იუჯელი არის სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ნათია ჯანელიძე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
2019 წლის ოქტომბერი – 2026 წლის მარტი



ქალბატონი ნათია ჯანელიძე ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსების დოქტორის (PhD) აკადემიურ ხარისხს, ასევე აშშ-ის მისურის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს. პროფესიული საქმიანობა 2000 წელს „თიბისი ბანკში“ საკრედიტო ოფიცრის პოზიციაზე დაიწყო. 2005 წელს დაინიშნა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელად, ხოლო 2007 წელს — კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 2007 წელს საქმიანობა განაგრძო Bank Republic Societe Generale Group-ში, სადაც დაახლოებით რვა წლის განმავლობაში სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას იკავებდა. 2015 წელს დაინიშნა ფინანსების მენეჯერად USAID-ის მიერ დაფინანსებულ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ პროექტში (ATIPFUND), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. 2007–2010 წლებში კავკასიის უნივერსიტეტში კითხულობდა სალექციო კურსებს საბანკო საქმესა და სასესხო ოპერაციების სტრუქტურირების მიმართულებით. 2015 წლიდან დღემდე ქალბატონი ნათია ჯანელიძე იკავებს Gazelle Finance-ის (რეგიონული კერძო საინვესტიციო ფონდი – Regional Private Equity Fund) მთავარი საინვესტიციო დირექტორის და რეგიონული დირექტორის თანამდებობას. ამასთან, იგი არის ბიზნესასოციაცია „ქალები ხვალინდელი დღისთვის“ (Women for Tomorrow) ფინანსური კომიტეტის თავმჯდომარე. ქალბატონი ნათია ჯანელიძე სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი იყო 2019 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის 31 მარტამდე.

თამარ სანიკიძე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
2022 წლის აგვისტო – მიმდინარე



ქალბატონმა თამარ სანიკიძემ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის ბაკალავრის ხარისხით. იგი ასევე ფლობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საჯარო მმართველობის მაგისტრის ხარისხს. ამჟამად მუშაობს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. 2019 წლიდან არის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოს წევრი და რექტორის მრჩეველი ხარისხის უზრუნველყოფისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფორმის საკითხებში. 2018 წლიდან საქმიანობს Erasmus+ ეროვნული ოფისის (თბილისი, საქართველო) უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტად. 2021 წლიდან არის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის აკრედიტაციის პროგრამების აღიარების შეფასების ექსპერტი. 2020 წლიდან იკავებს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის – Innovation, Inclusion and Quality – აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას. ქალბატონი თამარ სანიკიძე 2022 წლის აგვისტოდან არის სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

ბანკის მმართველი ორგანოები

აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება (შემდგომში — „საერთო კრება“) წარმოადგენს ბანკის უმაღლეს მმართველ ორგანოს, რომლის მეშვეობითაც აქციონერები ახორციელებენ საკუთარ უფლებებს და მონაწილეობენ ბანკისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

აქციონერებს უფლება აქვთ დაესწრონ საერთო კრებას, მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, მიიღონ დივიდენდები და მოითხოვონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსგან დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხების განმარტება, რითაც უზრუნველყოფილია მათი ანგარიშვალდებულება აქციონერების წინაშე.

საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე. მორიგი საერთო კრება ტარდება წლიური ფინანსური ანგარიშგების დასრულებიდან ორი თვის ვადაში. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის გადაწყვეტილებას იღებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

საქართველოს კანონმდებლობით ან ბანკის წესდებით განსხვავებული მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის საქმიანობის დამოუკიდებელ ზედამხედველობასა და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკის საქმიანობა წარიმართოს უსაფრთხო, გონივრული და მდგრადი პრინციპების შესაბამისად.

ბანკისა და მისი ყველა დაინტერესებული მხარის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობს სტრატეგიული მიზნების განხორციელებას, ამტკიცებს და აკონტროლებს ბიზნესგეგმების შესრულებას, ასევე ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებაზე, კეთილსინდისიერებასა და რისკების ეფექტიან მართვაზე დაფუძნებული კორპორაციული კულტურის განვითარებას.

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს ბანკის საქმიანობის საერთო ზედამხედველობას და შედგება ექვსი წევრისგან. საბჭოს სხდომები იმართება არანაკლებ კვარტალში ერთხელ.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ბანკის გრძელვადიან სტრატეგიასა და ბიზნესგეგმას, განიხილავს ფინანსურ და საოპერაციო შედეგებს, ზედამხედველობს კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურობას და უზრუნველყოფს ბანკის ძლიერი და მდგრადი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნებას. საბჭო რეგულარულად აფასებს ახალ და განვითარებად რისკებს, საბაზრო ტენდენციებს, რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობასა და მარეგულირებელ და პრუდენციულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბანკის კორპორაციული მართვის ჩარჩოს ზედამხედველობა, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემების, შესაბამისობის (Compliance) ფუნქციის, შიდა აუდიტის საქმიანობისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესების ეფექტიანობის შეფასება. ამასთან, საბჭო ზედამხედველობს ბანკის მიდგომებს საოპერაციო საქმიანობის, კიბერუსაფრთხოების, ფულის გათეთრებისა და ფინანსური დანაშაულის პრევენციის, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის მიმართულებებით.

გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებითა და ბანკის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ სხვა საკითხებზე.

ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში ფუნქციონირებს სპეციალიზებული კომიტეტები, მათ შორის აუდიტის კომიტეტი, რისკების კომიტეტი და ლიმიტების გადახედვისა და საკრედიტო კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დეტალურად განიხილავენ შესაბამის საკითხებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენენ რეკომენდაციებს, რაც გადაწყვეტილებების მიღების ხარისხსა და ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზრდის.

სამეთვალყურეო საბჭო ასევე ზედამხედველობს უფროსი მენეჯმენტის მემკვიდრეობის დაგეგმვის (Succession Planning) პროცესს, აფასებს აღმასრულებელი მენეჯმენტის საქმიანობას და უზრუნველყოფს, რომ ანაზღაურების სისტემა ხელს უწყობდეს პასუხისმგებლიან რისკის აღებასა და გრძელვადიანი ღირებულების შექმნას.

რეგულარული თვითშეფასებისა და უწყვეტი განვითარების გზით, სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს იმ ცოდნის, გამოცდილების, დამოუკიდებლობისა და მრავალფეროვნების შენარჩუნებას, რომელიც აუცილებელია ბანკის ეფექტიანი ზედამხედველობისთვის მუდმივად ცვალებად საოპერაციო გარემოში.

კომიტეტები

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს მყარი კორპორაციული მართვის ჩარჩოს ფუნქციონირებას, რომელიც ეფუძნება ფუნქციების მკაფიო გამიჯვნას, ანგარიშვალდებულებასა და რისკების აქტიურ ზედამხედველობას. საბჭო უზრუნველყოფს ბანკის მასშტაბით რისკების სტრატეგიის, რისკის მისაღები დონის (Risk Appetite) და შესაბამისი მიზნების თანმიმდევრულ განხორციელებას.

კომიტეტები

- რისკების კომიტეტი
- საკრედიტო კომიტეტი
- ლიმიტების გადახედვის კომიტეტი
- აუდიტის კომიტეტი

კომიტეტების თავმჯდომარეების შესახებ ინფორმაცია

- ბატონი ოლგუნ თუფან ქურბანოღლუ არის საკრედიტო კომიტეტის თავმჯდომარე.
- ქალბატონი ოზგე სევალ დედეოღლუ არის ლიმიტების გადახედვის კომიტეტის თავმჯდომარე.
- ქალბატონი ნათია ჯანელიძე არის რისკების კომიტეტის თავმჯდომარე.
- ქალბატონი თამარ სანიკიძე არის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე.

რისკ კომიტეტი

რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციებისა და მოსაზრებების წარდგენაზე არსებული და სამომავლო რისკის მისაღები დონის (Risk Appetite) საკითხებთან დაკავშირებით. კომიტეტი აკვირდება, რამდენად ეფექტიანად იმართება ბანკი ბანკის რისკების მართვის პოლიტიკებთან შესაბამისობაში.

სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია:

- რისკების სტრატეგიების განხილვა როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკების დონეზე და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოსთვის, მათ შორის ბანკის მიმდინარე და სამომავლო რისკის მისაღები დონის (Risk Appetite) შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის ბანკის სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საბჭოს მხარდაჭერა მენეჯმენტის მიერ აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების პროცესში;
- ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ ანგარიშების მომზადება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა, ასევე ბანკის რისკების მართვის პოლიტიკების განხილვა არანაკლებ ყოველწლიურად და სხვა შესაბამისი საკითხების განხილვა.

საკრედიტო კომიტეტი

საკრედიტო კომიტეტი პასუხისმგებელია საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებაზე, განვითარებასა და ბანკის შესაბამისი ორგანოსთვის დასამტკიცებლად წარდგენაზე.

კომიტეტი განსაზღვრავს:

- მსესხებლებისთვის — იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის — საკრედიტო ლიმიტებს;
- საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო ლიმიტებს;
- ბანკის ფინანსურ ბაზრებზე განხორციელებული ტრანზაქციების ლიმიტებს, მათ განსაზღვრას, დადასტურებას ან გაუქმებას;
- ფასიან ქაღალდებსა და სხვა დერივატივებში ინვესტიციებისთვის საკრედიტო რისკის ლიმიტებს.

საკრედიტო კომიტეტი აკონტროლებს ბანკის მიერ დამტკიცებული ლიმიტების დაცვას. კომიტეტი განიხილავს სასესხო განაცხადებს, იღებს გადაწყვეტილებებს სესხების რესტრუქტურიზაციისა და ჩამოწერის საკითხებზე, ასევე განიხილავს ბანკის საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ ყველა სხვა მნიშვნელოვან საკითხს.

ლიმიტების გადახედვის კომიტეტი

ლიმიტების გადახედვის კომიტეტი განიხილავს შემდეგ საკითხებს:

- ბანკის მთლიან საკრედიტო პორტფელს, მათ შორის ინფორმაციას ფულადი და არაფულადი სესხების, კორპორაციული ობლიგაციების, სეგმენტაციისა და პრობლემური სესხების (NPL) შესახებ.
- ბანკის ის მომხმარებლები, რომელთა სესხებიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს საკრედიტო კომიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში (1,500,000 აშშ დოლარიდან 3,000,000 აშშ დოლარამდე მოცულობის სესხები) ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (3,000,000 აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხები), განიხილებიან ინდივიდუალურად.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც ზედამხედველობს ბანკის საქმიანობას ყველა მიმართულებით და ორგანიზაციის ყველა დონეზე. კომიტეტის პასუხისმგებლობაა ბანკის პროცესების გაუმჯობესების მიზნით შესაძლო რისკების მინიმიზაციის ხელშეწყობა.

აუდიტის კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს და მხარს უჭერს მას, განსაკუთრებით შემდეგი საკითხების მონიტორინგის მიმართულებით:

- ბალანსის, ფინანსური ანგარიშგებისა და ფინანსური მონაცემების მომზადება;
- რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობა, განსაკუთრებით შიდა კონტროლის სისტემის, შიდა აუდიტის სისტემისა და კორპორაციული შესაბამისობის ფუნქციის ეფექტიანობა;
- წლის ბოლოს აუდიტების დაგეგმვა, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით გარე აუდიტორების დამოუკიდებლობასა და საქმიანობის ხარისხზე, ასევე შესაბამისი ინფორმაციის წლიურ ანგარიშში, Pillar 3-ის ფარგლებში, გამჟღავნების უზრუნველყოფა;
- შესაბამისი ღონისძიებების დროული განხორციელებისა და აუდიტის შედეგად გამოვლენილი საკითხების სწრაფი გამოსწორების უზრუნველყოფა;
- მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი „შიდა კონტროლის/აუდიტის/შესაბამისობის გეგმების“ შესაბამისობის კონტროლი და დამტკიცება.

ზემოაღნიშნული კომიტეტების გარდა, ბანკში ფუნქციონირებს რამდენიმე შიდა კომიტეტი, რომლებიც ხელს უწყობენ ბანკის პროცესების ეფექტიან კონტროლსა და მართვას: კორპორაციული მართვის, რისკებისა და შესაბამისობის კომიტეტი; აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO); საკრედიტო კომიტეტი; ადამიანური რესურსების კომიტეტი; AML და შესაბამისობის კომიტეტი; IT მართვის კომიტეტი; შესყიდვების კომიტეტი; მენეჯმენტის კომიტეტი; მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტი; პრობლემური სესხების (NPL) კომიტეტი; საფასო პოლიტიკის (Pricing) კომიტეტი; მარეგულირებელ შესაბამისობის კომიტეტი.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

ბანკი აღიარებს, რომ მრავალფეროვანი სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო მდგრადი ბიზნესწარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სხვადასხვა გამოცდილების, პროფესიული წარსულისა და განსხვავებული ხედვების მქონე წევრების გაერთიანებით, ჩვენ ხელს ვუწყობთ უფრო სრულყოფილ განხილვებს, სტრატეგიული გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებას და ეფექტიანი კორპორაციული მართვის განვითარებას. ბანკი აგრძელებს ერთგულებას, რომ მმართველ ორგანოებში მომავალში განხორციელებული ყველა დანიშვნისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს გამოცდილების, კომპეტენციებისა და ხედვების მრავალფეროვნებას. ბანკში მოქმედებს ძლიერი შიდა კონტროლის ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სანდოობასა და სიზუსტეს. პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების მკაფიოდ განსაზღვრულ სტრუქტურაზე დაყრდნობით, ბანკის დამკვიდრებული პოლიტიკები და პროცედურები არეგულირებს ფინანსურ დაგეგმვას, ყოველთვიურ მენეჯმენტურ ანგარიშგებას, პროექტების მართვის პროცესებსა და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს. გარდა ამისა, შესაბამისი მიმართულებების პასუხისმგებელი პირების მიერ განხორციელებული მკაცრი მიმოხილვის პროცესი უზრუნველყოფს, რომ წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია ბანკის საქმიანობისა და განვითარების შესახებ სრულ, ზუსტ და სამართლიან სურათს ასახავდეს.

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები: წევრები

■ თავმჯდომარე □ წევრი	აუდიტის კომიტეტი	საკრედიტო კომიტეტი	რისკების კომიტეტი	ლიმიტების გადახედვის კომიტეტი
თუფან ქურბანოღლუ		■		
სერდარ იუჯელი	□		□	□
ოზგე სევალ დედეოღლუ		□		□
ბუღრა ავჯი		□		■
ნათია ჯანელიძე	□		■	
თამარ სანიკიძე	■		□	

სამეთვალყურეო საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სხდომებზე დასწრება:

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	სამეთვალყურეო საბჭო	აუდიტის კომიტეტი	საკრედიტო კომიტეტი	რისკების კომიტეტი	ლიმიტების გადახედვის კომიტეტი	სამეთვალყურეო საბჭოს სესხი
თუფან ქურბანოღლუ	25/25	-	2/2	-	-	34/34
ბუღრა ავჯი	25/25	-	2/2	-	1/1	25/34
აჰმეთ ჰაქან უნალი	6/25	-	-	-	-	11/34
ოზგე სევალ დედეოღლუ	13/25	-	1/2	-	1/1	18/34
სერდარ იუჯელი	25/25	4/4	-	4/4	1/1	34/34
ნათია ჯანელიძე	19/25	4/4	-	4/4	-	34/34
თამარ სანიკიძე	20/25	4/4	-	4/4	-	34/34

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები

ქალბატონი **ნათია ჯანელიძე** იკავებს Gazelle Finance-ში რეგიონული დირექტორის/მთავარი საინვესტიციო დირექტორის თანამდებობას. აღნიშნული ორგანიზაცია პირდაპირ ან ირიბად არ არის დაკავშირებული სს „იშბანკი საქართველოსთან“ ან მის აქციონერთან. ამასთან, მას პირდაპირ ან ირიბად არ აქვს და არც ჰქონია პროფესიული ან პირადი ურთიერთობა ბანკთან, აქციონერთან ან ადმინისტრატორებთან.

ქალბატონი **თამარ სანიკიძე** იკავებს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის – Innovation, Inclusion and Quality – აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას. აღნიშნული პროექტი პირდაპირ ან ირიბად არ არის დაკავშირებული სს „იშბანკი საქართველოსთან“ ან მის აქციონერთან. ამასთან, მას პირდაპირ ან ირიბად არ აქვს და არც ჰქონია პროფესიული ან პირადი ურთიერთობა ბანკთან, აქციონერთან ან ადმინისტრატორებთან.



დირექტორთა საბჭო



ონურ ქუთუქი

გენერალური დირექტორი
2025 წლის 29 აპრილი – მიმდინარე

ბატონი ონურ ქუთუქი დაიბადა 1976 წელს ესქიშეჰირში. 1994 წელს დაამთავრა ესქიშეჰირის ანატოლიური საშუალო სკოლა, ხოლო 1998 წელს მიიღო ბაკალავრის ხარისხი ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტატისტიკის მიმართულებით.

1998–1999 წლებში მუშაობდა ანკარის უნივერსიტეტში მკვლევარ-ასისტენტად. 2000 წელს კარიერა Türkiye İş Bankası-ში დაიწყო ტალანტების მართვის დეპარტამენტში ტრენინგის სპეციალისტის თანაშემწის პოზიციაზე.

2006 წელს დაინიშნა საკრედიტო სპეციალისტად Türkiye İş Bankası-ის ბაჰრეინის ფილიალში, ხოლო 2011–2014 წლებში იმავე ფილიალის სახაზინო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციას იკავებდა.

2014–2016 წლებში მუშაობდა კორპორატიული და კომერციული საბანკო გაყიდვების დეპარტამენტში დირექტორის მოადგილის პოზიციაზე. 2016 წელს დაინიშნა Türkiye İş Bankası-ის ტრანსსასაზღვრო საბანკო მომსახურების განყოფილების დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2018–2023 წლებში ხელმძღვანელობდა აღნიშნულ განყოფილებას. İşbank-ის საერთაშორისო ოპერაციების ხელმძღვანელობის პერიოდში ბატონი ქუთუქი აქტიურად წარმოადგენდა ბანკს თურქეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოში სადაც სხვადასხვა პერიოდში იკავებდა საქართველოს, ერაყის, ბაჰრეინისა და კოსოვოს ბიზნესსაბჭოების აღმასრულებელი საბჭოს წევრის პოზიციას.

2018–2020 წლებში იყო სს იშბანკი რუსეთის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ხოლო 2018–2022 წლებში — სს „იშბანკი საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2023–2025 წლებში ბატონი ონურ ქუთუქი იყო İşbank Kosovo-ს ქვეყნის მენეჯერი. აღნიშნულ პერიოდში იგი ასევე იყო კოსოვოს საბანკო ასოციაციის საბჭოს წევრი და კოსოვო–თურქეთის სავაჭრო პალატის საბჭოს წევრი.

2025 წლის 23 ივლისიდან ონურ ქუთუქი დამტკიცებულია სს „იშბანკი საქართველოს“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე.



ჰუსეინ ქარაბულუთი

გენერალური დირექტორის მოადგილე
2023 წლის აგვისტო – მიმდინარე

ბატონი ჰუსეინ ქარაბულუთი დაიბადა 1978 წელს სტამბოლში. მან სტამბოლის უნივერსიტეტში მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი და ფინანსების მაგისტრის ხარისხი.

პროფესიული კარიერა 2001 წელს დაიწყო Türkiye İş Bankası A.Ş.-ში, სადაც 2010 წლამდე ინსპექტორის პოზიციაზე მუშაობდა ინსპექციის საბჭოში. შემდგომ იგი დაწინაურდა კომერციული სესხების ანდერრაიტინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე.

2023 წლის აგვისტოში ბატონი ჰუსეინ ქარაბულუთი დაინიშნა სს „იშბანკი საქართველოს“ გენერალური დირექტორის მოადგილედ და მენეჯმენტის საბჭოს წევრად.

ბატონი ჰუსეინ ქარაბულუთი ფლობს თურქეთის კაპიტალის ბაზრების საბჭოს მიერ დამტკიცებულ საკრედიტო რეიტინგის სპეციალისტის ლიცენზიას, კაპიტალის ბაზრის საქმიანობის მესამე დონის ლიცენზიას, დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტების ლიცენზიას და კორპორაციული მართვის რეიტინგის ლიცენზიას.

გარდა ამისა, მან საერთაშორისო პროფესიული კვალიფიკაცია გააფართოვა ლონდონის საბანკო და ფინანსების ინსტიტუტის მიერ გაცემული დოკუმენტური აკრედიტივების სპეციალისტის სერტიფიკატით (Certificate for Documentary Credit Specialists – CDCS).

ბატონი ჰუსეინ ქარაბულუთი თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას.



ა. ვაჰაპ დოღანი

გენერალური დირექტორის მოადგილე
2024 წლის მაისი – მიმდინარე

ბატონი აბდულვაჰაპ დოღანი დაიბადა 1974 წელს მალათიაში, თურქეთში. მან ბაკალავრის ხარისხი მიიღო ინონუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

ბატონმა დოღანმა პროფესიული კარიერა Türkiye İş Bankası-ში 2000 წელს, გებზეს ფილიალში ოფიცრის პოზიციაზე დაიწყო. 2004 წელს იმავე ფილიალში დაინიშნა სავალუტო მომსახურების ოფიცრად. 2006 წელს, იგივე პოზიციაზე, გადავიდა Gebze კორპორატიულ ფილიალში, ხოლო 2009 წელს დაინიშნა Kozyatağı კორპორატიული ფილიალის მეორე მენეჯერად.

2014 წელს ბატონი ვაჰაპ დოღანი იმავე ფილიალში დაწინაურდა დირექტორის მოადგილის პოზიციაზე.

2024 წლის მაისში ბატონი აბდულვაჰაპ დოღანი დაინიშნა სს „იშბანკი საქართველოს“ გენერალური დირექტორის მოადგილედ. იგი ასევე არის სს „იშბანკი საქართველოს“ დირექტორთა საბჭოს წევრი.

ბატონ დოღანს აქვს Türkiye İş Bankası-ში მუშაობის 25-წლიანი პროფესიული გამოცდილება.



უჩა სარალიძე

ფინანსური დირექტორი
2017 - მიმდინარე

ბატონი უჩა სარალიძე 2020 წლიდან არის სს „იშბანკი საქართველოს“ დირექტორთა საბჭოს წევრი, ხოლო 2017 წლიდან ამავდროულად იკავებს ფინანსური დირექტორის თანამდებობას.

იგი ბანკს 2015 წელს შეუერთდა მთავარი ბუღალტრისა და ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციაზე, სადაც მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვა საბანკო საქმიანობის, კორპორაციული ანგარიშგებისა და ფინანსური სტრატეგიის მიმართულებით.

ბატონმა სარალიძემ პროფესიული კარიერა 2008 წელს „თიბისი ბანკში“ დაიწყო, სადაც საქმიანობა კორპორაციული ანგარიშგების მენეჯერის პოზიციაზე დაიწყო. შემდგომ იგი დაწინაურდა კორპორაციული ანგარიშგების უფროსი მენეჯერის პოზიციაზე, ხოლო მოგვიანებით ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა ფინანსური მართვის დეპარტამენტში უფროს ფინანსურ ანალიტიკოსად.
საბანკო სფეროში საქმიანობის გარდა, ბატონ სარალიძეს აქვს მენეჯერული გამოცდილება საქართველოს სამშენებლო და საწარმოო სექტორებში, სადაც მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავდა ბაზრის ანალიზს, ფინანსური სტრატეგიის შემუშავებასა და საოპერაციო პროცესების ოპტიმიზაციას.

ბატონი უჩა სარალიძე დაიბადა თბილისში 1988 წლის 26 ივნისს. 2009 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკის მიმართულებით ბაკალავრის ხარისხით.



ვასილ აფხაზავა

რისკების მთავარი ოფიცერი
აპრილი 2022 - მიმდინარე

ბატონი ვასილ აფხაზავა დაიბადა თბილისში, საქართველოში, 1976 წლის 21 იანვარს.

1997 წელს დაამთავრა თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტი ბაკალავრის ხარისხით. 2007 წელს სრულად დაასრულა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (MBA) თბილისის ევროპულ სკოლაში.

ბატონ ვასილ აფხაზავას აქვს საბანკო სფეროში მუშაობის 26-წლიანი გამოცდილება. პროფესიული კარიერა 1996 წელს დაიწყო საკრედიტო ოფიცრის პოზიციაზე. მუშაობის პერიოდში „თიბისი ბანკში“, „თიბლივერსალბანკსა“ და „საქართველოს ბანკში“ დაიკავა სხვადასხვა პოზიცია და კარიერული დაწინაურება მიიღო.

ბატონი აფხაზავა სს „ისბ“ გუნდს შეუერთდა რისკების მთავარი ოფიცრის პოზიციაზე და 2022 წლის აპრილიდან არის სს „იშბანკი საქართველოს“ დირექტორთა საბჭოს წევრი.

ბატონი ვასილ აფხაზავა თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო ანგარიშვალდებულია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ მართვასა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული მიმართულების განხორციელებაზე. საბჭო ხელმძღვანელობს ბანკის საოპერაციო საქმიანობას, მართავს ბიზნესპროცესებს და უზრუნველყოფს იმ პოლიტიკების, მიზნებისა და ინიციატივების ეფექტიან განხორციელებას, რომლებიც მიმართულია მომხმარებლებისთვის, აქციონერებისთვის, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნაზე. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური და საოპერაციო მიზნების მიღწევაზე, ამასთანავე, უზრუნველყოფს სათანადო ბალანსის დაცვას ზრდას, მომგებიანობას, რისკების მართვასა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას შორის. საბჭო ზედამხედველობს ბანკის ყველა ძირითად ბიზნესმიმართულებას, მათ შორის საცალო საბანკო მომსახურებას, კორპორატიულ საბანკო საქმიანობას, სახაზინო ოპერაციებს, ციფრულ ტრანსფორმაციას, მომხმარებელთა გამოცდილებას, ტექნოლოგიებს, ფინანსებს, რისკების მართვასა და მხარდამჭერ ფუნქციებს.

დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პასუხისმგებლობას წარმოადგენს ორგანიზაციაში ძლიერი რისკ-კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება. საბჭო უზრუნველყოფს, რომ რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და მართვა ხორციელდებოდეს დამტკიცებული რისკის აპეტიტის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკრედიტო რისკს, საბაზრო რისკს, ლიკვიდობის რისკს, საოპერაციო რისკს, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკს, კიბერუსაფრთხოების რისკსა და შესაბამისობის რისკს. ასევე, დირექტორთა საბჭო ზედამხედველობს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კონტროლის მექანიზმების, სანქციებთან შესაბამისობის პროცესების, თაღლითობის პრევენციის ღონისძიებებისა და მომხმარებელთა დაცვის ჩარჩოების ეფექტიანობას.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია შიდა კონტროლის მყარი სისტემის შენარჩუნებაზე და უზრუნველყოფს, რომ ბანკს გააჩნდეს შესაბამისი საოპერაციო შესაძლებლობები, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები სტრატეგიული მიზნების მხარდასაჭერად. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საოპერაციო მდგრადობას, ციფრულ ინოვაციებს, პროცესების ავტომატიზაციასა და პროდუქტებისა და მომსახურებების უწყვეტ გაუმჯობესებას მომხმარებელთა ცვალებადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. დირექტორთა საბჭო რეგულარულად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებს ფინანსური შედეგების, სტრატეგიული ინიციატივების, ძირითადი რისკების, მარეგულირებელი ცვლილებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნესსაკითხების შესახებ. გამჭვირვალე ანგარიშგებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით, დირექტორთა საბჭო ხელს უწყობს ორგანიზაციაში ეფექტიან ზედამხედველობასა და კორპორაციული მართვის მაღალ სტანდარტებს.

მომავლის პერსპექტივით, დირექტორთა საბჭო განაგრძობს ფოკუსირებას ბანკის კონკურენტული პოზიციის გაძლიერებაზე, ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარებაზე, საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე, აქტივების მაღალი ხარისხის შენარჩუნებასა და მდგრადი ზრდის უზრუნველყოფაზე, ამავდროულად კორპორაციული მართვის, რისკების მართვისა და მომხმარებელთა მომსახურების უმაღლესი სტანდარტების შენარჩუნებით.





კაცხის სვეტი – ჭიათურა

სს „იშბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება
დასრულებული წლის
31 დეკემბერი 2025

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შესავალი ... 10
2 ბანკის საოპერაციო გარემო ... 10
3 მომზადების საფუძველი ... 11
4 მატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია ... 12
5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას ... 19
6 ახალი ან გადახედილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება ... 20
7 ახალი სააღრიცხვო განცხადებები ... 21
8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ... 22
9 სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში ... 23
10 მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი ... 24
11 საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ... 36
12 ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები ... 36
13 ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით ... 39
14 სხვა აქტივები და ვალდებულებები ... 40
15 ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ... 41
16 ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ ... 41
17 სხვა ნასესხები სახსრები ... 41
18 სუბორდინირებული სესხი ... 42
19 კაპიტალი ... 42
20 წმინდა საპროცენტო შემოსავალი ... 43
21 წმინდა საკომისიო შემოსავალი ... 43
22 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ... 43
23 პერსონალის ხარჯები ... 44
24 სხვა ხარჯები ... 44
25 დაბეგვრა ... 45
26 კაპიტალის მართვა (არა-აუდიტირებული) ... 46
27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი ... 47
28 საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები ... 70
29 პირობითი ვალდებულებები ... 71
30 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ... 72
31 სამართლიანი ღირებულების შეფასება ... 75
32 საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები ... 75

შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა, სართული 5
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი , N4, (ნაკვ.66/4)
თბილისი, საქართველო 0105
ს/კ 404437695
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „იშბანკი საქართველოს“ აქციონერს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „იშბანკი საქართველოს“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესს-ის ეთიკის კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს, ასევე იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხი

ბანკის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორების მიერ, რომლებმაც გამოთქვეს არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე 2024 წლის 4 ივლისს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს და ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ.

KPMG Georgia”, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას, როდესაც ის ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, სხვა ინფორმაცია:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ბანკის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

– ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ვეცნობით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ბანკის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნიკოლოზ ჭოჭუა

შპს "KPMG Georgia"
31 მარტი 2026 წელი

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	158,048	47,606	77,287
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	9	49,327	40,896	35,988
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	10	326,058	323,601	270,487
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	11	-	2,976	11,538
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	12	80,162	53,238	58,330
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით	13	8,866	9,823	8,134
მოგების გადასახადის აქტივი		369	3,823	74
სხვა აქტივები	14	2,523	2,844	2,848
სულ აქტივები		**625,353**	**484,807**	**464,686**
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15	111,508	138,444	109,832
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	16	275,536	120,318	173,122
სხვა ნასესხები სახსრები	17	56,866	70,186	39,233
სუბორდინირებული სესხი	18	13,479	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	25	664	670	641
სხვა ვალდებულებები	14	6,585	8,808	7,800
სულ ვალდებულებები		**464,638**	**338,426**	**330,628**
კაპიტალი	19			
სააქციო კაპიტალი		69,162	69,162	69,162
გაუნაწილებელი მოგება		91,553	77,219	64,896
სულ კაპიტალი		**160,715**	**146,381**	**134,058**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**625,353**	**484,807**	**464,686**

სს „იშბანკი საქართველო“
2025 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2025	2024	2023
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი		40.830	38,265	36,917
საპროცენტო ხარჯი		(16,332)	(15,839)	(11,595)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	20	**24,498**	**22,426**	**25,322**
საკომისიო შემოსავალი		3.318	3,313	3,326
საკომისიო ხარჯი		(450)	(608)	(563)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	21	**2,868**	**2,705**	**2,763**
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსულობა, შემცირებული ზარალით		1.859	978	3,270
საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა		(406)	492	(304)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა		**1,453**	**1,470**	**2,966**
სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასვლიდან მიღებული ზარალი		-	-	(87)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	22	(851)	(2)	(293)
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდეგ		**27,968**	**26,599**	**30,671**
პერსონალის ხარჯები	23	(6,325)	(6,486)	(5,469)
სხვა შემოსავალი		1.232	3	60
სხვა ხარჯები	24	(4,837)	(4,970)	(4,417)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**18,038**	**15,146**	**20,845**
მოგების გადასახადის ხარჯი	25	(3,704)	(2,823)	(4,221)
წლის მოგება		**14,334**	**12,323**	**16,624**
სხვა სრული შემოსავალი				
ელემენტები, რომლებიც არის ან შეიძლება შემდგომ იყოს რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში				
სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების მოძრაობა		-	-	87
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**-**	**-**	**87**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**14,334**	**12,323**	**16,711**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 მარტს, შემდეგი პირების მიერ:

ონურ ქუთუქ
აღმასრულებელი დირექტორი

უჩა სარალიძე
ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები, რომლებიც განთავსებულია 10-75 გვერდებზე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

	სააქციო კაპიტალი	სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**69,162**	**(87)**	**48,272**	**117,347**
წლის მოგება	-	-	16,624	16,624
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	87	-	87
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	87	16,624	16,711
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**69,162**	**-**	**64,896**	**134,058**
წლის მოგება	-	-	12,323	12,323
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	12,323	12,323
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**69,162**	**-**	**77,219**	**146,381**
წლის მოგება	-	-	14,334	**14,334**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**-**	**-**	**14,334**	**14,334**
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	**69,162**	**-**	**91,553**	**160,715**

	შენიშვნები	2025	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან				
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		18,038	15,146	20,845
კორექტირებები:				
ცვეთა და ამორტიზაცია	24	1,194	1,281	1,107
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	20	(40,830)	(38,265)	(36,917)
საპროცენტო ხარჯი	20	16,332	15,839	11,595
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	20	851	2	293
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი	13	94	-	24
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა	13	-	144	-
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)		406	(492)	333
სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასვლიდან მიღებული ზარალი		-	-	87
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**(3,915)**	**(6,345)**	**(2,633)**
საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვების (ზრდა)/შემცირება		(8,007)	(3,886)	3,933
მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და მოთხოვნების ფაქტორინგის ზრდა		(244)	(50,662)	(4)
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ობლიგაციების (ზრდა)/შემცირება		(26,970)	5,122	(21,193)
სხვა აქტივების შემცირება/(ზრდა)		321	8	(126)
საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(26,881)	27,269	23,449
მომხმარებლების მიმართ ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		152,967	(54,750)	24,670
სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,304)	1,275	793
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან/(საქმიანობაში გამოყენებული), პროცენტის და გადასახადების გადახდამდე		**85,967**	**(81,969)**	**28,889**
მიღებული პროცენტი		40,476	38,077	36,484
გადახდილი პროცენტი		(15,121)	(14,679)	(10,784)
გადახდილი მოგების გადასახადი		(256)	(6,543)	(4,884)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაში გამოყენებული)		**111,066**	**(65,114)**	**49,705**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან				
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვები		-	(7,549)	(12,291)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული ფულადი სახსრები		2,989	16,103	3,263
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	13	(331)	(2,990)	(2,229)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი ნაკადები		**2,658**	**5,564**	**(11,257)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან				
სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული ფულადი სახსრები	17	-	47,201	-
სუბორდინირებული სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	18	13,479	-	-
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	17	(18,781)	(16,751)	(18,492)
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის დაფარვა	14	(606)	(568)	(527)
საფინანსო (საქმიანობაში გამოყენებული)/საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		**(5,908)**	**29,882**	**(19,019**
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**107,816**	**(29,668)**	**19,429**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		2,813	(13)	73
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(187)	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	47,606	77,287	57,785
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**8**	**158,048**	**47,606**	**77,287**

1 შესავალი

სს „იშბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2015 წლის 29 ივნისს. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2015 წლის 1 აგვისტოს მინიჭებული ლიცენზიის (№ 368) შესაბამისად. ბანკი დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი არის 404496611.

რეორგანიზაციამდე (2015 წლის 1 აგვისტო) ბანკი წარმოადგენდა სს „იშბანკ თურქეთის“ ბათუმის ფილიალს (შემდგომში „ფილიალი“), რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დარეგისტრირებულია (ლიცენზია №: 908) როგორც თურქეთში 1924 წელს დაფუძნებული უცხოური ბანკის, „Türkiye İş Bankası Anonim Şirketi-ის“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“ ან „აქციონერი“) ფილიალი.

ძირითადი საქმიანობა. ბანკის ძირითადი საქმიანობა მოიცავს შემდეგს: საზოგადოებისგან დეპოზიტების მიღება და კრედიტის გაცემა, ფულადი გადარიცხვები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ვალუტების გაცვლა და სხვა საბანკო მომსახურების მიწოდება კომერციული და საცალო კლიენტებისთვის. ბანკის მთავარი ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მას აქვს ერთი ფილიალი თბილისში (2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2 ფილიალი თბილისსა და ბათუმში).

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია თბილისი, საქართველო, ილია ჭავჭავაძის გამზირი 72ა.

2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის 100%-იანი აქციონერი იყო სს იშბანკ თურქეთი.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს იშბანკ თურქეთის აქციების 38.66%-ს ფლობს T. İş Bankası A.Ş. დამატებითი საპენსიო ფონდი (შემდგომში „ფონდი“), 28.09%-ს ფლობს რესპუბლიკური სახალხო პარტია - CHP (ათათურქის აქციები) და 33.25% არის თავისუფალ მიმოქცევაში (2024 წლის 31 დეკემბერი: 38.59%, 28.09% და 33.32%, შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბერი: 38.2%, 28.09%, 33.71%, შესაბამისად).

2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ბანკს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 30-ე შენიშვნაში.

2 ბანკის საოპერაციო გარემო

ბანკის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ბანკზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თავისებურებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

უკანასკნელ მოვლენებს, მათ შორის ინფლაციას, მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

კლიმატის ცვლილება. ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და ზრუნვა კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ბანკმა მიიღო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც აღწერს ბანკის პასუხისმგებლობას მდგრადი დაფინანსების მიმართ, როგორც პასუხისმგებლიანი კორპორაციული მართვის განუყოფელ ნაწილს. ბანკმა განიხილა კლიმატთან დაკავშირებული რისკების ზემოქმედება და არ გამუვლენია რისკი, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ბანკის ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის შეფასებით, სასესხო პორტფელის ამჟამინდელი შემადგენლობა და ვადიანობის სტრუქტურა აჩვენებს, რომ პორტფელის უდიდესი ნაწილი ნაკლებად მოწყვლადია კლიმატის რისკის მიმართ. ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მოახდენს რეაგირებას ბანკის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო მითითებას, თუ და როდესაც ისინი გამოქვეყნდება იმ ბაზრებზე, სადაც ბანკი ოპერირებს.

3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) შესაბამისად, „პირვანდელი ღირებულების“ პრინციპის მიხედვით, როგორც მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით მათი სამართლიანი ღირებულების მიხედვით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, მიმოხილულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული, ყველა წარმოდგენილ პერიოდთან მიმართებაში.

ბანკი წარადგენს შესადარის ინფორმაციას მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა თანხისთვის, გასული ორი პერიოდისთვის - 2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ასეთი განმარტებითი ინფორმაცია უფრო სასარგებლო და ინფორმაციულია ბანკის დაინტერესებული მხარეებისთვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“ ან „₾“), რომელიც წარმოადგენს ბანკის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში (“ლარი”), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში და კონვერტირდება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით. საანგარიშგებო თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თავიდან გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება ამავე თარიღისთვის არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ოპერაციების გადაყვანის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც სავალუტო შემოსულობა, შემცირებული ზარალით – გადაყვანის სხვაობები. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. გადაფასებისას წარმოშობილი უცხოური ვალუტის კონვერტაციით განპირობებული სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სავალუტო კურსები 2025 წლის 31 დეკემბრის, 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი / ₾	2.6951	2.8068	2.6894
1 ევრო / ₾	3.1737	2.9306	2.9753
1 თურქული ლირა / ₾	0.0628	0.0795	0.0910
1 გაერთიანებული სამეფოს ფუნტი / ₾	3.6446	3.5349	3.4228

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წარადგენს ლიკვიდურობის მიხედვით, ბანკის განზრახვისა და აღქმული შესაძლებლობის საფუძველზე, შეძლოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მუხლების აქტივების/ვალდებულებების უმეტესი ნაწილის დაბრუნება/ანგარიშსწორება. დაბრუნების ან ანგარიშსწორების ანალიზი საანგარიშგებო თარიღიდან (მოკლევადიანი) 12 თვის განმავლობაში და დამატებით 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო თარიღიდან (გრძელვადიანი) წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

4 მატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რაც კორექტირდება გარიგების ხარჯების გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ბანკი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახორციელებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ბანკის ბიზნეს მოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ბანკი არ ახდენს თავისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გარდა ისეთი გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ბანკი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არ ხდება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. ბანკი პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ასევე სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისადმი დაქვემდებარებისთვის. ბანკი აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ბანკი იყენებს გაუფასურების სამი სტადიის მოდელს. მიდგომა შეჯამებულია შემდეგნაირად:

- 1-ელი სტადია: ბანკი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში გამოიყენება დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეესაბამება დარჩენილ დაფარვის ვადას.
- მე-2 სტადია: ბანკი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლას არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობას. რეზერვი საკრედიტო ზარალებისთვის ამ სტადიაზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1-ელი სტადიის 12 თვე. მე-2 სტადიაზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ სტადიისთვის) არ ითვლებიან საკრედიტო რისკით გაუფასურებულად.
- მე-3 სტადია: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 სტადიაზე. ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რაც ასახავს 100%-იანი დეფოლტის ალბათობას (PD) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით.

ფინანსური ინსტრუმენტები ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნის ფარგლებში, კლასიფიცირებულია ზემოთ ჩამოთვლილი სამი სტადიიდან ერთერთზე.

ძირითადი განსჯა და შეფასებები, რომლებიც გამოყენებულია ფასს 9-ის მიხედვით, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა და მოდიფიცირება. ბანკი მაშინ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე, ან როდესაც იგი გადასცემს ფინანსურ აქტივს ისეთ გარიგებაში, რომლის პირობებითაც ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაიცემა ან რომელშიც ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

4 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ბანკი აფასებს არის თუ არა არსებითი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება არსებითი, რა დროსაც იგი ითვალისწინებს გარკვეულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ფაქტორებს ერთად. ხარისხობრივი კრიტერიუმები შეიძლება მოიცავდეს საკრედიტო ხაზის მნიშვნელოვან ცვლილებას, კონტრაჰენტის ცვლილებას, სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას საბაზრო გარემოს ცვლილების გამო.

რაოდენობრივი შეფასებისთვის, ბანკი ადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან, არის თუ არა აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავებული სახელშეკრულებო მოდიფიცირების შედეგად. უნდა შეფასდეს, არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილება არსებითი (მნიშვნელობა განისაზღვრება, როგორც 10% ცვლილება). თუ ტესტის შედეგი 10%-იან ზღვარს აღემატება, სესხს აღიარება უნდა შეუწყდეს, ხოლო თუ ტესტის შემდეგ შედეგი 10%-ის ქვემოთ ან მისი ტოლია, ფინანსური აქტივი შეიძლება შეფასდეს, როგორც მოდიფიცირებული.

თუ ზემოთ აღნიშნული ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას.

ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ნაწილობრივ, ან მთლიანად ჩამოიწერება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი შეწყვეტს მათი ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილ ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ განიხილება, როგორც რეზერვის დამატება, რომელიც, შემდეგ, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით. ყოველგვარი შემდგომი ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. ბანკის ჩამოწერის მეთოდოლოგიის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 27.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება არაფინანსური აქტივები, გარდა გადავადებული გადასახადებისა, გაუფასურებაზე ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს მის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გაყიდვების დანახარჯებით და მის გამოყენების ღირებულებას შორის. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც არ ახდენს ისეთი ფულადი ნაკადების გენერირებას, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებისგან მიღებული ფულადი ნაკადებისგან, განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალი აღიარდება, როდესაც აქტივის ან მისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ხოლო მისი აღდგენა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არის მუხლები, რომლებიც იოლად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობად და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკნოტებსა და მონეტებს სალაროში, საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) მისაღებ თანხებს სავალდებულო რეზერვების გამოკლებით და სხვა მაღალი ლიკვიდობის მქონე ფინანსურ აქტივებს სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში. ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად.

4 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხები. მომხმარებლებზე გაცემული სესხები აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი ავანსად გასცემს ფულს მომხმარებლისგან მისაღები სესხის შესაძენად ან მისი წარმოქმნისათვის. გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების ტექნიკის შესახებ ინფორმაცია მოცემული 27-ე შენიშვნაში.

მოთხოვნების ფაქტორინგი. მომხმარებლებზე გაცემული სესხების ნაწილის სახით წარმოდგენილი მოთხოვნების ფაქტორინგი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. ისინი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული დამატებითი პირდაპირი გარიგების ხარჯები და შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს სახელმწიფო ობლიგაციებს. ბანკი საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აკლასიფიცირებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდებს. სავალო ფასიანი ქაღალდები აისახება სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ისინი ინახება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებისთვის და გასაყიდად, სადაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ამ აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება წლის მოგება ან ზარალში. ყველა სხვა ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. როდესაც ფასიან ქაღალდებს აღიარება უწყდება, სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან მოგება ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები. ბანკი ობლიგაციებს აკლასიფიცირებს ამორტიზირებული ღირებულებით, რადგან ისინი ფლობილია იმ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს. ამ აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, ყოველდღიური მომსახურების ხარჯების გამოკლებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და ღირებულების გაუფასურებით. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადების ცვლილებები აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდოლოგიის შეცვლით, საჭიროებისამებრ, და განიხილება, როგორც ცვლილებები შეფასებებში. აქტივები გამოყენების უფლებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად - იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკა ქვემოთ. „აქტივები გამოყენების უფლებით“ ცვეთა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის ვადის განმავლობაში.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით ინდივიდუალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში:

ცვეთის დარიცხვა იწყება შეძენის თარიღიდან, ან საწარმოს შიგნით შექმნილ აქტივებთან მიმართებაში, აქტივის დასრულების და გამოსაყენებლად მზადყოფნის მომენტიდან. სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

საიჯარო კეთილმოწყობა	10 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი;
ავეჯი და მოწყობილობები	5 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი;
აქტივები გამოყენების უფლებით	იჯარის ვადა

აქტივი უნდა ამოღებულ იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან გასვლისას, ან როდესაც ის ამოღებულია სარგებლობიდან და მოსალოდნელი არ არის მისი გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად, შედის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივს აღიარება უწყდება.

4 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები. შეძენილი არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისა და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე.

ამორტიზაცია დაირიცხება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების ფარგლები 15 წლამდეა.

აქტივები გამოყენების უფლებით აქტივები. გამოყენების უფლებით წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და „აქტივები გამოყენების უფლებით“ ნაწილის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ბანკი აქტივს გამოყენების უფლებით აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივები გამოყენების უფლებით ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ხელახალი შეფასებისთვის. გამოყენების უფლებით აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების ოდენობას, თავდაპირველად გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს და დაწყების თარიღამდე ან აღნიშნული თარიღისთვის განხორციელებულ საიჯარო გადახდებს (გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები). შემდგომ აქტივს გამოყენების უფლებით ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით საიჯარო ვადის განმავლობაში. აქტივები გამოყენების უფლებით ასევე ექვემდებარება გაუფასურებას.

დასაკუთრებული აქტივები. ბანკის პოლიტიკას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, არის თუ არა დასაკუთრებული აქტივი საუკეთესოდ გამოყენებული მისი შიდა ოპერაციებისთვის, თუ ის უნდა გაიყიდოს. შიდა ოპერაციებისთვის გამოსადეგად განსაზღვრული აქტივები გადაეცემა მათთვის შესაბამის აქტივების კატეგორიას, მათი დასაკუთრების ღირებულებას, ან თავდაპირველი უზრუნველყოფილი აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. აქტივები, რომლებისთვისაც გაყიდვა უკეთეს ვარიანტად ითვლება, გადადის გასაყიდად ფლობილ აქტივებში მათი სამართლიანი ღირებულებით (ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და არაფინანსური აქტივების შემთხვევაში, დეფოლტირებული სესხის საბალანსო ღირებულებით დასაკუთრების თარიღისთვის, ბანკის პოლიტიკის შესაბამისად.

ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ. ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ არის არაწარმოებული ვალდებულებები ფიზიკური ან კორპორაციული კლიენტების მიმართ და ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

სხვა წასესხები სახსრები. გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება როგორც ვალდებულებები, როდესაც სახელშეკრულებო შეთანხმების არსი წარმოქმნის ბანკის ვალდებულებას, მფლობელს ან გადასცეს ფულადი სახსრები, ან სხვა ფინანსური აქტივი, ან დააკმაყოფილოს ვალდებულება, გარდა ფულადი სახსრების, ან სხვა ფინანსური აქტივის ფიქსირებული ოდენობის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ ოდენობაში გაცვლის გზით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, ასევე ამორტიზაციის პროცესში. თუ ბანკი შეისყიდის საკუთარ ვალს, ის ამოღებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საიჯარო ვალდებულებები. საიჯარო ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „სხვა ვალდებულებების“ ნაწილის სახით არის წარმოდგენილი. იჯარის დაწყების თარიღისთვის, ბანკი აღიარებს იჯარის ვადის მანძილზე გადასახდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ საიჯარო ვალდებულებებს. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს გამოკლებული ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნები, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, და ასევე, ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი ოდენობები.

4 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, რომელიც გონივრულად სარწმუნოა, რომ გამოყენებული იქნება ბანკის მიერ და ჯარიმების გადახდას იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის პირობები ასახავს ბანკის მიერ შეწყვეტის ოფციონის გამოყენებას.

საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას, ბანკი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ არის ადვილად განსაზღვრადი. საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაფასებულია თუ არსებობს მოდიფიცირება, საიჯარო ვადის ცვლილება, საიჯარო გადასახდელების ცვლილება ან ცვლილება საიჯარო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასებაში.

ფინანსური გარანტიები, შესრულების გარანტიები, აკრედიტივები და აუთვისებელი სასესხო ვალდებულებები. ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, შესრულების გარანტიებს, აკრედიტივებს და სასესხო ვალდებულებებს.

ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანი ღირებულებით, და წარმოადგენს მიღებულ პრემიას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბანკის ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება შემდეგ ორ მაჩვენებელს შორის უდიდესით: თავდაპირველად აღიარებული თანხა, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით, რაც აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

შესრულების გარანტიები არის ხელშეკრულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპენსაციას სხვა მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

აუთვისებელი სასესხო ვალდებულებები და აკრედიტივები არის ვალდებულებები, რომელთა მიხედვითაც ბანკი ვალდებულია, ვალდებულების ხანგრძლივობის მანძილზე მომხმარებლისთვის გასცეს სესხი წინასწარ განსაზღვრული პირობებით. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების მსგავსად, ეს ხელშეკრულებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნების ფარგლებშია.

საკუთარი კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი ჩვეულებრივი აქციების გამოშვებაზე აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

დივიდენდები. ბანკის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მოქმედ წესებსა და რეგულაციებს.ჩვეულებრივ აქციებთან მიმართებაში დივიდენდები აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნება, მათი გამოცხადების პერიოდში. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან საანგარიშგებო თარიღისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოცხადებულია საანგარიშგებო თარიღამდე ან ამ თარიღის დადგომისას. დივიდენდების ასახვა ანგარიშგებაში ხდება იმ შემთხვევაში თუ, ის გამოცხადებულია საანგარიშგებო თარიღამდე, ან გამოცხადებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებისა.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება. შემოსავალი აღიარდება იმდენად, რამდენადაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ბანკში და შემოსავლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელი იქნება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

ფასს 9-ის თანახმად, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი პროცენტიანი ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასს 9-ის მიხედვით, ასევე აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი ასევე გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ამორტიზებული ღირებულებით ფლობილი ყველა ფინანსური ვალდებულებისთვის.

4 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალ ფულად შემოსულობებს ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, ან შესაბამისობის შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (და, შესაბამისად, ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება) გამოითვლება გარიგების ხარჯების და ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის გათვალისწინებით ფინანსური აქტივების შეძენისას, აგრეთვე, საფასური და ხარჯები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება ასევე ითვალისწინებს პოტენციურად განსხვავებული საპროცენტო განაკვეთების გავლენას, რომლებიც შეიძლება დაირიცხოს ფინანსური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის სხვადასხვა სტადიაზე, და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სხვა მახასიათებლებს (მათ შორის, გადახდილ ავანსებს, ჯარიმას და საკომისიოებს).

თუ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების ფულადი ნაკადების მოლოდინები გადაიხედება საკრედიტო რისკის გარდა სხვა მიზეზთა გამო, მაშინ სამომავლო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილებები დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირებით. სხვაობები წინა საბალანსო ღირებულებიდან აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების დადებითი ან უარყოფითი კორექტირება საბალანსო უწყისში, საპროცენტო შემოსავლის /ხარჯის შესაბამისი ზრდით ან შემცირებით, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

როდესაც ფინანსური აქტივი ხდება საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ბანკი საპროცენტო შემოსავალს ითვლის ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გაჯანსაღდება და ის აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ბანკი აბრუნებს საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშებას მთლიან საფუძველზე.

სესხის წარმოქმნის საფასური, რომელიც ითვლება სესხის მთლიანი მომგებიანობის განუყოფელ ნაწილად, დაკავშირებულ გარიგების ხარჯებთან ერთად, გადავადდება და ამორტიზდება საპროცენტო შემოსავალში ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საკომისიო შემოსავალი. ბანკი გამოიმუშავებს საკომისიო შემოსავალს ფინანსური მომსახურების მრავალფეროვანი ასორტიმენტიდან, რომელსაც ის სთავაზობს თავის მომხმარებლებს.

საკომისიო შემოსავალი აღიარებულია ოდენობით, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომელზეც, ბანკი მოელის, რომ უფლება ექნება მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. ბანკი საკომისიო შემოსავლის ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს გამოშვებული გარანტიებიდან, ანგარიშსწორებიდან და სხვა ოპერაციებიდან.

საკომისიო შემოსავალი გაცემული გარანტიებიდან - გარანტიებზე გამომუშავებული საზღაური მოიცავს ფიქსირებულ ყოველთვიურ ან კვარტალურ საკომისიო შემოსავალს. საკომისიო შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევის თანადროულად, საგარანტიო ხელშეკრულების ვადის მანძილზე.

ანგარიშსწორებისა და სხვა ოპერაციებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი - საკომისიო შემოსავალი აღიარებულია დროის იმ მომენტში, როდესაც ბანკი ასრულებს თავის შესასრულებელ ვალდებულებას, როგორც წესი, ძირითადი ოპერაციის შესრულებისას. მიღებული ან მისაღები საზღაურის და საკომისიოს ოდენობა წარმოადგენს გარიგების ფასს იმ მომსახურებებისთვის, რომლებიც იდენტიფიცირებულია, როგორც ცალკეული შესასრულებელი ვალდებულებები. მსგავსი შემოსავალი მოიცავს მომხმარებლის სახელით უცხოური ვალუტის გაყიდვის ან შეძენის საკომისიოებს, გადახდის ოპერაციების დამუშავების საკომისიოებს, სავაჭრო საკომისიოებს, ანგარიშის გახსნისა და ტექნიკური მომსახურების საფასურს, ნაღდი ანგარიშსწორების, ამოღების ან ფულადი სახსრების გაცემის საფასურს და ა.შ.

4 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

საკრედიტო საშუალებები. ბანკი იყენებს უზრუნველყოფას ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკების შესამცირებლად. უზრუნველყოფა სხვადასხვა ფორმით არსებობს, როგორიცაა: ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, აკრედიტივები / გარანტიები, უძრავი ქონება, მოთხოვნები. უზრუნველყოფა, თუ ის ხელახლა დასაკუთრებული არ არის, არ აღირიცხება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. იმ ფულადი ნაკადების შემოდინება, რომლებიც განპირობებულია საკრედიტო რეიტინგის ამაღლებით და რომელთა განცალკევებით აღიარება, ფასს აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით, მოთხოვნილი არ არის და რომლებიც სავალო ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილად ითვლება, რაც თავის მხრივ ექვემდებარება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, შეტანილია აღნიშნული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში. ამის საფუძველზე, უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას გავლენა აქვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაზე. უზრუნველყოფა ზოგადად ფასდება მინიმალური ღირებულებით დაწყებისთანავე და ხელახლა ფასდება კვარტალურად.

პირობითი ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ შენიშვნებში განმარტებულია, თუ ანგარიშსწორებისას რაიმე სახის გადინების შესაძლებლობა ნაკლებსავარაუდოა. თუ გაჩნდება ალბათობა იმისა, რომ საჭირო იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებლის გადინება მუხლისთვის რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო პირობითი ვალდებულების სახით, ანარიცხი აღიარდება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას ალბათობაში. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა არსებობს.

დაბეგვრა. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ანგარიშგების ბოლოს მოქმედი ან არსებითად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის აღიარდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია ოპერაციებთან, რომლებიც ასევე აღიარდება, იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

გადავადებული მოგების გადასახადი მოწოდებულია საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანის და დროებითი სხვაობების ბალანსის ვალდებულების გამოყენებით, რომლებიც წარმოიქმნება ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. თავდაპირველი აღიარების განთავისუფლების შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების დროს დროებით სხვაობებზე საწარმოთა გაერთიანების გარდა სხვა შემთხვევებში, თუ ოპერაცია, თავდაპირველი აღრიცხვისას, არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები არ აღირიცხება დროებით სხვაობებზე გუდვილის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ გუდვილისთვის, რომელიც არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის. გადავადებული საგადასახადო ნაშთები ფასდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც, მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ დრომდე, როდესაც დროებითი სხვაობები შეიცვლება, ან გამოყენებული იქნება საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანა.

საქართველოს ასევე გააჩნია სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც ფასდება ბანკის საქმიანობისთვის. ეს გადასახადები შესულია, როგორც სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტი.

5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებულ თანხაზე ან ამონაგებზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და თანმხლებ განმარტებით ინფორმაციაზე, ასევე პირობითი ვალდებულებების განმარტებებზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების შესახებ განუსაზღვრელობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგები, რომლებიც მოითხოვენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას, რომლებზეც, მომავალ პერიოდებში, გავლენას ადგილი ექნება. ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობამ საანგარიშგებო თარიღისთვის განახორციელა შემდეგი განსჯა და დაშვებები შეფასების განუსაზღვრელობის სამომავლო თუ სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებით, რომლებსაც ახასიათებთ მნიშვნელოვანი რისკი, გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ არის განსაზღვრული პირობა ფასს-9 ის მიხედვით, და განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, მათი გამოცდილებისა და განსჯის საფუძველზე. იმის შეფასებისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი თუ არა, ბანკმა გამოავლინა თვისობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა ფაქტორების ჰოლისტიკურ ანალიზზე, მათ შორის კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ან მსესხებლისთვის, აგრეთვე რომელიც გამოყენებადია გარკვეული ქვე-პორტფელებისთვის. ბანკმა ჩამოაყალიბა ზოგადი გამომწვევი მოვლენები ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი და კოლექტიურად შეფასებული სესხებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება

ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	**(96)**	**(1,503)**	**(398)**	**(467)**	**(2,464)**	**(228)**	**(2,968)**	**(5,660)**
საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 31 დეკემბერს	**178**	**2,224**	**143**	**153**	**2,698**	**166**	**5,270**	**8,134**
2024 წლის 31 დეკემბერს	**154**	**2,006**	**103**	**91**	**2,354**	**2,727**	**4,742**	**9,823**
2025 წლის 31 დეკემბერს	**138**	**1,983**	**86**	**91**	**2,298**	**2,516**	**4,052**	**8,866**

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

14 სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივები და ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა აქტივები			
სხვა ფინანსური აქტივები			
საანგარიშსწორებო ოპერაციები	149	543	511
მოთხოვნები პრობლემური მსესხებლების მიმართ	334	341	429
დარიცხული საკომისიო მოთხოვნა გარანტიებზე	198	168	273
სულ ფინანსური აქტივები	**681**	**1,052**	**1,213**
სხვა არაფინანსური აქტივები			
დასაკუთრებული აქტივები	1,349	1,349	1,349
წინასწარ გადახდილი ხარჯები	493	440	284
სხვა	-	3	2
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	**1,842**	**1,792**	**1,635**
სულ სხვა აქტივები	**2,523**	**2,844**	**2,848**
სხვა ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები			
საანგარიშსწორებო ოპერაციები	1,423	170	200
საიჯარო ვალდებულებები	3,697	4,464	4,711
როილატის ვალდებულება	-	2,141	1,419
სხვა დარიცხული ვალდებულებები	413	808	435
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	**5,533**	**7,583**	**6,765**
სხვა არაფინანსური ვალდებულებები			
ანარიცხები ვალდებულებებისა და დარიცხვებისთვის	272	418	438
დარიცხული დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	780	807	597
სულ სხვა არაფინანსური ვალდებულებები	**1,052**	**1,225**	**1,035**
სულ სხვა ვალდებულებები	**6,585**	**8,808**	**7,800**

ქვემოთ წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობა წლების განმავლობაში:

	2025	2024	2023
1 იანვარს	4,464	4,711	5,275
პროცენტის დარიცხვა	142	157	157
უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია	(167)	197	(37)
გადახდები	(742)	(725)	(684)
მოდიფიცირება	-	124	-
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრისთვის	**3,697**	**4,464**	**4,711**

15 ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვოსტრო ანგარიშები	2,035	3,128	8,630
ვადიანი ანაბრები	109,473	107,280	101,202
სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი სესხი	-	28,036	-
სულ ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**111,508**	**138,444**	**109,832**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს აქვს განთავსება ორი ბანკიდან (2024 წლის 31 დეკემბერი: სამი ბანკი; 2023 წლის 31 დეკემბერი: ოთხი ბანკი) საბალანსო ღირებულებით, რომელიც ინდივიდუალურად აღემატება კაპიტალის 10%-ს. ამ ნაშთების მთლიანი ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 85,903 ათასი ლარი (2024 წლის 31 დეკემბერი: 114,008 ათასი ლარი; 2023 წლის 31 დეკემბერი: 92,746 ათასი ლარი).

სებ-ისგან მიღებული სესხები 2024 წელს წარმოადგენდა მოკლევადიან, რეფინანსირებისთვის განკუთვნილ, ლარში არსებულ სესხებს, რომლებიც ბანკის ლიკვიდურობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად გამოიყენება.

16 ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ

ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაბრები			
საცალო	2,218	3,660	6,671
მცირე და საშუალო ზომის საწარმოები	25,164	13,864	14,187
კორპორაციული	58,376	54,963	71,179
სულ მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაბრები	**85,758**	**72,487**	**92,037**
ვადიანი ანაბრები			
საცალო	18,717	15,020	23,197
მცირე და საშუალო ზომის საწარმოები	4,285	4,049	4,049
კორპორაციული	166,776	28,762	53,839
სულ ვადიანი ანაბრები	**189,778**	**47,831**	**81,085**
სულ ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	**275,536**	**120,318**	**173,122**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს მომხმარებლების დეპოზიტების ნაშთები 30,882 ათასი ლარის ოდენობით (2024 წლის 31 დეკემბერი: 21,135 ათასი ლარი; 2023 წლის 31 დეკემბერი: 13,474 ათასი ლარი), რომელიც წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს განთავსება ერთი მომხმარებლისგან (2024 წლის 31 დეკემბერი: ორი; 2023: ორი) საბალანსო ღირებულებით, რომელიც ინდივიდუალურად აღემატება კაპიტალის 10%-ს. ამ ნაშთების მთლიანი ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 158,031 ათასი ლარი (2024 წლის 31 დეკემბერი: 15,242 ათასი ლარი; 2023 წლის 31 დეკემბერი: 43,979 ათასი ლარი).

17 სხვა ნასესხები სახსრები

სხვა ნასესხები სახსრები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან	56,866	70,186	39,233
სულ სხვა ნასესხები სახსრები	**56,866**	**70,186**	**39,233**

17 სხვა ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს ნასესხები სახსრების აქტიური ხელშეკრულებები სამ საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებასთან (‘IFIs’) და საქართველოს ეროვნულ ბანკთან (2024 წლის 31 დეკემბერი: სამი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულება; 2023 წლის 31 დეკემბერი: სამი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულება და საქართველოს ეროვნული ბანკი). სხვა ნასესხები სახსრების ვადიანობის ანალიზისთვის იხილეთ 27-ე შენიშვნა.

საფინანსო საქმიანობების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ვალდებულებებში არის შემდეგი:

	სხვა ნასესხები სახსრები
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**57,050**
გამოსყიდვა	(18,492)
უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია	486
სხვა მოძრაობა	189
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**39,233**
გამოშვებიდან მიღებული შემოსულობა	47,201
გამოსყიდვა	(16,751)
უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია	266
სხვა მოძრაობა	237
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**70,186**
გამოსყიდვა	(18,781)
უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია	5,225
სხვა მოძრაობა	236
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბერს	**56,866**

18 სუბორდინირებული სესხი

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მშობელი კომპანიისგან სუბორდინირებული სესხი	13,479	-	-
სულ სუბორდინირებული სესხი	**13,479**	**-**	**-**

2025 წლის 31 დეკემბერს ბანკმა მშობელი კომპანიისგან მიიღო აშშ დოლარში დენომინირებული სუბორდინირებული სესხი, რომლის დაფარვის ვადა 2035 წლის დეკემბერია. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სესხის გაცემის თარიღის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის საპროცენტო განაკვეთი შეესაბამებოდა მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს.

სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებაში კაპიტალად კონვერტაციის უფლება ჩადებული არ არის.

საფინანსო საქმიანობების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ვალდებულებებში არის შემდეგი:

სუბორდინირებული სესხები

საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**-**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**-**
გამოშვებიდან მიღებული შემოსულობა	13,479
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბერს	**13,479**

19 კაპიტალი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სააქციო კაპიტალი შეადგენდა 69,162 ათას ლარს, რომელიც შედგებოდა 69,162,000 ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთა ნომინალური ღირებულება 1.00 ლარი იყო (2024: 69,162 ათასი ლარი, რომელიც შედგებოდა 69,162,000 ჩვეულებრივი აქციისგან; 2023: 69,162 ათასი ლარი, რომელიც შედგებოდა 69,162,000 ჩვეულებრივი აქციისგან). თითოეული ჩვეულებრივი აქცია აქციონერს ერთი ხმის უფლებას აძლევს.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

19 კაპიტალი (გაგრძელება)

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილების გამოცხადება ბანკის აქციონერს შეუძლია მხოლოდ ბანკის წმინდა მოგებიდან, რომელიც ასახულია ბანკის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბანკი ვალდებულია, ოფიციალურად აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს დივიდენდების გამოცხადების შესახებ, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, შეაჩეროს ან შეზღუდოს დივიდენდების განაწილება, თუ ბანკი დაარღვევს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებს

2025, 2024 და 2023 წლებში დივიდენდები არ ყოფილა გამოცხადებული ან გადახდილი.

20 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:

	2025	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	34,213	29,292	26,682
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	4,886	6,042	6,511
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,720	2,130	3,399
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	11	801	325
სულ საპროცენტო შემოსავალი	**40,830**	**38,265**	**36,917**
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(6,215)	(5,479)	(3,472)
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	(6,014)	(5,686)	(4,567)
სხვა ნასესხები სახსრები	(3,967)	(4,517)	(3,399)
სხვა საპროცენტო ხარჯი			
საიჯარო ვალდებულებები	(136)	(157)	(157)
სულ საპროცენტო ხარჯები	**(16,332)**	**(15,839)**	**(11,595)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**24,498**	**22,426**	**25,322**

21 წმინდა საკომისიო შემოსავალი

წმინდა საკომისიო შემოსავალი მოიცავს:

	2025	2024	2023
საკომისიო შემოსავალი			
საკომისიო გარანტიაზე	3,170	2,944	2,905
საანგარიშსწორებო ოპერაციები	148	369	421
სულ საკომისიო შემოსავალი	**3,318**	**3,313**	**3,326**
საკომისიო ხარჯი			
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(450)	(608)	(563)
სულ საკომისიო ხარჯი	**(450)**	**(608)**	**(563)**
სულ წმინდა საკომისიო შემოსავალი	**2,868**	**2,705**	**2,763**

ბანკი იყენებს პრაქტიკულ ხერხს ფასს 15-ის 121-ე აბზაცის შესაბამისად და შენიშვნაში არ განმარტავს ინფორმაციას დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებებზე, რომელთა საწყისი მოსალოდნელი ხანგრძლივობა ერთი წელი ან ნაკლებია.

22 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია წმინდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვები/(აღდგენები) მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღრიცხულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე 2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

22 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (გაგრძელება)

	2025	2024	2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	187	(108)	227
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	776	183	(269)
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	1	17	91
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	46	(30)	125
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	(13)	(40)	47
ფინანსური გარანტიები	(146)	(20)	72
სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	**851**	**2**	**293**

23 პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები მოიცავს:

	2025	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	5,797	6,115	4,954
საპენსიო შენატანები	68	71	65
სხვა საკომპენსაციო ხარჯები	460	300	450
სულ პერსონალის ხარჯები	**6,325**	**6,486**	**5,469**

2025 წელს ბანკში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 58 (2024: 60; 2023: 54).

24 სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები მოიცავს:

	2025	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	1,194	1,281	1,107
პროფესიული მომსახურება	844	591	381
სხვა მოთხოვნების ჩამოწერა	672	-	-
IT მხარდაჭერა	629	172	-
გამოწერები	341	100	137
გართობის ხარჯები	199	72	96
საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებები	150	533	517
დაზღვევის ხარჯები	108	117	106
მივლინების ხარჯები	82	80	35
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ჩამოწერასთან დაკავშირებული ზარალი	63	144	-
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	39	31	24
როიალტი	31	774	919
კომუნალური ხარჯები	31	50	61
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	20	45	57
ჯარიმის საფასური	20	31	95
რეკლამა და მარკეტინგი	12	-	9
საოფისე მარაგები	9	20	22
დონაცია	5	8	147
შეწყვეტის საფასური	-	280	-
დაბალი ღირებულების და მოკლევადიანი იჯარები	-	115	186
წინასწარ გადახდილი ხარჯების ჩამოწერა	-	-	180
სხვა	388	526	338
სულ სხვა ხარჯები	**4,837**	**4,970**	**4,417**

აუდიტორის ანაზღაურება შედგება ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის კომპანიის აუდიტორისთვის გადასახდელი საფასურისგან. 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ანაზღაურება შეადგენდა 232 ათას ლარს (2024: 231 ათასი ლარი, 2023: 242 ათასი ლარი) (დღგ-ს გარეშე).

25 დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2025	2024	2023
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	**(3,710)**	**(2,794)**	**(4,344)**
გადავადებული საგადასახადო (ხარჯი)/სარგებელი			
მოძრაობა გადავადებულ საგადასახადო აქტივებში და ვალდებულებებში დროებითი სხვაობების წარმოქმნისა და აღდგენის შედეგად	6	(29)	123
გადავადებული საგადასახადო (ხარჯი)/სარგებელი	**-**	**(29)**	**123**
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	**(3,704)**	**(2,823)**	**(4,221)**

2025 წელს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის მოქმედი განაკვეთი იყო 20% (2024: 20%; 2023: 20%).

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	2025	%	2024	%	2023	%
მოგება დაბეგვრამდე	**18,038**		**15,146**		**20,845**	
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	**(3,608)**	**(20)**	**(3,029)**	**(20)**	**(4,169)**	**(20)**
დაუბეგრავი სხვაობები	(96)	1	206	1	(52)	-
მოგების გადასახადის ხარჯი	**(3,704)**	**(19)**	**(2,823)**	**(19)**	**(4,221)**	**(20)**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

მოძრაობა დროებით სხვაობებში 2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში არის შემდეგი:

	ნაშთი 2025 წლის 1 იანვარს	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით	(1,439)	112	(1,327)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(124)	48	(76)
სხვა ვალდებულებები	893	(154)	739
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	**(670)**	**6**	**(664)**

	ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით	(1,526)	87	(1,439)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(58)	(66)	(124)
სხვა ვალდებულებები	943	(50)	893
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	**(641)**	**(29)**	**(670)**

	ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით	(1,342)	(184)	(1,526)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(351)	351	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	(101)	101	-
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	(58)	(58)
სხვა ვალდებულებები	1,030	(87)	943
წმინდა საგადასახადო (ვალდებულებები)/აქტივები	**(764)**	**123**	**(641)**

26 კაპიტალის მართვა (არა-აუდიტირებული)

ბანკის მიზნები კაპიტალის მართვისას არის (i) შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კაპიტალის მოთხოვნები და (ii) დაიცვას ბანკის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ კაპიტალის ადეკვატურობის განაკვეთებთან შესაბამისობის მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება, ანგარიშები, რომლებიც ასახავს მათ გაანგარიშებას, გადაიხედება და ხელი მოეწერება ბანკის აღმასრულებელი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ. კაპიტალის მართვის სხვა მიზნები ფასდება ბიზნესის განვითარებისა და სტრატეგიის შესაბამისად დაინტერესებული მხარეების მოთხოვნით.

ბაზელ *III*

2017 წლის დეკემბერში, სებ-მა ცვლილებები შეიტანა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში“. კაპიტალის განახლებული ჩარჩოს მიხედვით, კაპიტალის მოთხოვნები დაიყო პილარ 1-ის მოთხოვნებად, რომელიც ეხება ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს და პილარ-1-ით და პილარ 2-ით გათვალისწინებულ დამატებით ბუფერებად.

პილარ 1

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი (რომელიც შესული იყო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებში) ცალკე გამოიყო და განისაზღვრა 2.5%-ის ოდენობით.
- კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი ამჟამად განსაზღვრულია 0.75%-ზე.
- სისტემური რისკის ბუფერი სისტემური მნიშვნელობის ბანკებში დაინერგება ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში.

პილარ 2

- სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერმა ჩაანაცვლა უცხოურ ვალუტებში გამოხატული დაუფარავი სავალუტო სესხების კონსერვატიული შეწონვა
- დაინერგება რისკის კონცენტრაციის ბუფერი სექტორული თუ ერთი მსესხებლის რისკებისთვის.
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი დაინერგება ბანკის მიერ წარმოდგენილ სტრეს-ტესტების შედეგების საფუძველზე;
- მარეგულირებლის მიერ განსაზღვრული რისკების შეფასების გენერალური პროგრამის ბუფერი, რომელიც ეფუძნება ბანკისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გარდა ამისა, ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე დაინერგა სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტების კონკრეტული ზღვრები. აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ სესხის მომსახურების კოეფიციენტისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის ლიმიტებს, უფრო მაღალი რისკით შეიწონება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კაპიტალის ამჟამინდელი მოთხოვნების შესაბამისად, ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის და რისკის შეწონილი აქტივების კოეფიციენტი დადგენილ მინიმალურ დონეზე მაღლა (ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი > 15%, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი > 19% და სულ, კაპიტალის კოეფიციენტი > 24%). ხელმძღვანელი პირებისთვის შიდა წყაროებით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ბანკის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა 2025 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 160,301 ათასი ლარი (2024: 146,026 ათასი ლარი; 2023: 134,058 ათასი ლარი), საზედამხედველო პირველადი კაპიტალი შეადგენს 157,786 ათას ლარს (2024: 143,299 ათასი ლარი; 2023: 133,881 ათასი ლარი), მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი შეადგენს 157,786 ათას ლარს (2024: 143,299 ათასი ლარი; 2023: 133,881 ათასი ლარი), ასევე, ბანკმა გარედან დაწესებული ყველა მოთხოვნა შეასრულა 2025, 2024 და 2023 წლების განმავლობაში.

26 კაპიტალის მართვა (არა-აუდიტირებული) (გაგრძელება)

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, რომლებიც დაანგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკისა და ბაზელ II / III მოთხოვნების შესაბამისად, შემდეგია:

	2025	2024	2023
მთლიანი ძირითადი პირველადი კაპიტალი და პირველადი კაპიტალი	157,786	143,299	133,881
სულ საზედამხედველო კაპიტალი	157,786	143,299	133,881
სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	615,110	562,399	508,950
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	26%	25%	26%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	26%	25%	26%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	26%	25%	26%
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნები	15%	14%	13%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნები	19%	18%	17%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნები	24%	22%	21%

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები ფასდება რისკის შეწონვების იერარქიით, რომელიც კლასიფიცირდება მათი ხასიათის მიხედვით და ასახავს თითოეულ აქტივთან და კონტრაჰენტთან დაკავშირებულ საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების შეფასებას, ნებისმიერი დასაშვები უზრუნველყოფის ან გარანტიების გათვალისწინებით.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი

(a) კორპორაციული მართვის სისტემა

ბანკი დაფუძნებულია, როგორც ბანკი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკის მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ბანკის საქმიანობის შესახებ.
სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს დირექტორთა საბჭოს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის საქმიანობის ზოგად მართვაზე.

(b) შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბანკის შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე, რომელიც შეესაბამება ოპერაციების მასშტაბსა და ხასიათს.

შიდა კონტროლის სისტემამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

- რისკის სათანადო და ყოველმხრივი შეფასება და მართვა;
- სათანადო ბიზნეს საქმიანობის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ფუნქციები, მათ შორის ოპერაციების სათანადო ავტორიზაცია, დამუშავება და ასახვა;
- სააღრიცხვო ჩანაწერების, მმართველობითი ინფორმაციის, სავალდებულო ანგარიშგების და სხვ. სისრულე, სიზუსტე და დროულობა.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების საიმედოობა და მონაცემებისა და სისტემების დაცულობა და გამართულობა;
- თაღლითური ან უკანონო საქმიანობის აღკვეთა, აქტივების მისაკუთრების ჩათვლით;
- კანონებისა და ნორმების დაცვა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების განსაზღვრასა და შეფასებაზე, კონტროლის სისტემის შემუშავებასა და მისი ეფექტურობის მონიტორინგზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობას და პერიოდულად ნერგავს კონტროლის დამატებით მექანიზმებს ან ცვლის არსებულ მექანიზმებს, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბანკი აკმაყოფილებს სებ-ის მოთხოვნებს რისკის მართვასთან და შიდა კონტროლთან დაკავშირებით, მათ შორის მოთხოვნებს შიდა აუდიტის ფუნქციის შესახებ და რომ რისკის მართვა და შიდა კონტროლის სიტემები შეესაბამება მისი ოპერაციების მასშტაბს, ხასიათსა და სირთულეს.

(c) რისკის მართვის პოლიტიკები და პროცედურები

რისკის მართვა საბანკო საქმიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და ბანკის ოპერაციების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ბანკის ძლიერი რისკების მართვა ასახავს ბანკის რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტის მიერ რისკების სტრატეგიის ფორმირებასა და საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვისთვის მინიჭებულ მნიშვნელობას. რისკის ყოვლისმომცველი მართვისთვის საჭირო ყველა კომპონენტი ჩართულია რისკების ორგანიზაციის სტრუქტურაში: საწარმოს რისკის მართვა; საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვა; რისკების შესახებ ინფორმაციის წარდგენა და საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა; ჯვარედინი რისკის ანალიტიკური საშუალებები და ტექნიკა, როგორიცაა კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და სტრესის ტესტირება. ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ლიკვიდობის რისკს და საბაზრო რისკს. ის ასევე ექვემდებარება სხვადასხვა საოპერაციო და ბიზნეს რისკებს.

რისკების მართვის პოლიტიკები მიზნად ისახავს ბანკის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკის დონეებისა და საზღვრების დაცვის მუდმივი მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებში, პროდუქტებში და შეთავაზებულ მომსახურებაში ცვლილებების და ასევე უკანასკნელი საუკეთესო პრაქტიკების ასახვის მიზნით.

ხელმძღვანელობას აქვს საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობასა და მისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიმოხილვაზე, აგრეთვე არსებითად დიდი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს რისკის შემცირების ზომების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი საქმიანობდეს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკების მართვის დირექტორი პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. იგი უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტის წინაშეა ანგარიშვალდებული.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკები, როგორც პორტფელის, ისე გარიგებების დონეზე, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტების სისტემის, რისკების მართვის განყოფილების და აქტივების-პასივების მართვის კომიტეტის მიერ. კონტროლის მექანიზმები იძლევა იმის გარანტიას, რომ ბანკი მიიღებს ინფორმირებულ რისკობრივ გადაწყვეტილებებს, რომლებიც იქნება შეფასებული ადეკვატურად, ბანკის დადგენილი ზღვრის მიღმა რისკების აღების თავიდან აცილების მიზნით.

როგორც გარე ისევე შიდა რისკის ფაქტორები არის გამოვლენილი და იმართება ორგანიზაციის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკების სრული სპექტრის იდენტიფიცირებას და მოკლევადიანი რისკების შემცირებაზე მიმართული პროცედურების სანდოობის შემოწმებას.

(d) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება, რაც გამოწვეული იქნება ცვლილებებით საბაზრო ცვლადებში, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი, უცხოური გაცვლითი კურსი,და კაპიტალის ფასები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც ექვემდებარებიან ბაზრის ზოგად და სპეციფიკურ მოძრაობებს და საბაზრო ფასების და უცხოური გაცვლითი კურსების დონის ცვლილებებს.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ბანკი თავის საბაზრო რისკს მართავს ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთების დაფარვის ვადებისა და სავალუტო პოზიციებისთვის. მათი მონიტორინგი ხდება რეგულარულად და გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

(i) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებებიდან, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. რისკი შეიძლება წარმოშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ. საპროცენტო მარჟა შეიძლება გაიზარდოს მსგავსი ცვლილებების შედეგად, მაგრამ შეიძლება ასევე შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალები მოულოდნელი მოძრაობების შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთების სხვაობების ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად იმართება საპროცენტო განაკვეთის სხვაობების მონიტორინგით. ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო სხვაობის პოზიციის შეჯამება შემდეგია:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მეტი 5 წელზე	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2025						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	158,048	-	-	-	-	158,048
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	49,327	-	-	-	-	49,327
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	12,016	-	3,850	64,296	-	80,162
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	101,820	70,512	72,063	54,825	26,838	326,058
სხვა ფინანსური აქტივები	681	-	-	-	-	681
სულ ფინანსური აქტივები	**321,892**	**70,512**	**75,913**	**119,121**	**26,838**	**614,276**
ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	55,134	28,964	27,410	-	-	111,508
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	155,592	40,382	64,737	14,825	-	275,536
სხვა ნასესხები სახსრები	10,583	2,737	12,999	30,547	-	56,866
სუბორდინირებული სესხი	-	3	-	-	13,476	13,479
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,945	151	306	2,652	479	5,533
სულ ფინანსური ვალდებულებები	**223,254**	**72,237**	**105,452**	**48,024**	**13,955**	**462,922**
წმინდა პოზიცია	**98,638**	**(1,725)**	**(29,539)**	**71,097**	**12,883**	**151,354**

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მეტი 5 წელზე	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2024						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	47,606	-	-	-	-	47,606
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	40,896	-	-	-	-	40,896
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,976	-	-	-	-	2,976
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	-	-	7,002	46,236	-	53,238
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	83,826	72,089	74,167	67,543	25,976	323,601
სხვა ფინანსური აქტივები	1,052	-	-	-	-	1,052
სულ ფინანსური აქტივები	**176,356**	**72,089**	**81,169**	**113,779**	**25,976**	**469,369**
ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	101,987	36,457	-	-	-	138,444
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	92,601	8,116	18,144	1,331	126	120,318
სხვა ნასესხები სახსრები	2,430	6,469	9,073	52,214	-	70,186
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,229	152	308	2,668	1,226	7,583
სულ ფინანსური ვალდებულებები	**200,247**	**51,194**	**27,525**	**56,213**	**1,352**	**336,531**
წმინდა პოზიცია	**(23,891)**	**20,895**	**53,644**	**57,566**	**24,624**	**132,838**

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მეტი 5 წელზე	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2023						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	77,287	-	-	-	-	77,287
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	35,988	-	-	-	-	35,988
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	5,876	5,662	-	-	-	11,538
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	-	-	8,197	50,133	-	58,330
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	83,602	92,556	26,139	53,598	14,592	270,487
სხვა ფინანსური აქტივები	1,213	-	-	-	-	1,213
სულ ფინანსური აქტივები	**203,966**	**98,218**	**34,336**	**103,731**	**14,592**	**454,843**
ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	71,542	38,290	-	-	-	109,832
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	126,009	17,128	20,658	9,048	279	173,122
სხვა ნასესხები სახსრები	2,044	6,445	8,466	22,278	-	39,233
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,239	135	273	2,356	1,762	6,765
სულ ფინანსური ვალდებულებები	**201,834**	**61,998**	**29,397**	**33,682**	**2,041**	**328,952**
წმინდა პოზიცია	**2,132**	**36,220**	**4,939**	**70,049**	**12,551**	**125,891**

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საშუალო ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებს პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენენ აქტივებისა და ვალდებულებების შემოსავლიანობის მიახლოებას მათი დაფარვის თარიღისთვის.

	2025			2024			2023		
	საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %			საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %			საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %		
	აშშ			აშშ			აშშ		
	ლარი	დოლარი	ევრო	ლარი	დოლარი	ევრო	ლარი	დოლარი	ევრო
პროცენტიანი აქტივები									
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6.25%	2.00%	0.80%	6.25%	2.75%	0.83%	8.99%	-	3.58%
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	8.83%	-	-	9.18%	-	-
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	11.12%	7.75%	6.52%	10.90%	7.54%	-	12.63%	8.19%	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	12.58%	10.01%	7.69%	11.24%	9.27%	7.80%	13.05%	10.35%	8.07%
პროცენტიანი ვალდებულებები									
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	4.67%	3.31%	9.01%	5.10%	4.35%	-	4.84%	4.46%
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	10.44%	3.82%	2.92%	8.36%	3.12%	5.05%	7.97%	3.25%	2.08%
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	5.12%	-	5.85%	5.98%	-	6.39%	7.06%
სუბორდინირებული სესხი	-	8.75%	-	-	-	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	-	3.50%	-	-	3.50%	-	-	3.50%	-

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთების სხვაობების ანალიზის საფუძველზე საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად დამატებით ხდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის მონიტორინგი.

წმინდა მოგების ან ზარალის (გადასახადების გარეშე) საპროცენტო განაკვეთების ცვლილების (გადაფასების რისკი, იმ დაშვებით რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორიცაა სავალუტო კურსი, დარჩება უცვლელი) მიმართ მგრძნობელობის ანალიზი, 2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებების შემოსავლიანობის მრუდისა და პოზიციების 100 საბაზისო პუნქტით სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარზე დაყრდნობით, ასეთია:

	2025	2024	2023
100 საბაზისო პუნქტით პარალელური ვარდნა	(151)	(148)	(163)
100 საბაზისო პუნქტით პარალელური ზრდა	151	148	163

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო. ბანკი მუდმივად აკონტროლებს, რომ სებ-ის სავალუტო პოზიციების ლიმიტები საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებით დაცული იყოს. ბანკს გააჩნია სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები.

შემდეგი ცხრილი ასახავს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების უცხოურ ვალუტაზე დაქვემდებარების სტრუქტურას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო	აშშ დოლარი	თურქული ლირა	გირვანქა სტერლინგი	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	119,368	15,283	12	380	135,043
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	24,355	25,081	-	-	49,436
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	9,525	12,586	-	-	22,111
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	104,580	84,953	-	-	189,533
სხვა ფინანსური აქტივები	7	253	-	-	260
სულ აქტივები	**257,835**	**138,156**	**12**	**380**	**396,383**
ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	55,313	55,823	-	372	111,508
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	146,509	64,754	6	-	211,269
სხვა ნასესხები სახსრები	56,866	-	-	-	56,866
სუბორდინირებული სესხი	-	13,479	-	-	13,479
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9	5,130	-	-	5,139
სულ ვალდებულებები	**258,697**	**139,186**	**6**	**372**	**398,261**
წმინდა პოზიცია	**(862)**	**(1,030)**	**6**	**8**	**(1,878)**

შემდეგი ცხრილი ასახავს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების უცხოურ ვალუტაზე დაქვემდებარების სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო	აშშ დოლარი	თურქული ლირა	გირვანქა სტერლინგი	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25,997	15,236	8	721	41,962
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	11,768	29,235	-	-	41,003
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	-	14,182	-	-	14,182
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	85,756	88,335	-	-	174,091
სხვა ფინანსური აქტივები	4	181	-	-	185
სულ აქტივები	**123,525**	**147,169**	**8**	**721**	**271,423**
ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	23,192	83,444	8	721	107,365
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	33,575	56,107	13	-	89,695
სხვა ნასესხები სახსრები	66,196	3,990	-	-	70,186
სხვა ფინანსური ვალდებულებები	312	6,517	16	-	6,845
სულ ვალდებულებები	**123,275**	**150,058**	**37**	**721**	**274,091**
წმინდა პოზიცია	**250**	**(2,889)**	**(29)**	**-**	**(2,668)**

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი ასახავს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების უცხოურ ვალუტაზე დაქვემდებარების სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო	აშშ დოლარი	თურქული ლირა	გირვანქა სტერლინგი	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,634	36,599	876	2,171	46,280
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	8,904	27,084	-	-	35,988
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	-	17,574	-	-	17,574
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	104,212	69,039	-	-	173,251
სხვა ფინანსური აქტივები	-	153	-	-	153
სულ აქტივები	**119,750**	**150,449**	**876**	**2,171**	**273,246**
ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	81,117	26,534	-	2,182	109,833
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	11,116	108,800	931	-	120,847
სხვა ნასესხები სახსრები	27,825	11,408	-	-	39,233
სხვა ფინანსური ვალდებულებები	39	5,962	11	-	6,012
სულ ვალდებულებები	**120,097**	**152,704**	**942**	**2,182**	**275,925**
წმინდა პოზიცია	**(347)**	**(2,255)**	**(66)**	**(11)**	**(2,679)**

ლარის გაუფასურება, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად, შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში 2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდიდა (შეამცირებდა) კაპიტალს და მოგებას ან ზარალს ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. აღნიშნული ანალიზი ჩატარდა გადასახადების გამოკლებით, და ეფუძნება უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებას, რასაც ბანკი მიიჩნევს გონივრულად შესაძლებელს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

	2025	2024	2023
აშშ დოლარის 15%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	(124)	(347)	(271)
ევროს 15%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	(103)	30	(42)
თურქული ლირას 15%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	1	(3)	(8)
გირვანქა სტერლინგის 15%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	1	-	(1)

ლარის გამყარებას ზემოთ მითითებულ ვალუტებთან მიმართებაში 2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ექნებოდა იგივე, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოთ მითითებულ ვალუტებზე მითითებული ოდენობებით, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი.

(e) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ბანკის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ბანკს დანერგილი აქვს პოლიტიკა და პროცედურები საკრედიტო რისკის სამართავად (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივების, ისე აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში), მათ შორის პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის წესები, საკრედიტოს კომიტეტის ჩამოყალიბება, რომ აქტიურად გააკონტროლოს საკრედიტო რისკი. პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს
- მსესხებელთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

იურიდიული პირისთვის ნებისმიერი სესხის გაცემამდე ბანკი მომხმარებლის ბიზნესისა და ფინანსური შედეგების კომპლექსურ შემოწმებას ატარებს.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება ასევე იმართება, ნაწილობრივ, გირაოს მოპოვებით და ინდივიდუალური გარანტიებით. ზემოაღნიშნული სესხების უზრუნველყოფის საგანს აფასებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხებში. პოტენციური საკრედიტო რისკის შესამცირებლად აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა მნიშვნელოვანი არ არის.

საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკები

ამ ინსტრუმენტების უპირველესი მიზანია უზრუნველყოს, რომ სახსრები ხელმისაწვდომი იყოს მომხმარებლისთვის, საჭიროებისამებრ. გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივები, რომლებიც წარმოადგენს შეუქცევად რწმუნებას, რომ ჯგუფი განახორციელებს გადახდებს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს მესამე მხარის წინაშე, შეიცავს იგივე საკრედიტო რისკს, როგორც სესხები. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივი, რაც წარმოადგენს ბანკის მიერ წერილობით ვალდებულებას მომხმარებლის სახელით, რომელიც უფლებას აძლევს მესამე მხარეს ბანკს წარუდგინოს მოთხოვნები განსაზღვრულ ოდენობამდე კონკრეტული პირობებით, უზრუნველყოფილია იმ პროდუქტის შესაბამისი მიწოდებით, რომელთანაც ისინი დაკავშირებულია, ან ფულადი სახსრების დეპოზიტებით და, შესაბამისად, უფრო ნაკლებ რისკს შეიცავს, ვიდრე პირდაპირი სესხება.

კრედიტის გაცემის ვალდებულება წარმოადგენს კრედიტის გაცემის ავტორიზაციის გამოუყენებელ ნაწილს სესხების, გარანტიების ან აკრედიტივების სახით. რაც შეეხება კრედიტის გაცემის ვალდებულებებთან დაკავშირებით საკრედიტო რისკს, ბანკი პოტენციურად ექვემდებარება ზარალს მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ტოლი ოდენობით, თუ გამოუყენებელი თანხები ათვისებული იქნება. თუმცა, ზარალის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებზე, ვინაიდან კრედიტის გაცემის ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია კლიენტების მიერ კონკრეტული საკრედიტო სტანდარტების დაცვაზე.

ბანკი აკონტროლებს კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვის ვადებს, რადგან გრძელვადიან ვალდებულებებს ზოგადად უფრო მაღალი ხარისხის საკრედიტო რისკი აქვთ, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

გაუფასურების შეფასება

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

PD — დეფოლტის ალბათობა არის დეფოლტის ალბათობის შეფასება მოცემულ დროის მონაკვეთში. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ განსაზღვრულ დროს შეფასებული პერიოდის განმავლობაში, თუ საკრედიტო ინსტრუმენტს გასულ პერიოდში აღიარება არ შეუწყდა და კვლავ პორტფელშია წარმოდგენილი.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

EAD დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია არის ზემოქმედების შეფასება დეფოლტის მომავალი თარიღით, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ზემოქმედების მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვის ჩათვლით, გაწერილი იქნება ეს ხელშეკრულებით თუ არა, ვალდებულებებზე მოსალოდნელი გატანების და გამოტოვებული გადახდებიდან დარიცხული პროცენტის ჩათვლით.

LGD ზარალი დეფოლტის შემთხვევაში: არის ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც დეფოლტი ხდება მოცემულ დროს. იგი ემყარება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ისეთ ფულად ნაკადებს შორის, შორის, რომელთა მიღებასაც გამსესხებელი მოელოდა, ყოველგვარი უზრუნველყოფის რეალიზაციის გამოკლებით. ის ჩვეულებრივ გამოხატულია როგორც EAD-ის პროცენტი.

LGL ზარალი ლიკვიდაციის შემთხვევაში წარმოადგენს ვალდებულების იმ პროცენტულ წილს, რომლის ამოღებაც შეუძლებელია უზრუნველყოფის საგნის ლიკვიდაციით ამ ვალდებულების დეფოლტის შემთხვევაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი დაფუძნებულია საკრედიტო ზარალზე, რომელიც წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის მანძილზე („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად გამოითვლება.

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ბანკი აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2 და მე-3 სტადიებად, ქვემოთ აღწერილი წესით:

- 1-ელი სტადია: სესხების თავდაპირველი აღიარებისას ბანკი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.

- მე-2 სტადია: როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ან ის 30 დღეზე მეტი ხნის ვადაგადაცილებულია, ბანკი სესხს მიაკუთვნებს მეორე სტადიას და ქმნის რეზერვს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.

საცალო კლიენტების ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება მე-მე-2 სტადიას კატეგორია, როდესაც სესხის მომსახურების კოეფიციენტის (PTI) ზრდა 10 პროცენტულ პუნქტზე მეტია ან ტოლია ეროვნული ბანკის მოთხოვნებით განსაზღვრული სტანდარტისა.

ლარი	შემოსავალი	უახლესი ხელმისაწვდომი PTI *	PTI ზრდა =პოტენციური SICR**
	< 1500	>25%	>=10 p.p.
	>=1500	>50%	>=10 p.p.

აშშ დოლარი	შემოსავალი	უახლესი ხელმისაწვდომი PTI	PTI ზრდა =პოტენციური SICR
	< 1500	>20%	>=10 p.p.
	>=1500	>30%	>=10 p.p.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

კორპორატიული კლიენტების ფინანსურ ინსტრუმენტებს მე-მე-2 სტადიას კატეგორია ენიჭებათ, როდესაც ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი 1.2-ზე ნაკლებია და ამავდროულად ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტის შემცირება 10%-ზე მეტია ან ტოლია თავდაპირველ DSCR-თან შედარებით, ან როდესაც ვალისა და EBITDA-ს კოეფიციენტი 4.5-ზე მეტია და ამავდროულად ვალისა და EBITDA-ს კოეფიციენტის ზრდა 10%-ზე მეტია ან ტოლია ვალისა და EBITDA-ს თავდაპირველ კოეფიციენტთან შედარებით.

DSCR*** უახლესი განახლება	DSCR Delta vs წარმოშობა
< 1.2	<=-10%

Debt to EBITDA Latest Updated	Debt to EBITDA vs Origination
> 4.5	>=10%

* სესხის მომსახურების კოეფიციენტი

სესხის მომსახურების კოეფიციენტი აფასებს ფიზიკური პირის შემოსავლის პროპორციას, რომელიც გამოიყენება ვალის დაფარვისთვის. იგი გამოითვლება მსესხებლების მიერ ვალის მთლიანი გადახდების გაყოფით მათ მთლიან შემოსავალზე. ეს კოეფიციენტი არის კრიტიკული საზომი, რომელსაც ბანკი იყენებს მსესხებლების კრედიტუნარიანობისა და დაფარვის შესაძლებლობის შესაფასებლად.

** საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა.

*** დავალიანების დაფარვისთვის გადახდების უზრუნველყოფა.

დეფოლტის განმარტება და აღმოფხვრა

ბანკი დეფოლტს განმარტავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ინსტრუმენტი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ:

- პროცენტის, ძირითადი თანხის ან საკომისიოს გადახდას მოვალე 90 დღეზე მეტი ხნით აგვიანებს; ან
- თუ მოხდა სესხის პრობლემური (იძულებითი) რესტრუქტურიზაცია, რადგან სხვა შემთხვევაში სესხი გადაუხდელი იქნებოდა; ან
- მსესხებლის მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე უარყოფითად აისახება ის ფაქტი, რომ დაწყებულია იძულებითი ლიკვიდაციისას გაკოტრების ან გადახდისუუნაროობის პროცედურები ან არსებობს სხვა მტკიცებულება იმისა, რომ გადახდის ვალდებულება სრულად არ შესრულდება.

გაზომვადი ინდიკატორების თვალსაზრისით, კრიტერიუმების მონიტორინგი ხდება შემდეგნაირად:

იურიდიული პირებისთვის	ინდიკატორი
სექტორებისთვის: სასტუმროები, ენერგეტიკა, უძრავი ქონების მართვა	DSCR < 1.0 (გადაანგარიშებული 15 წელზე)
სხვა სექტორებისთვის	DSCR < 1.0 (გადაანგარიშებული 10 წელზე)

საცალო კლიენტებისთვის	ინდიკატორი
ყოველთვიური წმინდა შემოსავალი (ლარში ან უცხოური ვალუტის ეკვივალენტში ლარში)	
< 1,500	PTI > 55%
>= 1,500	PTI > 70%

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ზემოაღნიშნული გაზომვადი ინდიკატორების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მსესხებელი ჩაითვლება დეფოლტირებულად და გადადის მე-3 სტადიაზე.

მას შემდეგ, რაც ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება მე-2 სტადიაზე, ის იქ რჩება მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება შემდეგი ორი პირობა:

1. ფინანსური ინსტრუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს პირველი სტადიის საკრედიტო ხარისხის მოთხოვნებს;
2. უნდა დაკმაყოფილდეს ვადაგადაცილებული დღეების და გამოსაცდელი ვადის პირობები.

ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირებულია, როგორც პირველი სტადიის რისკის კატეგორია, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- გადახდა ხდება დროულად ან ვადაგადაცილებული დღეები არ აღემატება 30 დღეს;
- მსესხებლის ლიკვიდობა, კაპიტალი და სესხის დაფარვის შესაძლებლობა სტაბილურია;
- მსესხებელი არის ფინანსურად საკმარისად ძლიერი, რომ გაუძლოს საშუალო დონის სტრესის შედეგებს და აქვს საკმარისი ლიკვიდობა ყველა ვალდებულების შესასრულებლად.

გაუმჯობესების მოთხოვნები (როგორც რესტრუქტურიზებული, ისე არარესტრუქტურირებული) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როდესაც ფინანსური ანალიზი არ ტარდება:

მე-მე-2 სტადიას არარესტრუქტურიზებული ინსტრუმენტებისთვის გამოსწორების პერიოდი არის 6 თვე, რომლის შემდეგაც ინსტრუმენტი კლასიფიცირდება პირველ სტადიაზე, თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტი 30 დღეზე ნაკლებით იყო ვადაგადაცილებული.

შეჯამება: მე-2 სტადია → 1-ელი სტადია, როდესაც ვადაგადაცილება 30 დღეზე ნაკლებია 6 თვის განმავლობაში.

რესტრუქტურიზებული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც მეორე სტადიაზეა განთავსებული, გამოსაცდელი ვადა 1 წელია (თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტი 30 დღეზე ნაკლებით იყო ვადაგადაცილებული, რის შემდეგაც ინსტრუმენტი რეკლასიფიცირდება პირველ სტადიაზე).

შეჯამება: PF (მე-2 სტადია) → 1-ელი სტადია როდესაც ვადაგადაცილებული დღეები 30 -ზე ნაკლებია წლის განმავლობაში.

მე-მე-3 სტადიას არარესტრუქტურიზებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გამოსწორების პერიოდი არის 6 თვე, რომლის შემდეგაც ინსტრუმენტი კლასიფიცირდება მეორე სტადიაზე, თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტი 90 დღეზე ნაკლებით იყო ვადაგადაცილებული.
მე-მე-2 სტადიას არარესტრუქტურიზებული ინსტრუმენტებისთვის გამოსწორების პერიოდი არის 6 თვე, რომლის შემდეგაც ინსტრუმენტი კლასიფიცირდება პირველ სტადიაზე, თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტი 30 დღეზე ნაკლებით იყო ვადაგადაცილებული.

შეჯამება: მე-3 სტადია → მე-2 სტადია, როდესაც ვადაგადაცილება 90 დღეზე ნაკლებია 6 თვის განმავლობაში. მე-2 სტადია → 1-ელი სტადია, როდესაც ვადაგადაცილება 30 დღეზე ნაკლებია 6 თვის განმავლობაში.

მე-მე-3 სტადიას რესტრუქტურიზებული (უმოქმედო რესტრუქტურიზებული) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გამოსწორების პერიოდი არის 6 თვე, რომლის შემდეგაც ინსტრუმენტი კლასიფიცირდება მეორე სტადიაზე (მოქმედი რესტრუქტურიზებული), თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტი 31-90 დღით იყო ვადაგადაცილებული. როგორც კი ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება, როგორც მოქმედი რესტრუქტურიზებული, იწყება ერთწლიანი გამოსაცდელი პერიოდი, რომლის შემდეგაც ინსტრუმენტი კლასიფიცირდება პირველ სტადიაზე, თუ ეს ინსტრუმენტი გამოსაცდელი ვადის პერიოდში არ იყო 30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული. თუ ინსტრუმენტი 31-90 დღის ვადაგადაცილების ფარგლებში ექცევა, ის რჩება მეორე სტადიაზე. ერთწლიანი გამოსაცდელი პერიოდი იწყება ინსტრუმენტის 31-90 დღის ვადაგადაცილებიდან აღდგენის ბოლო თვიდან.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

შეჯამება: NPF (მე-3 სტადია) → PF (მე-2 სტადია) როდესაც 31-90 დღის ვადაგადაცილებაა 6 თვის განმავლობაში. PF (მე-2 სტადია) → PE (1-ელი სტადია) როდესაც 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებაა ერთი წლის განმავლობაში.

გაუმჯობესების მოთხოვნები არა-რესტრუქტურიზებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როდესაც ფინანსური ანალიზი ხორციელდება:

რესტრუქტურიზაციის სტატუსების ზემოაღნიშნული გამოსაცდელი პერიოდების გარდა, ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორია შესაძლებელია გაუმჯობესდეს განხორციელებული ფინანსური ანალიზის საფუძველზე, კერძოდ:

- ფინანსური ინსტრუმენტის რეკლასიფიკაცია მე-მე-2 სტადიადან 1-ელი სტადიას კატეგორიაში:
  - როდესაც მსესხებლის ფინანსური ანალიზის განხორციელების შედეგად პირველი სტადიის (მოქმედი) პირობების მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია.
  - ამავდროულად ბოლო 3 თანმიმდევრული გადახდა შესრულდა ვადაგადაცილების გარეშე.
- ფინანსური ინსტრუმენტის რეკლასიფიკაცია მე-მე-3 სტადიადან მე-2 სტადიას კატეგორიაში:
  - როდესაც მსესხებლის ფინანსური ანალიზის განხორციელების შედეგად მე-მე-2 სტადიას (მოქმედი) პირობების მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია.
  - ამავდროულად ბოლო 3 თანმიმდევრული გადახდა შესრულდა ვადაგადაცილების გარეშე.
- ფინანსური ინსტრუმენტის რეკლასიფიკაცია მე-მე-3 სტადიადან 1-ელი სტადიას კატეგორიაში:
  - როდესაც მსესხებლის ფინანსური ანალიზის განხორციელების შედეგად პირველი სტადიის (მოქმედი) პირობების მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია.
  - ამავდროულად ბოლო 6 თანმიმდევრული გადახდა შესრულდა ვადაგადაცილების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტი აღარ ჩაითვლება რესტრუქტურიზებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რესტრუქტურიზაციის დღიდან გავიდა 1 წელზე მეტი და ფინანსურ ინსტრუმენტს ბოლო 1 წლის განმავლობაში მინიჭებული აქვს საკრედიტო რისკის 1-ელი სტადიის კატეგორია.

PD შეფასების პროცესი

საცალო და კორპორატიული პორტფელებისთვის PD შეფასებულია მაკრო მოდელის საშუალებით, რომელიც აღწერს ურთიერთობას საცალო და კორპორატიული პორტფელების ისტორიული დეფოლტის ალბათობასა და მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის, როგორიცაა რეალური მშპ -ს ზრდა და აშშ დოლარი/ლარი გაცვლითი კურსი. სებ-ის შეფასების შედეგებსა და პროგნოზირებულ მაკრო ცვლადებზე დაყრდნობით პროგნოზირებულია პირობითი საცალო და კორპორატიული დეფოლტის ალბათობები. მოდელი ყოველწლიურად ხელახლა შეფასდება და სხვა მაკროეკონომიკური ცვლადები გათვალისწინებული იქნება, თუ ისინი გააუმჯობესებენ მოდელის განმარტებით შესაძლებლობებს. დგება პროგნოზირებული პირობითი დეფოლტის ალბათობის მიგრაციის მატრიცები, საიდანაც გამოითვლება არაპირობითი ზღვრული დეფოლტის ალბათობები, რომლებიც შემდეგ კორექტირდება პორტფელში ამა თუ იმ ინსტრუმენტის ვადის მიხედვით.

მე-3 სტადიას ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის ალბათობა განიხილება, როგორც 100%.

იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ბანკს აქვს გარანტია მსესხებლის მშობელი კომპანიებისგან, ბანკი იყენებს მათი მშობელი კომპანიების დეფოლტის ალბათობებს.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD)

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD) განსხვავებულად არის გამოთვლილი პირველი, მეორე და მესამე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. EAD მცირდება ფულადი სახსრების დაფარვის თანხებით. არასაბალანსო ვალდებულებები განიხილება ფულადი სახსრების კონვერტაციის ფაქტორის (CCF) მეშვეობით, კერძოდ, 100%-ით კორპორატიული ვალდებულებისთვის და 50%-ით საცალო ვალდებულებებისთვის.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

1-ელი სტადიისთვის, EAD გამოითვლება, როგორც სესხებისა და არასაბალანსო ვალდებულებების დაუფარავი ოდენობა, CCF-ისა და ფულადი სახსრების დაფარვის თანხების გათვალისწინებით საანგარიშგებო თარიღისთვის.

მე-2 სტადიის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, EAD გამოითვლება თითოეული დარჩენილი სახელშეკრულებო წლისთვის. EAD თითოეული წლისთვის შეფასებულია, როგორც დაუფარავი თანხა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, გამოკლებული კუმულაციური წლიური ძირითადი თანხების დაფარვები. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაუფარავი თანხა გამოითვლება CCF-ის და ფულადი სახსრების დაფარვების გათვალისწინებით. მე-3 სტადიასთვის, EAD გამოითვლება, როგორც ინსტრუმენტის დაუფარავი თანხა საანგარიშგებო თარიღისთვის, CCF-ის და ფულადი დაფარვის თანხების გათვალისწინებით.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

კორპორატიული და საცალო დაკრედიტების აქტივებისთვის LGD ღირებულებები ფასდება ყოველწლიურად. LGD განიმარტება, როგორც სავარაუდო ზარალი, რომელიც წარმოიქმნება კონტრაჰენტის დეფოლტის შემთხვევაში არაუზრუნველყოფილი პოზიციებისთვის. იგი წარმოადგენს რისკის შეფასებას, რომლის ამოღებაც ვერ მოხერხდება დეფოლტის შემთხვევის გამო და ამიტომ თვალსაჩინოდ ასახავს ზარალის სერიოზულობას. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის განაკვეთი გამოითვლება კორპორაციული და საცალო პორტფელებისთვის. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში სტატისტიკურად გამოითვლება სესხის ამოღების ისტორიული მონაცემების საფუძველზე და ითვალისწინებს არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებზე გაწეულ ისტორიულ ზარალს. გაანგარიშებისას LGD-ის განცალკევებული ნაწილის აღდგენა გამორიცხულია გაანგარიშებიდან. LGD გამოხატულია როგორც EAD-ის პროცენტი.

ზარალი უზრუნველყოფილი ვალდებულების ლიკვიდაციის შემთხვევაში (LGL)

ზარალი ლიკვიდაციის შემთხვევაში წარმოადგენს ვალდებულების იმ პროცენტულ წილს, რომლის ამოღებაც შეუძლებელია უზრუნველყოფის საგნის ლიკვიდაციით ამ ვალდებულების დეფოლტის შემთხვევაში. ლიკვიდაციის შემთხვევაში ზარალის გამოთვლისას გათვალისწინებულია სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც კორექტირდება უზრუნველყოფისთვის გამოყენებული უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის დროის, უძრავი ქონების ფასის ინდექსის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და უზრუნველყოფის საგნების გაყიდვებიდან მოსალოდნელი შემოსავლის კოეფიციენტის მიხედვით. არაუზრუნველყოფილი დაქვემდებარებებისთვის აღებულია 100% -იანი LGL.

საშუალო LGL კოეფიციენტები გამოითვლება ხუთი LTV დიაპაზონისთვის ცალ-ცალკე საცალო და არასაცალო მსესხებლებისთვის, რომლებიც შემდეგ ენიჭება თითოეულ დაქვემდებარებას LTV დიაპაზონის მიხედვით, რომლის დაქვემდებარება ვარდნას განიცდის.

გაყიდვების ხარჯების გაანგარიშება

ბანკი განიხილავს შემდეგ გაყიდვების ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მიღებული უზრუნველყოფის გაყიდვასთან.

თუ ბანკის მოთხოვნა 15,000 ლარზე მეტია, ბანკი მიმართავს არბიტრაჟს. 15,000 ლარზე ნაკლები მოთხოვნებისთვის ბანკი მიმართავს სასამართლოს.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

საარბიტრაჟო საქმეებთან დაკავშირებული ხარჯები		
დღგ	18%	როდესაც მოთხოვნა x 1.18 ნაკლებია უზრუნველყოფის ღირებულებაზე ასეთ შემთხვევაში დღგ გამოითვლება მოთხოვნიდან და პირიქით.
საარბიტრაჟო მოსაკრებელი	3%	დღგ-ის ჩათვლით, შენიშვნა: მინ. ფასი არის 236 ლარი (ზეპირი მოსმენის გარეშე) /590 ლარი (ზეპირი მოსმენის საფუძველზე)/708 ლარი ზეპირი მოსმენა, რომელიც შედგება 3 არბიტრისგან მაქსიმალური ფასი 15,000 ლარი. ბანკს აქვს შემდეგი მიდგომა ხელშეკრულებებში: როდესაც მოთხოვნა არის ≤50,000 ბანკი აგრძელებს ზეპირი მოსმენის გარეშე (ანუ მინიმალური ფასი 236 ლარი)/როდესაც მოთხოვნა არის >50,000 ბანკი მიდის ზეპირ მოსმენაზე, რომელიც შედგება 3 არბიტრისგან (ანუ მინიმალური ფასი 708 ლარი).
სააპელაციო სასამართლოს საფასური	150 ლარი	
საფასური გადახდილი აღსრულებისთვის	2%	მთლიანი მოთხოვნიდან (ძირი + საარბიტრაჟო მოსაკრებელი + სააპელაციო სასამართლო მოსაკრებელი)
სააღსრულებო ბიუროს მიერ აღებული საფასური	5%	აუქციონზე გასაყიდი ფასიდან

სასამართლო საქმეებთან დაკავშირებული ხარჯები		
დღგ	18%	როდესაც მოთხოვნა x 1.18 ნაკლებია უზრუნველყოფის ღირებულებაზე ასეთ შემთხვევაში დღგ გამოითვლება მოთხოვნიდან და პირიქით.
სასამართლო გადასახადი	3%	მინიმალური ფასი: 100 ლარი, მაქსიმალური ფასი: 5,000 ლარი
საფასური გადახდილი აღსრულებისთვის	2%	მთლიანი მოთხოვნიდან (ძირითადი)
სააღსრულებო ბიუროს მიერ აღებული საფასური	5%	აუქციონზე გასაყიდი ფასიდან

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR)

ბანკი მუდმივად აკონტროლებს ყველა აქტივს, რომელიც ექვემდებარება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს. საკრედიტო რისკის ზრდის მნიშვნელობის შეფასებისას და იმის შეფასებისას ექვემდებარება თუ არა ინსტრუმენტი 12 -თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, თუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ბანკი ადარებს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ დეფოლტის რისკს და თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის დეფოლტის მოხდენის რისკს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსავლენად ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე, ბანკი ახორციელებს სხვადასხვა ფაქტორების ჰოლისტიკურ ანალიზს, მათ შორის იმ ფაქტორებს, რომლებიც სპეციფიკურია კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ან მსესხებლისთვის.

ანალიზი მოიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გათვალისწინებას ბანკის ისტორიულ გამოცდილებაზე, საკრედიტო რისკების შეფასებასა და საპროგნოზო ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის შემთხვევაში ბანკი ინდივიდუალურად აფასებს, არსებობს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ან გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, რათა აღიაროს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დაქვემდებარებები გათვალისწინებულია ჯგუფთან მიმართებაში, რომელიც აღემატება ბანკის პირველადი კაპიტალის 1%-ს. ბანკი ერთობლივად აფასებს სესხებს, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი და სესხებს, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია, მაგრამ რომლებზეც არ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ობიექტური მტკიცებულება.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები

SICR-ის გამოვლენის პროცესი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დაქვემდებარებებისთვის მოიცავს ხარისხობრივი ტესტირების ჩატარებას. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების SICR- ის შესაფასებლად, ბანკმა დაადგინა ზოგადი გამომწვევი მოვლენები ყველა სახის დაქვემდებარებისთვის, კონკრეტული გამომწვევი მოვლენები არასაცალო მსესხებლებისთვის და კონკრეტული გამომწვევი მოვლენები საცალო მსესხებლებისთვის. ზოგადი გამომწვევი მოვლენები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- მაკროეკონომიკური, მარეგულირებელი, პოლიტიკური ან ტექნოლოგიური პერსპექტივის გაუარესება კონკრეტული მსესხებლისთვის ან მსესხებელთა ჯგუფისთვის;
- არასასურველი ცვლილებები იმ სექტორში ან დარგის პირობებში, სადაც მსესხებელი ოპერირებს სპეციფიური გამომწვევი მოვლენები არასაცალო მსესხებლებისთვის მოიცავს:
- მსესხებლების ფინანსური საქმიანობის შედეგების გაუარესება, რაც რაოდენობრივად განისაზღვრება ფინანსური კოეფიციენტების უარყოფითი ცვლილებებით;
- ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტით, მაგრამ 90 დღეზე ნაკლებით;
- რესტრუქტურიზაციები, რომლებიც რომ არ განხორციელებულიყო, არ გამოიწვევდა ინსტრუმენტის 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებას;
- ხელშეკრულების დარღვევა;
- ბიზნესის ან ქონების გადამწყვეტი ნაწილის გაყიდვა, რომელიც აუცილებელია მსესხებლისთვის მოგების გამომუშავების ოპერაციებისთვის;
- თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში და ა.შ.

თუ გამოვლენილია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, არსებობის მანძილზე ECL-ის გაანგარიშებისთვის ფასდება, საკმარისია თუ არა მსესხებლის მომავალი ფულადი ნაკადების შემოდინებები სხვადასხვა სცენარის შემთხვევაში ფულადი სახსრების გადინებების დასაფარად. მსესხებლის ფულადი ნაკადების ანალიზი მოიცავს დარგის არსებული და პროგნოზირებული ტენდენციების ანალიზს, რომლის ფარგლებშიც მსესხებელი მუშაობს. გაუფასურების ოდენობა ფასდება, როგორც სხვაობა საკრედიტო ხაზის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია საკრედიტო ხაზის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადები მოიცავს ნებისმიერ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს მსესხებლის საოპერაციო საქმიანობიდან, სახსრების სხვა წყაროებს და უზრუნველყოფის ლიკვიდაციიდან მოსალოდნელ შემოსავალს, შესაბამისობის შემთხვევაში.

ჯგუფურად შეფასებული სესხები

არასაცალო დაქვემდებარებები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი, SICR-ისთვის ფასდება ვადაგადაცილებული დღეების (30-დან 90 დღემდე) მიხედვით, ან იმის მიხედვით, რესტრუქტურიზებულები არიან ისინი თუ არა, ასევე სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტების გაუარესების მიხედვით (სესხის მომსახურების კოეფიციენტი (PTI), ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი (DSCR).

საცალო მსესხებლებისთვის სპეციფიკური გამომწვევი მოვლენები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: სესხის ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტით, მაგრამ 90 დღეზე ნაკლებით, დაქვემდებარების რესტრუქტურიზაცია, რომელიც თუ არ განხორციელდა, გამოიწვევს ინსტრუმენტის 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებას, PTI კოეფიციენტის გაუარესება და ა.შ.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური ინსტრუმენტები დაჯგუფებულია ერთგვაროვან პულებში აქტივების ტიპების მიხედვით - იქნება ეს ინსტრუმენტი საცალო თუ არასაცალო, და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) საფუძველზე. LTV კოეფიციენტების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტები დაჯგუფებულია ხუთ LTV ჯგუფად.

საკრედიტო ხაზების ჩამოწერა:

ბანკმა შეიმუშავა მსესხებლების მიმართ რისკის ზემოქმედების ჩამოწერის მეთოდოლოგია, კერძოდ:

- არაუზრუნველყოფილი ფინანსური ინსტრუმენტი ექვემდებარება ჩამოწერას, თუ ვადაგადაცილებული დღეები აღემატება 360 დღეს;
- უზრუნველყოფილი ფინანსური ინსტრუმენტი ექვემდებარება ჩამოწერას, თუ ვადაგადაცილებული დღეები აღემატება 720 დღეს.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები

ბანკის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაჰენტები მოიცავს ფინანსური მომსახურების ინსტიტუტებს, ბანკებს, კორპორაციებს და საქართველოს და თურქეთის მთავრობებს.

დეფოლტის ალბათობები ენიჭება ემიტენტებს ან ბანკებს გარე რეიტინგის დეფოლტის განაკვეთების მიხედვით. მინიმალური PD დადგენილია 0.03%-ზე ბაზელის მიხედვით. ბაზელის დოკუმენტის ფუძემდებლური მიდგომის მიხედვით LGD აღებულია 47.81%-ზე. კორპორაციულ ფასიან ქაღალდებზე LGD აღებულია 47.81%-ზე. EAD წარმოადგენს ზოგიერთი დაუფარავი ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის ჯამს ფასიანი ქაღალდების, სუვერენული ობლიგაციებისა და ბანკთაშორისი დაქვემდებარებების შემთხვევაში.

საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალგვარი ეკონომიკური სცენარი

მის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში ბანკი ეყრდნობა შემდეგ საპროგნოზო ინფორმაციას, როგორც ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს, ასეთია:

- რეალური მშპ-ს ზრდა;
- სავალუტო კურსები

ბანკი ითვლის მოალოდნელ საკრედიტო ზარალს ინდივიდუალურად ყველა ფინანსურ აქტივზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება სამი (საწყისი 50%, აღმავალი 25% და დაღმავალი 25%) სცენარისთვის და შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება სამივე სცენარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეწონილი ჯამის სახით.

მიუკერძოებელი, ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოითხოვს საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვას, რომლის მიღება შესაძლებელია ზედმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის ბანკი განსაზღვრავს სამ მაკრო სცენარს. სცენარები განისაზღვრება, როგორც ეკონომიკის მდგომარეობის საბაზისო (სავარაუდოდ), აღმავალი (უკეთესი, ვიდრე სავარაუდოა) და დაღმავალი (სავარაუდოზე უარესი) სცენარები. საბაზისო მაკროეკონომიკური სცენარის წარმოებისთვის ბანკი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადების/დაშვებების მნიშვნელობებს, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლებისთვის თითოეულ ეკონომიკურ სცენარში.

„მომდევნო წლების“ მაჩვენებლები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალოს და, შესაბამისად, იგივეა თითოეული სცენარისთვის, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სცენარი	მინიჭებული ალბათობები, %	2025	2026	2027	2028	შემდგომი წლები
რეალური მშპ-ს ზრდა, %							
	აღმავალი	25%	7.4%	6.0%	5.5%	5.0%	5.0%
	საბაზისო	50%	7.4%	4.9%	5.1%	5.0%	5.0%
	დაღმავალი	25%	7.4%	2.0%	4.0%	5.0%	5.0%
ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსი, % ცვლილება							
	აღმავალი	25%	0.0%	2.0%	3.0%	0.0%	0.0%
	საბაზისო	50%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
	დაღმავალი	25%	0.0%	-20.0%	-10.0%	5.0%	5.0%

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

„მომდევნო წლების“ მაჩვენებლები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალოს და, შესაბამისად, იგივეა თითოეული სცენარისთვის, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	მინიჭებული ალბათობები, %	2024	2025	2026	2027	შემდგომი წლები
რეალური მშპ-ს ზრდა, %							
	აღმავალი	25%	8.7%	7.0%	6.0%	6.0%	6.0%
	საბაზისო	50%	8.7%	4.9%	5.8%	5.7%	5.7%
	დაღმავალი	25%	8.7%	2.0%	3.0%	5.0%	5.0%
ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსი, % ცვლილება							
	აღმავალი	25%	0.0%	2.0%	3.0%	0.0%	0.0%
	საბაზისო	50%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
	დაღმავალი	25%	0.0%	-15.0%	0.0%	5.0%	5.0%

„მომდევნო წლების“ მაჩვენებლები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალოს და, შესაბამისად, იგივეა თითოეული სცენარისთვის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	მინიჭებული ალბათობები, %	2023	2024	2025	2026	შემდგომი წლები
რეალური მშპ-ს ზრდა, %							
	აღმავალი	25%	6.0%	6.5%	5.5%	5.0%	5.0%
	საბაზისო	50%	6.0%	5.0%	4.5%	5.0%	5.0%
	დაღმავალი	25%	6.0%	3.0%	4.0%	5.0%	5.0%
ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსი, % ცვლილება							
	აღმავალი	25%	0.0%	3.0%	2.0%	0.0%	0.0%
	საბაზისო	50%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
	დაღმავალი	25%	0.0%	-15.0%	0.0%	5.0%	5.0%

(f) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ბანკს არ აქვს საკმარისი ლიკვიდური ფინანსური რესურსები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ანგარიშსწორდება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება იმის გამო, რომ ბანკმა შეიძლება ვერ შეასრულოს თავისი გადახდის ვალდებულებები, როდესაც მათი გადახდის დრო დადგება, ფულადი ნაკადების დროულობის შეუსაბამობის შედეგად, როგორც ნორმალურ, ასევე სტრესულ ვითარებაში. ბანკი ლიკვიდობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს თანხების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა შეასრულოს ყველა ფულადი ნაკადის ვალდებულება, როგორც კი ამის დრო დადგება. ლიკვიდურობის პოლიტიკა გადაიხედება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ბანკი ცდილობს აქტიურად შეუწყოს ხელი დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსების ბაზას, რათა შეძლოს სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- მრავალფეროვანი დაფინანსების წყაროების შენარჩუნებას;
- ვალების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ვალის დაფინანსების გეგმების შენარჩუნებას;
- ლიკვიდობის კოეფიციენტების მონიტორინგს მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად

ლიკვიდობის მდგომარეობას მონიტორინგს უწევს ფინანსური მართვის განყოფილება და რისკების მართვის განყოფილება. ნორმალურ საბაზრო პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდობის პოზიციის შესახებ ხელმძღვანელობას წარედგინება ყოველკვირეულად. ლიკვიდობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს ALCO, ხოლო სახაზინო განყოფილება მათ ახორციელებს. გარდა ამისა, ბანკი რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდობის კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები აჩვენებს არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ვალდებულებებზე და კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე მათი ყველაზე ადრეული სახელშეკრულებო დაფარვის ვადის საფუძველზე. მთლიანი შემოდინება, რომელიც წარმოდგენილია ცხრილებში, არის სახელშეკრულებო, არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსურ ვალდებულებაზე ან კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე. გაცემული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის გარანტიის მაქსიმალური ოდენობა გადანაწილდება ყველაზე ადრეულ პერიოდზე, რომელშიც გარანტიის მოთხოვნაა შესაძლებელი.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი არის შემდეგი:

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(14,853)	(40,507)	(29,281)	(28,045)	-	-	(112,686)	(111,508)
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	(103,473)	(52,430)	(40,946)	(67,561)	(16,639)	-	(281,049)	(275,536)
სხვა ნასესხები სახსრები	-	(11,509)	(2,921)	(14,110)	(32,500)	-	(61,040)	(56,866)
სუბორდინირებული სესხი	-	-	(596)	(602)	(4,180)	(20,056)	(25,434)	(13,479)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(1,897)	(121)	(182)	(364)	(2,911)	(485)	(5,960)	(5,533)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(120,223)**	**(104,567)**	**(73,926)**	**(110,682)**	**(56,230)**	**(20,541)**	**(486,169)**	**(462,922)**
საკრედიტო ვალდებულებები	**(124,674)**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**(124,674)**	**-**

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი არის შემდეგი:

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(45,489)	(56,928)	(37,234)	-	-	-	(139,651)	(138,444)
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	(82,174)	(10,560)	(8,261)	(18,703)	(1,543)	(126)	(121,367)	(120,318)
სხვა ნასესხები სახსრები	-	(3,706)	(6,985)	(10,950)	(57,244)	-	(78,885)	(70,186)
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(3,182)	(126)	(190)	(379)	(3,032)	(1,263)	(8,172)	(7,583)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(130,845)**	**(71,320)**	**(52,670)**	**(30,032)**	**(61,819)**	**(1,389)**	**(348,075)**	**(336,531)**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	**(160,180)**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**(160,180)**	**-**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი არის შემდეგი:

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მეტი 5 წელზე	სულ მთლიანი თანხის გადინება	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(48,825)	(22,980)	(38,970)	-	-	-	(110,775)	(109,832)
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	(101,616)	(24,651)	(17,450)	(21,420)	(9,659)	(363)	(175,159)	(173,122)
სხვა ნასესხები სახსრები	-	(2,465)	(7,369)	(9,531)	(23,862)	-	(43,227)	(39,233)
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(2,112)	(116)	(175)	(350)	(2,802)	(1,868)	(7,423)	(6,765)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(152,553)**	**(50,212)**	**(63,964)**	**(31,301)**	**(36,323)**	**(2,231)**	**(336,584)**	**(328,952)**
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	**(121,194)**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**(121,194)**	**-**

მომხმარებლების ანგარიშებზე შეტანილი ვადიანი ანაბრები კლასიფიცირდება ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკურ პირებს შეუძლიათ ვადიანი ანაბრების თანხების გატანა მათი დაფარვის ვადამდე, თუ ისინი ნაწილობრივ ან სრულად დაკარგავენ დარიცხული პროცენტის მიღების უფლებას და ბანკი ვალდებულია დააბრუნოს მსგავსი ანაბრები დეპოზიტორის მოთხოვნის შემთხვევაში. ბანკის ანაბრების შენახვის ისტორიის საფუძველზე, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ბევრ მომხმარებელს დასჭირდება თანხის რაც შეიძლება ადრეულ ვადაში დაფარვა.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული ანაბრები მათი დარჩენილი დაფარვის ვადების მიხედვით 2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	5,894	8,495	10,000
1-დან 3 თვემდე	184	5,099	3,729
3-დან 12 თვემდე	4,116	4,806	10,714
1-დან 5 წლამდე	10,741	280	5,425
სულ ანაბრები	**20,935**	**18,680**	**29,868**

ბანკი არ იყენებს ქვემოთ ჩამოთვლილ არადისკონტირებული დაფარვის ვადის ანალიზს ლიკვიდობის სამართავად, რადგან ის აჩვენებს მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებს და არ ითვალისწინებს ინსტრუმენტების რეალურ მოსალოდნელ ქცევას. ამის ნაცვლად, ბანკი აკვირდება ლიკვიდობის სხვაობების ანალიზს მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით, მაგალითად, არადისკონტირებული ფულადი ნაკადების განმარტების მიზნებისთვის, მოთხოვნამდე დეპოზიტების განთავსება ხდება მოთხოვნამდე კალათში, ამასთან ნებისმიერი მათგანი შეიძლება გათვალისწინებული იყოს განსხვავებულ დროის კალათში, რეალური მოლოდინების შესაბამისად.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი, მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით:

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მეტი 5 წელზე	დაფარვის ვადის გარეშეს	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	158,048	-	-	-	-	-	158,048
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	49,327	-	-	-	-	-	49,327
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	-	12,016	3,850	64,296	-	-	80,162
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	28,202	73,618	142,576	54,825	26,837	-	326,058
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით	-	-	-	-	-	8,866	8,866
მოგების გადასახადის აქტივი	-	-	-	-	-	369	369
სხვა აქტივები	1,174	-	-	-	-	1,349	2,523
სულ აქტივები	**236,751**	**85,634**	**146,426**	**119,121**	**26,837**	**10,584**	**625,353**
ვალდებულებები							
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14,816	40,318	56,374	-	-	-	111,508
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	103,450	52,143	105,118	14,825	-	-	275,536
სხვა ნასესხები სახსრები	-	10,583	15,736	30,547	-	-	56,866
სუბორდინირებული სესხი	-	-	3	-	13,476	-	13,479
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-	-	664	664
სხვა ვალდებულებები	2,948	101	457	2,652	427	-	6,585
სულ ვალდებულებები	**121,214**	**103,145**	**177,688**	**48,024**	**13,903**	**664**	**464,638**
წმინდა პოზიცია	**115,537**	**(17,511)**	**(31,262)**	**71,097**	**12,934**	**9,920**	**160,715**

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი, მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით:

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მეტი 5 წელზე	დაფარვის ვადის გარეშე	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	47,606	-	-	-	-	-	47,606
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	40,896	-	-	-	-	-	40,896
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,976	-	-	-	-	-	2,976
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	-	-	7,002	46,236	-	-	53,238
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	14,466	69,359	146,257	67,543	25,976	-	323,601
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით	-	-	-	-	-	9,823	9,823
მოგების გადასახადის აქტივი	-	-	-	-	-	3,823	3,823
სხვა ფინანსური აქტივები	1,495	-	-	-	-	1,349	2,844
სულ აქტივები	**107,439**	**69,359**	**153,259**	**113,779**	**25,976**	**14,995**	**484,807**
ვალდებულებები							
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	45,444	56,543	36,457	-	-	-	138,444
მომხმარებლების მიმართ	82,163	10,438	26,260	1,331	126	-	120,318
სხვა ნასესხები სახსრები	-	2,430	15,542	52,214	-	-	70,186
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	-	-	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-		670	670
სხვა ვალდებულებები	4,353	101	460	2,668	1,226	-	8,808
სულ ვალდებულებები	**131,960**	**69,512**	**78,719**	**56,213**	**1,352**	**670**	**338,426**
წმინდა პოზიცია	**(24,521)**	**(153)**	**74,540**	**57,566**	**24,624**	**14,325**	**146,381**

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი, მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით:

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	მეტი 5 წელზე	დაფარვის ვადის გარეშე	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	77,287	-	-	-	-	-	77,287
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	35,988	-	-	-	-	-	35,988
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	4,947	929	5,662	-	-	-	11,538
ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	-	-	8,197	50,133	-	-	58,330
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და მოთხოვნების ფაქტორინგი	22,783	60,821	118,694	53,598	14,591	-	270,487
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქტივები გამოყენების უფლებით	-	-	-	-	-	8,134	8,134
მოგების გადასახადის აქტივი	-	-	-	-	-	74	74
სხვა აქტივები	1,499	-	-	-	-	1,349	2,848
სულ აქტივები	**142,504**	**61,750**	**132,553**	**103,731**	**14,591**	**9,557**	**464,686**
ვალდებულებები							
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	48,811	22,731	38,290	-	-	-	109,832
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	101,601	24,408	37,786	9,048	279	-	173,122
სხვა ნასესხები სახსრები	-	2,044	14,911	22,278	-	-	39,233
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	-	-	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-	-	641	641
სხვა ვალდებულებები	3,184	90	408	2,356	1,762	-	7,800
სულ ვალდებულებები	**153,596**	**49,273**	**91,395**	**33,682**	**2,041**	**641**	**330,628**
წმინდა პოზიცია	**(11,092)**	**12,477**	**41,158**	**70,049**	**12,550**	**8,916**	**134,058**

შესაბამისობა კოვენანტებთან

ბანკი ექვემდებარება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს (იხ. შენიშვნა 17). აღნიშნულ კოვენანტებთან შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები ბანკისთვის მათ შორის სავალდებულო წინასწარი დაფარვა და დეფოლტის გამოცხადება. ბანკი შესაბამისობაში იყო აღნიშნულ კოვენანტებთან 2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის.

27 რისკის მართვა, კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლი (გაგრძელება)

(g) საოპერაციო და ბიზნეს რისკები

საოპერაციო რისკი არის სისტემის გაუმართაობის, ადამიანური შეცდომების, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ზარალის რისკი. როდესაც კონტროლი ვერ ფუნქციონირებს ეფექტურად, საოპერაციო რისკებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, გამოიწვიოს სამართლებრივი ან რეგულირების შედეგები, ან გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. ბანკი არ მოელის ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრას, მაგრამ ის ცდილობს ამ რისკების მართვას კონტროლის სტრუქტურის მეშვეობით, პოტენციურ რისკების მონიტორინგისა და მათზე რეაგირების გზით. კონტროლი მოიცავს მოვალეობათა ეფექტურ განაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, პერსონალის განათლებას და შეფასების პროცედურებს, როგორიცაა შიდა აუდიტის გამოყენება.

28 საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

ბანკს აქვს მიმდინარე საკრედიტო ხასიათის დაუფარავი ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება კრედიტების გაგრძელებას. ეს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები წარმოდგენილია ოვერდრაფტის სახით.

ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს თავისი კლიენტების მიერ მესამე მხარეების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ფიქსირებული ლიმიტი და მათი ვადა, როგორც წესი ხუთ წლამდე გრძელდება.

ბანკი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების და ფინანსური გარანტიების გაცემისას საკრედიტო რისკის მართვის იმავე პოლიტიკასა და პროცედურებს იყენებს, როგორსაც - მომხმარებლებზე სესხების გაცემისას.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების სახელშეკრულებო თანხები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში კატეგორიების მიხედვით. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების თანხები იმ დაშვებითაა წარმოდგენილი, რომ ეს თანხები სრულად არის გაცემული. ცხრილში მოცემული გარანტიების თანხები წარმოადგენს მაქსიმალურ საარიცხვო ზარალს, რომლის აღიარებაც მოხდებოდა საანგარიშგებო თარიღისთვის, თუ კონტრაჰენტები ვერ დააკმაყოფილებდნენ მათ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სახელშეკრულებო ოდენობები			
აუთვისებელი ოვერდრაფტები	-	-	48
გარანტიები	124,674	160,180	121,146
სულ საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	**124,674**	**160,180**	**121,194**

ზემოთ წარმოდგენილი მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები, არ წარმოადგენს თანხის აუცილებლად გადინების ვალდებულებას, ვინაიდან აღნიშნულს შეიძლება ვადა გაუვიდეს ან იქნეს შეწყვეტილი ბანკის მხრიდან დაფინანსების გარეშე.

აღნიშნული საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებიდან, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 115,040 ათასი ლარი არის შვიდი ბანკის მიმართ (2024 წლის 31 დეკემბერი: 137,448 ათასი ლარი, 2023 წლის 31 დეკემბერი: 89,073 ათასი ლარი). აღნიშნული დაქვემდებარება წარმოადგენს ბანკის მიმართ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

საკრედიტო ხასიათის ყველა ვალდებულება განაწილებულია 1-ელ სტადიაზე. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2025 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 272 ათასი ლარი (2024 წლის 31 დეკემბერი: 418 ათასი ლარი; 2023 წლის 31 დეკემბერი: 438 ათასი ლარი) და წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

29 პირობითი ვალდებულებები

(a) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ბანკის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ვალდებულების მაქსიმალური რაოდენობა, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი სამართლებრივი ქმედებების ან საჩივრების შედეგად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

(b) საოპერაციო გარემო

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნეს და მარეგულირებელი ინფრასტრუქტურას, რომელიც ზოგადად არსებობს უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში. საქართველოში განხორციელებული ოპერაციები შესაძლოა იყოს ისეთი რისკის შემცველი, რაც ჩვეულებრივ არ ასოცირდება განვითარებულ ბაზრებთან. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ გადადგა რამდენიმე ქმედითი ნაბიჯი, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის მთლიან საინვესტიციო გარემოზე, კერძოდ, განხორციელდა რეფორმები, რომლებიც საჭიროა გამართული საბანკო, სასამართლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების შესაქმნელად. ეს მოიცავს ახალი საკანონმდებლო რეგულირებების მიღებას, მათ შორის ახალ საგადასახადო კოდექსსა და პროცედურულ ნორმებს. ხელმძღვანელობის აზრით, ეს ნაბიჯები ხელს უწყობს საქართველოში, ბიზნესის წარმოებისას რისკების შემცირებას.

არსებული ტენდენციის, რომელიც მიმართულია ბიზნეს გარემოს საერთო გაუმჯობესებისაკენ, შენარჩუნება მოსალოდნელია. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო სტაბილურობა მეტწილად დამოკიდებულია ამ რეფორმებსა და განვითარებებზე, ასევე მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე. თუმცა, საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მსოფლიოს სხვა წერტილებში მიმდინარე საბაზრო კრიზისსა და ეკონომიკური განვითარების შენელებაზე.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა აგრძელებს განვითარებას და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საურავების და პროცენტის დაკისრების უფლება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევის ჩადენის წლის დასრულებიდან გასულია სამი წელი.

ამ ვითარებამ შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მნიშვნელოვანია. ხელძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ბანკისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ფინანსურ მდგომარეობაზე, თუ საგადასახადო ორგანო შეძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

30 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24 - „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ მხარეები არიან საერთო კონტროლის ქვეშ ან ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, გათვალისწინებულია ურთიერთობის არსი და არა მხოლოდ მისი სამართლებრივი ფორმა.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(a) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

სულ ანაზღაურება, რომელიც შეტანილია პერსონალის ხარჯებში 2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის არის შემდეგი:

	2025	2024	2023
დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	2,301	2,573	2,150

(b) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დავალიანება შემდეგი იყო:

	სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი	პირდაპირი მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	0%-1.9%	19,121	80	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები*	10.3%-13.0%	-	-	1,072	-
ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**	0%-4.8%	69,763	-	-	-
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	0%-11.0%	-	-	424	4,732
სუბორდინირებული სესხი	8.8%	13,479	-	-	-

ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურებისა, 2025 წლისთვის შემდეგი იყო:

	პირდაპირი მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
შემოსავალი/(ხარჯი)				
საპროცენტო შემოსავალი	115	49	77	-
საპროცენტო ხარჯი	(2,854)	(10)	(13)	(355)
საკომისიო შემოსავალი	199	-	-	-
სხვა შემოსავალი***	1,011	-	-	-

30 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დავალიანება შემდეგი იყო:

	სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი	პირდაპირი მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	0%	17	94	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები*	10.8%-13.0%	-	-	570	-
ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**	0%-5.4%	70,908	-	-	-
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	0%-11.0%	-	-	582	16
სხვა ვალდებულებები***	-	2,141	-	-	-

ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურებისა, 2024 წლისთვის შემდეგი იყო:

	პირდაპირი მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
შემოსავალი/(ხარჯი)				
საპროცენტო შემოსავალი	51	-	40	-
საპროცენტო ხარჯი	(1,333)	-	(10)	(362)
საკომისიო შემოსავალი	192	-	-	-
სხვა ხარჯები***	(674)	-	-	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დავალიანება შემდეგი იყო:

	სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი	პირდაპირი მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	0%	906	38	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	9.9%-16.0%	-	-	199	-
ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**	0%-4.3%	48,811	-	-	-
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	0%-10.9%	-	-	134	3,923
სხვა ვალდებულებები***	-	1,419	-	-	-

30 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურებისა, 2023 წლისთვის შემდეგი იყო:

	პირდაპირი მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
შემოსავალი/(ხარჯი)				
საპროცენტო შემოსავალი	-	-	37	-
საპროცენტო ხარჯი	(430)	-	(10)	(129)
საკომისიო შემოსავალი	101	-	-	-
სხვა ხარჯები***	(919)	-	-	-

* უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეადგენდა 7 ათას ლარს 2025 წლის 31 დეკემბრისთვის (2024 წლის 31 დეკემბერი: 2 ათასი ლარი, 2023 წლის 31 დეკემბერი: 1 ათასი ლარი).

** 2025 წლის 31 დეკემბრისთვის, პირდაპირი მშობელი კომპანიის დეპოზიტების დაფარვის ვადა შეესაბამება სახელშეკრულებო დაფარვის ვადას, შემდეგნაირად: 69,763 ათასი ლარი 12 თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით (2024 წლის 31 დეკემბერი: 70,908 ათასი ლარი, 12 თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით; 2023 წლის 31 დეკემბერი: 48,811 ათასი ლარი, 12 თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით).

*** სხვა ვალდებულებები და ხარჯები წარმოადგენს როიალტის საფასურს, რომელიც გადასახდელი იყო პირდაპირი მშობელი კომპანიისთვის მისი სააღრიცხვო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისთვის 2025 წლამდე. 2025 წელს მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეამცირებდნენ თავდაპირველი გადახდის ოდენობას იმის გამო, რომ პროგრამული უზრუნველყოფა არ მუშაობდა თავდაპირველად მოსალოდნელი ეფექტურობის დონეზე. შედეგად, 1,011 ათასი ლარი სხვა შემოსავლად იქნა აღიარებული, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდილი იქნა 2025 წელს.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის, პირდაპირ მშობელ კომპანიაზე გაცემული ფინანსური გარანტიები შეადგენდა 10,083 ათას ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი: 21,594 ათასი ლარი, 2023 წლის 31 დეკემბერი: 9,372 ათასი ლარი). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1 ათასი ლარის ოდენობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იქნა აღიარებული დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ფინანსური გარანტიებისთვის (2024 წლის 31 დეკემბერი: 3 ათასი ლარი, 2023 წლის 31 დეკემბერი: 1 ათასი ლარი).

31 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებისთვის ბანკი ვარაუდობს, რომ საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებასთან.

სამართლიანი ღირებულების იერარქია

ბანკი სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს ქვემოთ მოცემული სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რომელიც აღნიშნული შეფასებების ფორმირებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას ასახავს:

- **დონე 1:** აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.

- **დონე 2:** ამოსავალი მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია დონე 1-ში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული). ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები; ნაკლებად აქტიურ ბაზრებად მიჩნეულ ბაზრებზე ანალოგიური ინსტრუმენტების კოტირებული ფასები; ან სხვა შეფასების მეთოდები, რომლებშიც ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემი პირდაპირ ან ირიბად არის დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებიდან.

- **დონე 3:** არაემპირიული ამოსავალი მონაცემები. ამ კატეგორიაში შედის ყველა ის ინსტრუმენტი, რომლის შეფასების მეთოდები მოიცავს არადაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებულ საწყის პარამეტრებს და არადაკვირვებად საწყის პარამეტრებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება ანალოგიურ ინსტრუმენტებზე კოტირებული ფასების მიხედვით, რისთვისაც საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებების თუ დაშვებების გამოყენება ინსტრუმენტებს შორის არსებული სხვაობების ასახვის მიზნით. სამართლიანი ღირებულების განმარტების მიზნით, ბანკმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, მახასიათებლებისა და რისკების და სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით, როგორც ეს ზემოთ არის ახსნილი.

ქვემოთ მოცემულია შედარება ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებისა და სამართლიანი ღირებულებების კლასების მიხედვით. ცხრილი არ შეიცავს არაფინანსური აქტივების, არაფინანსური ვალდებულებების და იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს, რომელთა სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

2025, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ ჰქონდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები.

32 საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2026 წლის იანვრიდან, სუბორდინირებული სესხის ამორტიზებული ღირებულება 13,479 ათასი ლარის ოდენობით, ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად (ბაზელ III-ის საფუძველზე), მეორად კაპიტალში ჩართვის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.


იშბანკი
İŞBANK